


საქართველოს



მონაწილე

2017 წელი, №1. წმინდა ილია მეათლის სახელობის სალიტურატიურო ჟურნალი



წმ. მოციქული იაკობი,
სორცხიელი კვა უფლისა



მიტროპოლიტი
იონანე პატარაბურგალი



მოკვამლავალი თსოვნა
უწიდეზსა და უწესავესსა,
სკულირ საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქსსა
და ატნომა-თაილის
ათაუბარეისკომოსსა,
აიფუთისა და
სსუპ-აწნავეთის
მითროპოლიტსა,
დიდსა გეუფესა,
გაგანსა ჩვენსა
ი ი ი ა ს ა

საწვერეების უესახებ –
ეს ყველაზე უნდა იცოდეს

საქართველოს


ქოქე

ფილა ილია მართლის სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი

გამომცემის 1996 წლიდან

გამოცემის 21-ე წელი

2017



**წმიდა ილია მართალი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!**

№ 1
2017

საქართველოს მოაქმე

**ფიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი**

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



შინაარსი

მრწამსი 5

ფიდა ილია მართალი ლექსები 6

კატრიარქი

ახალი ღოცვა 7

ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას!.. 8

რედაქტორის გვირგვინი

მოკრძალებული თხოვნა უწმიდესსა და უნეტარესსა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტსა, დიდსა მეუფესა, მამასა ჩვენსა ილიასა 9

ფიდანი

ფიდა მოციქული იაკობი, ზორციელი ძმა უფლისა 11

მოძღვარება

მღვდელმსახურთა საცთურნი (მიტროპოლიტ იოანე პეტერბურგელის რედაქციით) 12

საზვერეების შესახებ (გვიამბობს მღვდელმონაზონი რომან კროპოტოვი)..... 26

მეცნიერება

მერაბ მიქელაძე – მჭედლობა – ეროვნული ხელობა და მისი ღვთაებრივი ასპექტები 40

ლიტერატურული ნობათი

ნინო ყარალაშვილი – ლექსები	57
მღვდელი ილია ჩიკვაძე – ლექსები	58
იროდონ რაინაული – „გოდება შოთა რუსთაველისა... ..“	60

თარგმანი

ევ. კანჩერი – „უკანასკნელი აკორდი“ (რუსულიდან თარგმნა სიმონ ჯაფარიძემ	63
გოეთე – „ღამის მგზავრული“ (გერმანულიდან თარგმნა გოჩა სოზიაშვილმა	63

რედაქტორ-გამომცემელი: მღვდელი ილია (ჩიკვაძე)
პასუხისმგებელი რედაქტორი: ბრიგოლ (ბოჩა) სოზიაშვილი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

აპრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ

მ რ წ ა მ ს ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

წმინდა ილია მართალი



ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.
წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.
მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუღვამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.
ამას კი აღარ ამბობენ —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...
იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-ღა-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მაღლით ცხებულსა!

ბ. აბ ს...

ღმერთო!.. აკურთხე ამ ყმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,
აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ღმერთო!... მოჰმადლე მაღლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.

ღმერთო!.. თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაელიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.

პ ა ტ რ ი ა რ ქ ი



ენმიდებისა და ენეცაიხის, სხელიად საქაიხიველოს
ქათოლიქოს-პატრიარქის

მცხეთა-თბილისის მთავაიქვისქოპოსის,
ბიქვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიქხოპოლიტი
ილია II - ის

ახალი ღოცვა

პატრიარქმა ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს მუხლზე დაღგომისკენ მოუწოდა და მშობლებისთვის დაწერილი ახალი ღოცვა წაიკითხა.

„მთელს საქართველო წავუკითხავ ამ დალოცვას. ჩვენ შევადგინეთ ტექსტი და ასეთი წესი იქნება: ბავშვსა ან შვილს დააყენებთ მუხლებზე ხატების წინაშე. იმ ხატის წინაშე, რომელითაც თქვენ ღოცავთ. ორივე ხელს დაადებთ თავზე შვილსა და წაიკითხავთ ამ ღოცვას და თქვენ ნახავთ, უფალი სასწაულს მოგივლენთ და სრულიად შეიცვლება შვილი და ოჯახიც სიკეთისკენ.

აი, ამიტომ თქვენ დიდი ყურადღებით უნდა მოიქცეთ. თქვენ უნდა მოემზადოთ, სანამ დალოცავთ თქვენს შვილს მშობლები უნდა მოემზადონ.

მამამ ცალკე უნდა დალოცოს და დედამ ცალკე. ცხოვრებაში ერთი დალოცვა იქნება, ერთხელ მხოლოდ, ამიტომ დღეს შევთხოვთ უფალს, რომ ძალა ერსა თვისსა მოსცეს, აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით. ბიბლიაში წერია, ერთ-ერთი მცნება: პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.

ბედნიერება მოგანიჭოთ თქვენ უფალმა და მთელს საქართველოს, ყოველ ქართველს რომელიც უცხოეთში და ყველას მკვიდრთა საქართველოსათა“, – ბრძანა პატრიარქმა.

ლოცვა მშობლებისა შვილთათვის

„ღმერთო ჩვენო, მამაო ყოვლისა მპყრობელო, ძეო ღვთისაო უფალო ჩვენო იესო ქრისტე. სულო წმიდაო ცხოველმყოფელო, სამებაო ერთარსო და განუყოფელო, გარდამოიხილე ზეცით მოწყალე თვალით და დალოცე შვილები ესე საქართველოისანი. მონანი და მხევალნი ღვთისანი და მიმადლე მათ მრავალჟამიერი სიცოცხლე. მტკიცე მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. თავმდაბლობა, განცდაი თვისთა ცოდვათა, სიბრძნე, სიმშვიდე და მოთმინება, ნიჭი და უნარო სწავლისა და შრომისა, ბედნიერი ოჯახი, მრავალი შვილი, კეთილდღეობა და სიხარული, გონება საღი და გახსნილი, გული წმინდა, სიყვარული მშობელთა თვისა.

ჰოი, უფალო შეისმინე ჩემი ლოცვა და დაიფარე შვილნი ესე ჩვენნი სულიერი და ხილული და უხილავი მტრებისაგან და ღირსჰყავ ისინი ცათა სასუფეველისა.

ლოცვითა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა შენთა. ამინ!“

ნუ დაპარბაპო ჭეშმარიტებას, ნუ დაპარბაპო ჩვენს სარწმუნოებას!..

რა უნდა გააკეთოს პიროვნებამ იმისთვის, რომ განარებული იყოს ამა-სოფელსა შინა?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გვექონდეს რწმენა, არა ნებისმიერი, არამედ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი წინაპრები, ჩვენი სამშობლო და რომელსაც ადამიანი სასუფეველში, უფალთან მიჰყავს.

გვიქრობ, აუცილებელია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ეკლესიის როლს დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში. ზოგიერთნი უვიცობის ანდა მცირედმორწმუნეობის გამო, მართლმადიდებელ სარწმუნოებას სხვა რელიგიებთან ათანაბრებენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია იესო ქრისტეს – ღმერთის მისტიური სხეულია და იგი თვით უფლის მიერ არის დადგინებული. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას (მათე 16, 18) – ბრძანებს მაცხოვარი. მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მაღლით არის შესაძლებელი აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლება, სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება,

ოღენ იგი იცავს განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის რწმენას და ტრადიციებს. წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს: „სადაც ეკლესიაა, ის სულიწმიდაა და სადაც სულიწმიდაა, იქ ეკლესიაა მისი სრული ჭეშმარიტებით“.

ჩვენ რთულ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. ბოროტი ყოველნაირად ცდილობს ეკლესიაში განხეთქილებისა და შფოთის შემოტანას. დღეს მართლმადიდებელ ქრისტიანს დინების აღმა უხდება სვლა, რაც სულ უფრო მეტ წინააღმდეგობებს გვიქმნის, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც უნდა ვიაროთ ამ გზით.

მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანნი: ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება, რადგან ჟამი ახლო არს.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო. ამინ.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II**



რედაქტორის გვარდი**მოპროქალეზული თხოვნა**

**უწმიდესა და უნეტარესა,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა
და
მცხეთა-თბილისის მთაფარეზისკობოსსა,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტსა,
დიდსა მეუფესა, მამასა ჩვენსა
ილიასა**

ღვთივდიდებულ მამავ და პატრიარქო, უწმიდესო მეუფეო, მეურვეო მრავალჭირნახულისა ერისა ჩვენისაო!

მუხლმოდრეკით გემთხვევით წმინდა მარჯვენაზე – თუ შეიძლება, დაგვლოცეთ და გვაკურთხეთ.

კაღნიერად ვდგვარ თქვენი მამობრივი მრავალმზრუნველობის წინაშე და თავადვე მიკვირს, მე უღირსმა ვითარ ვიკადრე თქვენდა სიტყვისგებად, ანდა ზეაღნიღვად თქვენი უწმიდესი სახისა, რომელ არს ჩვენთვის, ყოველთა ქართველთათვის სახე განღმრთობისა, სახე ღმრთაებრივი სიწმინდისა და მოწყალებისა, „მამულისა სჯულისაებრ სლვისა“.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, მამავ და პატრიარქო ყოვლისა საქართველოსა!

მრავალ წელს ითვლის მამამთავრობაი თქვენი, მზეობაი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უწმიდესი საჭეთმპყრობელისა, რომლის ორმოცწლიანმა მეუფებამ განამშვენა ერი და ბერი, მისცა დასაბამი ეპოქალურ გარდატეხას ქართულ ცნობიერებაში და ჩვენ, დღევანდელი აპოკალიფსური დროის მცხოვრებ ქართველობას, მოგვანიჭა ბედნიერება – ვიყოთ შვილნი და თანამედროვენი ეპოქისა, რომელსაც თუ ოდენ კვალად იარსებებს კაცობრიობა, მეისტორიე, სრულიად სამართლიანად, ილია მეორის ეპოქად სახელდება.

ეს დიდად აშფოთებთ ქართველი ერის და საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ავტოკეფალური, სამოციქულო ეკლესიის მტრებს, რომელთაც ალბათ განუზრახავდ კიდევც, ქართული ეკლესიის დაშლა და ამით ქართული სახელმწიფოებრივობის რღვევა, ეროვნულ-ზნეობრივი ცნობიერების გადაგვარება, ჩვენი ეროვნული, ზნეობრივი სიმტკიცის სიმბოლო ხომ თქვენ ბრძანდებით – მამა და პატრიარქი, მეუფე და მეურვე ქვეყნისა – ყოვლისა საქართველოსა.

ერისკაცობაში მრავალგზისი პუბლიკაციებით გვითქვამს თქვენი და თქვენი ეროვნული კურსის მხარდაჭერა, განასაკუთრებით 2003-2004 წლებში, როდესაც რეაქციულმა ძალებმა პრესით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მრავალჯერ განახორციელეს თავდასხმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და მის უწმიდეს საჭეთმპყრობელზე. და ეს მეტად სახიფათო ბრძლა, თქვენი სიბრძნის წყალობით, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ეკლესიის გამარჯვებით დასრულდა.

წლების მანძილზე, სასულიერო დასში მყოფობისას, მუდამ ვცდილობდით, არასდროს მიგვეპყრო თქვენი უწმიდესი ყურადღება. მხოლოდ ახლა, პირველად ვკადნიერდებით, რადგან ქვემოთ მოხმობილ საკითხს, ჩვენის მდაბალი აზრით, საქართველოს პატრიარქის ყურადღება სჭირდება.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, დღიდან ხელდასხმისა, გვაქვს პატივი იმ ეპარქიაში მუშაობისა, რომელსაც მართავს სასულიერო პირებისადმი სამოციქულო პატივისმომგებლობით გამორჩეული მღვდელმთავარი, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი, რომელიც არასდროს ზღუდავს სასულიერო პირს, მის სამქადაგებლო და სამოდღვრებო საქმიანობას და მართლმადიდებლური დოგმატიკისა და ღვთისმეტყველების ფარგლებში, ძველი მღვდელმთავრების დარად, სასულიერო პირებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს; ეს ჩვენთვის, როგორც სასულიერო პირისთვის და ზოგადად პიროვნებისათვის, დიდი აღმოჩენა და მონაპოვარია, ამისათვის მადლობა თქვენ და მადლობა მიტროპოლიტ იობს.

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, საქართველოს მართლმადიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიის სამოციქულო საფუძვლების, მისი ერთიანობის განტკიცებისათვის, – რომელსაც თქვენი ორმოცწლიანი ტიტანური შრომა შესწირეთ, და მიაღწიეთ კიდევ ამ საკვირველ შედეგს – საქართველოს ეკლესიის ერთიანობას, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ესოდენ აშფოთებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის მტრებს და ვერაუღლად ცდილობენ გამოუთხარონ ძირი ამ ღუდას, თქვენი პირადი ღვაწლით რომ განმტკიცებულა და მისი შემბლაღავნი ოდენ ქვეყნის დამაქცევრებად მოიაზრებიან, სამომავლოდ, სამართლიანი მეისტორიის ფორიანტებზე – ჩვენ როგორც სასულიერო პირს მიგვაჩნია და ვფიქრობთ, უპირანი იქნება საქართველოს ეკლესიაში წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირის და წმინდა გრიგოლ დიოლოლოსის წირვების გვერდით, უფლის ძმის, წმინდა იაკობ მოციქულის ჟამისწირვის აღდგენა, რომელიც საფუძვლად დაედო ლიტურგიკულ პრაქტიკას მთელს მსოფლიოში და რომლითაც უსისხლო მსხვერპლი საქართველოში X საუკუნემდე შეიწირებოდა.

ჩვენის მდაბალი აზრით, იაკობ მოციქულის ჟამისწირვა შიძლება ჩატარდეს პეტრე-პავლობის მარხვაში კვირაობით, ან შობის მარხვაში (სხვა რამ ვარიანტებიც შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ეს აზრი საზოგადოდ მართებულია და ამას თქვენი უწმიდესი მეუფება გადაწყვეტს).

ყოვლადწმინდა სამებამ მრავალჟამიერ ჰყოს თქვენი წმინდა მამამთავრობა!

დიდება და მადლობა ღმერთს ამ დიდი წყალობისათვის!

მადლობა თქვენ ჩვენი პატრონობისა და წინამძღოლობისათვის!

მადლობა თქვენ ამ თავდადებისა და სიყვარულისათვის – ბიბლიური მოსეს დარი მამამთავრობისათვის!

ღმერთმა დღეგრძელჰყოს თქვენი უწმიდესი და უნეტარესი მეუფება ამ მზისქვეშეთში!

ვრავალჟამიერ განგვეცადოს თქვენი ტკბილი მამობა ბრძენო და საყვარელო მამავ და პატრიარქო!

შეგვინდეთ ესოდენი კადნიერება...

მუხლს ვიყრი თქვენი საპატრიარქო მეუფების წინაშე...

თქვენი უღირსი შვილი,
მღვდელი ილია (ერობაში ნუგზარ) ჩიკვაიძე,
ქარელის წყალობის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური.

წმიდა მოციქული იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა



წმიდაო იაკობ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის

წმიდა მოციქული იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა, მართალი იოსების (ხს. 26 ღვეკემბერს) ძე იყო. გადმოცემით, წმიდანი თან ახლდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, როცა იგი ჰეროდეს რისხვას განერიდა და ყრმა იესოსთან და იოსებთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა. სიყმაწვილიდანვე იაკობი ნაზორეველი იყო (ნაზორეველობა უფლის მიერ ოდესღაც მთელი ისრაელისთვის აღთქმულ წმიდა და უბიწო ცხოვრებას ნიშნავდა). წმიდანი ისეთი გულმოდგინე მლოცველი იყო, რომ ხშირი მეტანიებისგან კანი მუხლისთავეებზე აქლემის ტყავით გაუუხეშდა. ასეთი კეთილმსახური ცხოვრებისათვის მთელი ერი იაკობს მართალს ეძახდა. იუდეველთა უხუცესებს შორისაც ნეტარი ისეთი პატივით სარგებლობდა, რომ მღვდელმთავარმა მას ერთადერთს მისცა იერუსალიმის ტაძრის შიდა ნაწილში – წმიდათა წმიდაში შესვლის უფლება, სადაც უფლის რჩეული ლოცვისთვის განმარტოვდებოდა ხოლმე. როცა მაცხოვარმა ცათა სასუფეველის შესახებ ქადაგება დაიწყო, წმიდა იაკობმა ირწმუნა განკაცებული ძე ღვთისა და მის სამოცდაათ რჩეულ მოწაფეთა შორის შეირაცხა. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ წმიდანი უფლის განსაკუთრებული გამოცხადების ღირსი შეიქნა (1 კორ. 15,7). გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტთანა ეკლესიის სვეტად (გალ. 2,9) მიჩნეული

მოღვაწე დაადგინეს იერუსალიმის პირველ მღვდელმთავრად. იგი ხელმძღვანელობდა მოციქულთა პირველ კრებას იერუსალიმში, სადაც მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა (საქმე, 15).


წმიდანის ქადაგების გავლენით მრავალი ებრაელი მოექცა ქრისტიანობაზე. ყოველივე ამან შური და გულისწყრომა აღძრა იუდეველ უხუცესებში, რომელთაც უფლის რჩეულის დაღუპვა განიზრახეს. ერთხელ, როცა რომაელი მმართველი იერუსალიმიდან გავიდა, ქრისტეს მტრებმა ისარგებლეს შემთხვევით, მღვდელმთავარი იაკობი ძალით აიყვანეს ტაძრის გუმბათზე და მოსთხოვეს, პასექთან დაკავშირებით შეკრებილი ერის წინაშე უარეყო ქრისტე. მათი მოთხოვნის საპირისპიროდ, წმიდანმა ახონად იქადაგა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა. მაშინ მრავალმა იქ მყოფმა ირწმუნა მაცხოვარი, მწიგნობრები და ფარისევლები კი უკვე ნანობდნენ თავიანთ საქციელს: „შევცდით, რომ ყველასგან პატივდებულ მოსაგრეს ასე დაგამოწმებინეთ ქრისტე“. ისინი გააფთრებით მიეჭრნენ წმიდა მამას და ძირს ჩამოაგდეს, მიწას დანარცხებული და სასიკვდილოდ დაშავებული წმიდა იაკობი უცებ არ გარდაცვლილა. მან უკანასკნელი ძალების მოკრებით მუხლი მოიყარა და მხურვალედ შესთხოვა უფალს, შეენდო მისი მტრებისათვის. უღმერთოებმა ქვები დააყარეს მარტვილს. ერთი ქვა მას თავში მოხვდა და სიცოცხლე მოუსწრაფა. ეს მოხდა იუდეველთა ომის დაწყებამდე (62-66 წლებს შორის) ცოტა ხნით ადრე, როცა იაკობ მოციქული ოთხმოცდათექვსმეტი წლისა იყო. ნეტარის მოწამებრივმა სიკვდილმა ებრაელებზე ისეთი დიდი გავლენა იქონია, რომ ეს ომი, მის შემდგომ დაწყებული ბრძოლა რომაელებთან (66-70 წწ) და მათი თანმხლები უბედურებანი ამ ცოდვისათვის სასჯელად მიიჩნიეს.

წმიდა მოციქულ იაკობს მიეწერება შექმნა საღვთო ლიტურგიის ტიპიკონისა, რომელიც საფუძვლად დაედო ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებს.

წმიდა მოციქული იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა, უნდა განვასხვაოთ იაკობ ზებედესა (ხს. 30 აპრილს) და იაკობ ალფესისგან (ხს. 9 ოქტომბერს).

„წმიდანთა ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 2003 წ.

მოძღვრება



მიტროპოლიტი
იოანე კეტიარბურბელი
(1927-†1995)

ბოდო დროს მრავალი წაძარი ამოქმედდა. შესაბამისად სწრაფად იმაწა სამღვდლო დასის რიცხვმა. ამ სასიხარულო მოვლენას თან ახლავს ბევრი პრობლემა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია სასულიერო პირთა აღზრდა-მომზადება, რაც განკვეთს დროს ითხოვს. მოვლენები კი სწრაფად ვითარდება. ამის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც მოძღვრად აკურთხევენ სულიერად გამოუდგენ პიროვნებას და იმის ნაცვად, რომ მან მრევლს აჩვენოს სიმშვიდის, სინამდის, თავმდაბლობის და თავდადების მაგალითი, ბევრისათვის დაბრკოლების საბაბი ხდება.

წინამდებარე წიგნი „მღვდელმსახურთა საცთურნი“ მონოღებუდია სულიერ ცხოვრებას მონადინებულ ადამიანს აჩვენოს ძირითადი შეცდომები, რომლებიც მრავალს ემართება, რათა საკუთარ თავზე დაკვირვებით და მუშაობით დააღწიოს თავი საცთურს. ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს თანამედროვე ახადგაზრდა მოძღვრებს და სამოძღვრებო ღვთისმცოდნეობით დაინტერესებულ ადამიანებს.

მღვდელმსახურთა სასთურნი

(მიტროპოლიტი იოანე კეტიარბურბელის რედაქციით)

სამღვდლო მსახურებას ყველა სხვა სულიერ მოღვაწეობაზე მეტად ემუქრება ათასგვარი ხიფათი, სიძნელე, განსაცდელი თუ საცთური. არ შეიძლება ოპტიმისტურ ილუზიებს მივეცეთ სულიერ მწვემსთა მსახურების გამო, ანდა რაღაც ოცნებებით აღვივსოთ მღვდლის ცხოვრების ყოფით სიმყუდროვესა და სიმშვიდეზე. **მღვდლობა, უპირველესად მძიმე სულიერი ღვაწლია, რომელშიც ადამიანს ყველაზე მოულოდნელი განსაცდელი შეიძლება ეწვიოს. ამას გარდა, მღვდლობა, ისევე, როგორც სულიერი ცხოვრების ნებისმიერი სხვა სფერო, აღსავსეა ტრაგიკული კონფლიქტებითა თუ წინააღმდეგობებით.** ერთი მხრივ, მღვდელი ამქვეყნად – ვნებებისა და მღელვარებების სამეფოში იმყოფება, მეორეს მხრივ კი, იგი არასდროს არ უნდა

დაემონოს მათ. „ჯვარცმულობა ამა სოფლისა მიმართ“ ყოველ წამს იგრძნობა სამღვდლო მსახურებაში, და რაც უფრო მეტად ეძლევა სულიერი მწვემსი ღვთის სათნო მყოფელ ღვაწლთ, მით უფრო მძაფრი ხდება ცოდვის საწერტელი და მით უფრო მეტი განძვინებით უმხედრდება მღვდელს ყველა ბოროტი ძალა – მტერი სულიერი ცხოვრებისა. ამიტომ ყოველ სულიერ მწვემსს ჯერ კიდევ მღვდლად კურთხევამდე, და განსაკუთრებით მღვდლობის პირველ დღეებში, მოუწოდებენ სიფხიზლისაკენ, რათა საღი თვალთ უყურებდეს მომავალი მსახურობის ძნელად სავალ, ეკლიან გზას.

ხსენებული „ჯვარცმულობა ამქვეყნისადმი“ გაცილებით უფრო მძაფრად იგრძნობა სამღვდლო მსახურებაში, ვიდრე ერისკაცთა

ცხოვრებასა და საქმიანობაში. მღვდელი ბუნებისმიერად, ადამიანური არსებობის კანონთა ძალით ექვემდებარება ცოდვის ყველა ზოგადკაცობრიულ ზემოქმედებას, მაგრამ ამას გარდა მის წინააღმდეგ აღიძვრიან სრულიად განსაკუთრებული, ერისკაცთათვის უცნობი და მხოლოდ სულიერ მწყემსთათვის განკუთვნილი საცთურნი.

უაზრობაა საცთურთა რაოდენობის სქოლასტიკური დაზუსტება, ანდა ცდა მათი ამა თუ იმ კლასიფიკაციისა, რასაც ზოგჯერ სამღვდელმსახურო ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოთა ავტორები იქმან. ასე, რომ ზოგნი 12 საცთურს აღრიცხავდნენ, სხვანი – 4 საცთურს იტყობდნენ, მესამენი კი ოდენ 3 მღვდელთსაწინააღმდეგო საცთურის აღწერით კმაყოფილდებოდნენ (უდაბნოში მაცხოვრის გამოცდათა რიცხვის შესაბამისად). ყველა ეს აღრიცხვა საკმარისი ზომითაა პირობითი და უფრო განყენებული მეცნიერების აღმონაცენია, ვიდრე – სულიერი გამოცდილებისა. კერძოდ, როგორადაც მიმზიდველი არ უნდა იყოს უკანასკნელი სქემა ზემოთ მოხმობილთაგან, – რამეთუ ბუნებრივია ყოველთა მწყემსთათვის – ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სამეზის გამოცდაში ვხედავდეთ სიმბოლურ, წინათმომასწავებელ მონახაზს მისი ყველა მომავალი მოწაფისა თუ მსახურისათვის, – მაგრამ მაინც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაცხოვარს არ უწევია ყველა ის ურიცხვი საცთური და განსაცდელი, რაც უცილობელთა სულიერი სრულყოფისა და მომწიფების გზაზე როგორც ერისკაცისათვის, ასევე – მღვდელმსახურისათვის. ამ საცთურთ ჩვენ ქვემოთ მივუბრუნდებით, მანამდე კი შემდეგი უნდა შევნიშნოთ.

ჩვეულებრივ, თავისი მღვდლობის პირველ ხანებში მწყემსი განიცდის სულიერი აღტაცებისა და ლამის ნეტარების განსაკუთრებულ მდგომარეობას. იგი მთლიანად არის დაკავებული თავისი ახალი საქმიანობით და მოვალეობებით, რამეთუ ბევრს რასმე უნდა მიეჩვიოს, მრავალი რამ ჯერ კიდევ არ გამოუცდია და ყოველივე ძალზე წარმტაც ფერებში ესახება. ხშირად სამწყემსო მსახურების დასაწყისში მღვდელს, თითქოს დაინდობენ, და არ გამოსც-

დიან განსაკუთრებით ძლიერი საცთურებით. საცთურნი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მას ღროთა განმავლობაში ეწვევა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ადამიანის სულიერი ზრდის გზა, და მაშასადამე მწყემსისაც, სრულიად ინდივიდუალურია, და ამიტომ არანაირ სქემატურ განზოგადებაში არ თავსდება.

როგორც ერთ-ერთი შესაძლებელ საცთურთაგან მღვდლობის დასაწყისში შეიძლება გამოვლინდეს განსაკუთრებული შიში მღვდელმსახურების აღსრულების წინაშე, თუმცა ეს არც არის გარდაუვალი და ყოველთვის როდი მჟღავნდება. ზედმეტი გულმოდგინებისაგან კეთილმსახურებაში თუ გამოუცდელიობის გამო, ზედმიწევნით მგრძობიარე სინდისისაგან თუ მოკრძალების გამო, ანდა სულაც შეფარული განსაკუთრებული ამპარტავნების მიზეზით. ამ ღროს ახალგაზრდა მღვდელს შიში მოიცავს ხოლმე მსახურობის წინაშე, განსაკუთრებით კი ევქარისტის – ზიარების საიდუმლოს აღსრულების წინაშე, ზოგჯერ ნათლობის, ანდა აღსარების მიღების თუ სხვა მღვდელმოქმედებათა წინაშე, და მაშინ მას უჩნდება სურვილი ერთგვარ უმოქმედობაში ჰგებდეს, რადგან ყოველი მღვდელმოქმედება შიშს იწვევს მასში, – არ შევცდეთ, რაიმე არ ამერიოსო; ხოლო ევქარისტის საიდუმლოს აღსრულებისას წმინდა ჭურჭელი ხელიდან არ გამივარდეს და საუფლო ძღვენი – ზიარების წმინდა ნაწილი არ დამეღვაროსო და ა.შ. ამ საცთურს განუხრელად უნდა ვებრძოლოთ და ყოველმხრივ ვეცადოთ ვძლიოთ თავში შიშის ამ გრძობას სწორედ ხშირი აღსრულებით მღვდელმოქმედებებისა, და არა იმით, რომ თავი ავარიდოთ მათ. ძალზე შეეწვეა ახალგაზრდა მღვდელს ამ ბრძოლაში უფროსის, უფრო გამოცდილი თანამოძმის, სულიერი მოძღვრის, დეკანოზის თუ თვით ეპისკოპოსის რჩევა-დარიგება, და რადგანაც ეს შიში შეცდომის დაშვებისა ძალზე ხშირად იმისაგან მომდინარეობს, რომ უფროსიან – გამოუცდელნი და უცოდინარნი არ გამოვჩნდეთ მრევლის წინაშე, ამიტომ მღვდელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს ჭეშმარიტება: სამღვდლო მოქმედებაში კა-

ცობრივი შიში კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ – ღმერთის მოშიშება, რომელიც დასაბამია ყოველგვარი სიბრძნისა. მაგრამ არც ღვთის მოშიშების ეს განცდა, ანდა, უფრო სწორად, არა მხოლოდ ეს განცდაა მნიშვნელოვანი, რამეთუ უმთავრესი და ყველაზე აუცილებელია ღმერთის სიყვარული – სრულყოფილი სიყვარული, და არა – მონისებრი. და თუკი ასეთი სიყვარული გვექნა შემოქმედი ღმერთისადმი, მაშინ ღვთისმოშიშებაც, ანუ მოწიწებითი დამოკიდებულება ღმერთისადმი, განზავებული იქნება ამ სულიერი სიყვარულით. ასე, რომ მღვდელმსახურება ღმერთის შიშით, რწმენითა და სიყვარულით უნდა აღესრულებოდეს.

ამისაკვე მსგავსად, ახალი მღვდლის უადრეს საცთურთა შორის შეიძლება გამოვლინდეს განსაკუთრებული, გადამეტებული გულმოდგინება ლოცვის, მარხვის, ქადაგების, სულიერი წინამძღვრობისა და სხვა ღვაწლში. სათანადო სულიერი მომზადების გარეშე და სულიერი მოძღვრისა თუ დეკანოზის მხრიდან სწორი წინამძღვრობის გაუწევლად ახალგაზრდა მღვდლები ხშირად ეძლევიან იმგვარ გულმოდგინებას, მათს ბუნებრივ მონაცემებსაც და სულიერ ძალებსაც რომ აღემატება. თავიდან ადვილად შეიძლება მღვდელი გაძლიერებულ ლოცვითს თუ მარხვის ღვაწლს მიეცეს, მაგრამ თუკი თანდათანობით, გონივრულად და საკუთარი ძალების შესაბამისად არ განმტკიცდება მასში, ძალზე მალე შეეტყობა გადაღლა, მერმე კი განგრძობაც იმისადმი, რაც უტვირთვია, და, რაც ამაზე უარესია, ყოველივე იმისადმიც, რაც მღვდლად კურთხევამდე ჰქონდა შეძენილი. და მაშინ მღვდელმსახურს ის საცთური იპყრობს, რომ საერთოდ არ ილოცოს, ანდა ამა-თუ იმ მიზეზით შეასუსტოს და შეამციროს სულიერი ღვაწლნი, რამაც ძალზე სწრაფად შეიძლება გამოიწვიოს სულიერი მოუძღვრება. ამიტომ თავისი სამწყემსო მსახურების საქმეში, ლოცვით ღვაწლსა და, საერთოდ, სულიერ ზრდაში ახალგაზრდა მღვდელი უფროსი თანამოძმისა და მეგობრის ყურადღებიანი ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს და ყოველთვის ცდილობდეს

კანნიერი წამოწყებანი შეამოწმოს უფროსთა გამოცდილებითა თუ ბრძენ მღვდელმსახურთათვის რჩევის კითხვით, საშიშროებამ იმის წინაშე, რომ ზედმეტი გულმოდგინებისაგან „გულს ამოიგდებს“, შეიძლება ადვილად განაიარალოს სუსტი და გამოუცდელი მღვდელი და სულიერ უძლურებათ სწიოს, რომელთა განკურნვა შემდეგში უფრო ძნელია, ვიდრე წინასწარი და ფრთხილი დროული წამლობა. ყოველნაირი ზრდა ორგანული და ჰარმონიული უნდა იყოს. შეჩერება სულიერი ზრდის გზაზე ნიშნავს უცილობელ დაშვებას ციცაბო ზედაპირზე.

ახალგაზრდა მღვდელმსახურის ამ საცთურთან, – ზომაგადასული სულიერი ზრდისა და ზედმეტი გულმოდგინებიდან რომ მომდინარეობს, უშუალო კავშირშია ძალზე გავრცელებული სხვა საშიშროებაც, როცა თავის მრევლს უზომოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. ეს განსაკუთრებული სამწყემსო რიგორიზმი იმაში ვლინდება, რომ თავიანთ სულიერ შეილებს ძნელად სატარებელ ტვირთს ჰკიდებენდა ყველას, მათი ასაკისა თუ სულიერი სიმწიფის მიუხედავად, უსაზომოდ მკაცრ ღვაწლთ სთხოვენ, აგრეთვე იმაშიც, რომ წარუმატებელთ სულიერ ღვაწლში ჰკიცხავენ და ხშირად წარმოთქვამენ მამხილებელ ქადაგებებს. ეს უკანასკნელი ყველაზე გავრცელებული საცთურია. ქადაგება, საერთოდაც, ისეთი რთული და საპასუხისმგებლო საშუალებაა, რომელსაც ადვილად ვერ გამოიყენებ და რომელიც ყველასათვის ერთნაირად მისაღები არ არის, რამეთუ „ნუ მრავალნი ჰმოდღურით, ძმანო ჩემო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიდოთ. რამეთუ ფრიად ესცთებით ყოველნივე, რომელი სიტყვით არა სცთებოდეს, იგი სრული კაცი არს...“ (იაკობი, 3,1-2), ხოლო მამხილებელი ქადაგება მეტადრე სახიფათოა და მას თითქმის ყოველთვის უკუშედეგამდე მივყავართ.

რიგორიზმის საცთური განსაკუთრებული გამოცდაა მღვდელმსახურის სიფხიზლისათვის, გულისხმიერებისა და სულიერი ტაქტიკისათვის. იგი იშვება საუკეთესო და ყველაზე ნათელ განზრახვათაგან, როცა სურთ ყველანი

სრულყოფისაკენ მიაქციონ და მაცხოვრებელი დამობღვრით ჩააგდონ გულისხმის ყოფაში, მაგრამ თითქმის ყოველთვის უარყოფით შედეგებს იღებენ. სამწყსო, მრევლი ყოველთვის ისე როდი აღიქვამს ამ რიგორიზმს (ზედმეტ მომთხოვნელობას და სიმკაცრეს მრევლისადმი) შეიძლება მოჰყვეს შინაგანი განგრილება მწყემსისადმი და თვით გაუცხოებაც კი ეკლესიისადმი ზოგიერთი მორწმუნის მხრიდან.

თუკი ზემოხსენებული საშიშროებანი მღვდელმსახურს უპირატესად მისი მსახურების დასაწყისში ემუქრებიან, მომავალში შეიძლება სხვა, უფრო სახიფათო საცთურნიც გამოჩნდნენ. ზემოთ მოხსენებული საცთურნი თითქოსდა ის „საყმაწვილო სენია“, რომლის მოხდა მეტნაკლები სიმძაფრით ყველა მღვდელმსახურს უწევს. ყოველი გონიერი და გულისხმიერი მწყემსი შესძლებს დასძლიოს საკუთარ თავში „კაცობრივი შიში“ და ღმერთის მოშიშებას დაუქვემდებაროს იგი, შეზავებულს შემოქმედისა და მოყვასის სიყვარულთან; დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით კი კეთილნაყოფიერი გავლენის ქვეშ, იგი თავის გადამეტებულ, უსაზომო გულმოდგინებასაც მოთოკავს სულიერ ღვაწლში და სულიერი ზრდის ნორმალურ კალაპოტში ჩადგება; წლების გასვლის შემდეგ კი რიგორიზმისა და ზედმეტად მკაცრი მამხილებელი ქადაგებების მთელს უსარგებლობასაც დაინახავს სამწყემსო საქმისათვის.

მაგრამ წლებთან, უძღურებებთან და წარუმატებლობებთან ერთად, მის სამღვდელმსახურო სამტკიცესა და სულიერ სიმწიფეს სხვა განსაცდელიც გამოუჩნდება. და აი, ერთ-ერთ ამგვარ საცთურად უნდა ვაღიაროთ დროთა განმავლობაში გამომჟღავნებული ერთგვარი დაკმაყოფილება საკუთარი მსახურობით, აღმოცენებული გარკვეული გადაღლისაგან, გათანგვისაგან. წარვლენ ახალგაზრდობის წლები, დაცხრება იდეალისტური მსახურების აღტაცება, საკუთარი თავის მსხვერპლმწიროვის შეგრძნებიდან მომდინარე აღფრთოვანება, ცხოვრება სხვადასხვა მოულოდნელობებით გამოსწრთვნის მღვდელს და პირველი წლების ნათელ დღესასწაულთა სანაცვლოდ დადგება უფერული სადაგი დღე, სამღვდლო

ყოველდღიური არსებობის ცნობილი პროზა. და მაშინ შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მტერიც გამოჩნდეს სულიერობისა – მოწყენილობა. ყველა საცთური გაივლის – მრისხანებაც, გადამეტებული მომთხოვნელობაც მრევლისადმი, შიში გარშემომყოფთადმი და მრავალი სხვაც, – გაივლის, ძლეულ იქმნება და შეიცვლება სხვა ახალი ენერგიული აღმაფრენით სამღვდლო მსახურებისა. მოწყენება კი ლამის სასიკვდილო საშიშროების მანიშნებელია მღვდლობის საქმეში. ინტერესის დაქვეითება საკუთარი მსახურებისადმი, რომელსაც ზოგჯერ წარუმატებლობა და გარემოს სიტლანქე, გახევებულობა წარმოშობს, ადვილად შეიძლება მოჰყვეს ის, რომ მღვდელი უღონოდ ჩამოჰყრის ხელებს (განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის მეტისმეტად ენდობოდა საკუთარ ძალებს), სულიერად დაძაბუნდება, სასოს წარიკვეთს, ურვას იწყებს და უიმედობით განიმსჭვალება თავისი სამღვდლო მსახურობისადმი. ამ დროს მას უქრება ლოცვის სურვილი, იგი თავს არიდებს საღმრთო ლიტურგიის აღსრულებას, ეკარგება ინტერესი საერთოდ სულიერი ცხოვრებისადმი, – და ყოველივე ამის ახსნა-გამართლებას უწყინარი მიზეზებით ცდილობს – ავადმყოფობით, დაღლილობით და მისთანათი. თითქმის შეუმჩნეველად ეპარება ასკეტიკაში ცნობილი „გაქვავებული უგრძნობლობაც“. და მაშინ ჰქრება გულმოდგინებისა და საღმრთო მოშურნეობის ის ცეცხლიც, რომელიც უწინ ძალუმად გიზგიზებდა მასში. ამ დროს მღვდელი ფორმალისტ-მოხელეს ემსგავსება, ოდენ მოვალეობის მოსახდელად რომ აღასრულებს ღვთისმსახურებას, სხვა სამღვდლო მოქმედებებს, და საერთოდაც რომ ცდილობს მალე მოითავოს მოსაწყენი სამუშაო. ამგვარ გათანგულ, გულაცრუებულ, შეურევებულ და სასოწარკვეთილ მწყემსს ძალზე ხშირად უჩნდება წინააღმდეგობის სურვილიც საეკლესიო წესდებულებისადმი, საეკლესიო ტრადიციისადმი, სულიერ ფასელობათა დამკვიდრებული იერარქიისადმი, ასკეტიკისადმი. „ყველაფერი ეს მოძველდა!“ „ყოველივე ეს უკვე აღარ არის განკუთვნილი ჩვენთვის!“, „ბევრი რამ უნდა გადაიხედოს“,

„რეფორმირება აუცილებელი!“ – ფიქრობს ასეთი მღვდელი. ანუ იმის ნაცვლად, რომ თვითონ გაუთანასწორდეს საეკლესიო წესდებულების მოთხოვნებს, მას სურს თავისი განწყობილებებით განზომოს ეკლესიურობა, თანაც სწორედ ამგვარ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა, ანდა, უფრო სწორედ თავისი განუწყობლობით განზომოს და სწორედ საეკლესიო დადგინებანი მიუსადაგოს თავის მცონარებასა და არაგულმოდგინებას. ხოლო თუკი მღვდელი უწინ, ახალგაზრდობაში განსაკუთრებული ძალით იყო მინდობილი თავის „მოწოდებას“, ანდა თავისი ბუნებით ადვილად შეეძლო გატაცება თუ გულის გაცრუება, მაშინ ზემოხსენებულ სულიერ დებრესიაში იგი სასოწარკვეთას უახლოვდება და სულაც შეიძლება ზურგი აქციოს იმას, რასაც აქამდე ეთავყვანებოდა. ამის შედეგი ხშირად არის ხოლმე მღვდლობისაგან განყენება, განკვეთა და სულიერი სიკვდილი.

გულგაცრუებაზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ საცთურზე მღვდელმსახურისათვის მისი სამწყემსო ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდებით. „გულგაცრუება, „განხიბლვა“ იქ ჩნდება, სადაც უწინ რაიმეთი ზედმეტი გატაცება და „მოხიბლვა“ იყო. მოხიბლვა, ანუ „შეყვარებულობა“ არ არის სიყვარულის ნამდვილი გრძნობა (ადამიანისადმი, საქმისა თუ პროფესიისადმი). „მოხიბლვა“ რაიმეთი არის დამახინჯებული, გარდაქცეული დამოკიდებულება საგნისადმი; ესაა გადამეტებული ემოციური შეფასება ამ საგნის ნიშან-თვისებებისა და მიმზიდველი მხარეებისა. როცა ხიბლი გაივლის, სადაგი ღღეები თავის უფლებებს დაიბრუნებენ და გამომჟღავნდება ყველა პროზაული მხარე (ადამიანისა, სამსახურისა, საქმისა და მისთანათა), მაშინ აღმოჩნდება, რომ სულაც არ გვქონია ნამდვილი გრძნობა, არამედ თვითმოტყუება მძლავრობდა ჩვენზე, რის გამოც კერპს ვეთავყვანებოდით, ცრუს, მომატყუებელს, და არა – ჭეშმარიტს.

სამწყემსო გულგაცრუებას, განხიბლვას ანაზღად მოტყუებამდე მიჰყავს ადამიანი: ის, რაც ადრე იზიდავდა მას, რაც თავის მოწოდებად მიაჩნდა რისი სიყვარულიც, რო-

გორც ეგონა, ჰქონდა, უკვე აღარ იზიდავს მას; საცთურ-ქვეშ მყოფთ მღვდელს ჰგონია – მოვტყუვდი ჩემს არჩევანში, როცა მოწოდებად მივიჩნევდი იმას, რაც სულაც არ ყოფილა ჩემი მოწოდება. სად უნდა ვეძიოთ ასეთი გულაცრუების მიზეზი? – პირველყოფლისა თვით ახალგაზრდა მღვდელმსახურის თავდაჯერებულობაში. თავიდან მას არასწორად შეუფასებია საკუთარი შინაგანი ძალები, ხოლო შემდეგში დაუნახავს, რომ, აღარ ჰყოფნის ის, რაზეც ადრე ფიქრობდა – მთელის სისრულითა და აღმატებით მაქვსო. მას დავიწყებია ხელდასხმის ლოცვის ღმრთივსულიერი სიტყვები, რომლებიც გვილაღადებენ: საღმრთო მადლი, უძლურთა მკურნალი და დატაკი აღმავსებელი, თავმდებობს ყოვლად უზენაესის წინაშეო... მას დავიწყებია, რომ არა საკუთარი სუსტი ძალებით, არა მისი ცოდნითა თუ ნიჭით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საღმრთო მადლის შეწევნითაა შესაძლებელი იმის შეძენა, რაც მას არა აქვს, – იმ მადლით, რომელიც ყოველივეს ადავსებს, სრულჰყოფს და განამდიერებს.

სამწყემსო მსახურების გზაზე განსაკუთრებულ საცთურად უნდა ვაღიაროთ იმ სულიერ ნიჭთა სეკულარიზაცია, რომლებიც მღვდელმსახურს ხიროტონიის ხელდასხმის დროს ზეგარდმო მოემადლება. სეკულარიზაცია მღვდელს გარეგნულად მიმზიდველი მოტივებით აცთუნებს: თითქოსდა, იგი თანამედროვე ადამიანი უნდა იყოს, თავისი სამწყემსო ინტერესებით ცხოვრობდეს, იცნობდეს ცხოვრებას ყველანაირ გამოვლინებაში, იყოს ყველასთვის სამაგალითო, კულტურული ადამიანი და ა.შ. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მოთხოვნები, როგორც ასეთი არაფერს სახიფათოსა და საზიანოს არ შეიცავენ. მღვდელმსახური მართლაც უნდა უპასუხებდეს ამ მოთხოვნებს – სხვაგვარად ვერ გაუგებს თანამედროვე ადამიანს ყველა მისი პრობლემითა თუ სურვილით, შეცდომითა თუ დაცემით, სულიერი ძიებებითა და საცთურით, ხოლო ასეთი გაგების გარეშე, ბუნებრივია, ყოვლად შეუძლებელია მღვდლისათვის ჯეროვანად წარმართავდეს მრევლის სულიერ ცხოვრებას. სეკულარიზაციის საშიშროება

სხვა რამეშია დაფარული – მღვდელმსახურის მხრივ გადამეტებულ გატაცებაში საერო ინტერესებით. თანადროული ცხოვრების ცოდნა, განათლება, კულტურა – ყოველივე ეს სასარგებლო და აუცილებელი საშუალება უნდა იყოს სამწყემსო მსახურებაში, ოღონდ არამც და არამც მღვდელის ცხოვრების მიზანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე ადვილად შეიძლება საერო გატაცებათა ურიცხვ სიმრავლეში ჩავარდნა, რის შედეგადაც მღვდელი შეუმჩნევლად იწყებს გადაქცევას მწყემს-ინტელექტუალად, მწყემს-პოლიტიკოსად, მწყემს-პუბლიცისტად, მწყემს-თეატრალად და მისთანებად. ყოველივე იმის ცოდნა, რაც სამწყემსოს აინტერესებს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა; მრევლის წინამძღვრობა ამ მიმართებით, უდავოდ, აუცილებელია, მაგრამ ის, რომ მღვდელი თვით მიეცეს ამ გატაცებებს და ამის ძალით თავისი სულიერებაც განაბნოს სხვადასხვა ჯურის „თანამედროვე მოთხოვნებზე“, ლოცვითი თუ ასკეტური ღვაწლიც შეასუსტოს, – ეს დამლუპველი იქნება მისთვის, ხოლო საქმისთვის – ყოვლად უსარგებლო. მღვდელმსახურისგან მრევლს შეიძლება სურდეს საფუძვლიანი სიტყვის მოსმენა ამა თუ იმ კულტურული მოვლენის შესახებ, მაგრამ თვით ეს სამწყემსო სიტყვა, ანუ სულიერი სიტყვა სხვა სამყაროდანაა და სხვა კრიტერიუმებით განიზომება...

სრულიად ცალკე უნდა გამოვეყოთ საცთურთა ის ჯგუფი, რომელთაც ჩვენი ზოგიერთი ღვთისმეტყველი უფლის უდაბნოში გამოცდას უკავშირებს, როცა ეშმაკმა სამი საცთურით სცადა მისი გადაბირება.

ეს საცთურნი მოკლედ შეიძლება დავახასიათოთ როგორც ცთუნება მატერიალური სიკეთეებით (გამოცდა პური), ცთუნება ძალაუფლებით, ავტორიტეტით (გამოცდა სუფევით ამა სოფლისა) და ცთუნება „სიწმინდისა“ (გამოცდა სასწაულმოქმედებით). თითოეულ მათგანზე უფრო დაწვრილებით უნდა ვილაპარაკოთ, რადგან მათთან სხვა საცთურებიცაა დაკავშირებული, რომელთა ჯეროვანი გაგება და გულისხმის-ყოფაც შესაძლებელია სწორედ ამ სამი საცთურის გათვალისწინებით.

1. ცთუნება მატერიალური სიკეთეებით.

მღვდელმსახურს, ისევე როგორც, საერთოდ, ნებისმიერ სხვა ადამიანს, უსათუოდ სჭირდება ზრუნვა არა მხოლოდ სულიერ, არამედ მატერიალურ კეთილდღეობაზე თავისაც და თავისი ოჯახისაც, „რამე თუ არავინ სადა თავი თვისი მოიძულოს, არამედ ზრდინ და ჰფუფუნებენ მას, ვითარცა ქრისტე ეკლესიასა, რამეთუ ასონი ვართ გუამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი“ (ეფეს. 5,29–30). ასეთი მზრუნველობა სავსებით სჯულიერი და გამართლებულია. სამღვდლო მსახურება არ მოითხოვს მღვდლისაგან, რომ მან დაივიწყოს და უგულვებელჰყოს თავისი სახლი, ოჯახი, შვილები. მსხვერპლგამღებლობა მწყემსის მხრიდან არ უნდა სცილდებოდეს იმ ზღვარს, როცა იწყება განურჩევლობა საკუთარი ოჯახისადმი, ახლობლებისადმი, სახლეულთა კეთილდღეობისა და ყოფითი პრობლემებისადმი. საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა რომ უზრუნველყოს, შვილები გამოკვებოს, შემოსოს, მათს ჯანმრთელობასა და სისუფთავეს მიხედოს, შინაც აუცილებელი ნივთები იქონიოს – ყველა ეს საზრუნავი საძრახისი როდია მღვდელისთვის. ისინი უშუალოდ მის უმთავრეს საქმეთა და მოვალეობათა რიგში უნდა ვიგულოთ და მათში არამც და არამც არ შეიძლება დავინახოთ ცთუნება მატერიალური სიკეთეებით. ამგვარი საცთური მაშინ ვლინდება, როცა ამ სიკეთეთ ზიანი მოაქვთ მღვდლის სულიერი წყობისა და მისი საეკლესიო მსახურებისათვის. იგი ახალგაზრდა მღვდელსაც ემუქრება, რომელსაც არა აქვს სამწყემსო ცხოვრების გამოცდილება, და იმ მღვდელსაც, ვისაც სულიერი ცხოვრების გამოცდილება არ შეუძენია. **ორსავ შემთხვევაში ცთუნება მატერიალური სიკეთეებით, როგორც წესი, წარმოიშვება შეუსაბამობით მღვდლის მაღალ, სასულიერო წოდებით გაპირობებულ მღვდლ-მარეობისა და მის დაბალ სულიერ დონეს შორის, რასაც მისი პირადი ქრისტიანული ცხოვრება განსაზღვრავს.** ასეთ მღვდელს ჰგონია, ჩემი სასულიერო ღირსების ძალით მატერიალურადაც სხვებზე უკეთესად უნდა ვცხოვრობდე, და შეუმჩნევლად უჩნდება მისწრაფება ფუფუნებისადმი, გამდიდრებისადმი,

ძვირფასი ნივთების შეძენისადმი, ავტომობილების, ავეჯის, შესამოსელისადმი... ქვეყნიურ სიკეთისადმი გულგრილობის ნაცვლად მასში ზრდას იწყებს ვნება მომხვეჭველობისა, თავისი შემოსავლის გამრავლებისა. ამის გამო თანდათანობით იგი ჩაიხშობს საკუთარ თავში თანაღმობის გრძნობას დაჩაგრულთადად, სნეულთადად თუ ღარიბ-გლახაკთადად, და ივიწყებს, რომ მისი სამწყემსო ძალაუფლების ბუნება და მისი მაღალი მდგომარეობა საღმრთო მემკვიდრეობაზე გაბატონებაში კი არ უნდა ვლინდებოდეს, არა იმაში, რომ მას ემსახურებოდნენ და განამდიდრებდნენ, არამედ – იმაში, რომ თვითონ ემსახურებოდეს სხვებს: იქმნას უძლურთა თანა-უძლური, რათა შესძინოს ისინი ღმერთს და „ყოველთა ექმნას ყოვლად, რათა ყოველნი აცხოვნოს“ (I კორით. 9,22). ასეთ მღვდელს ღირებულებათა განსაკუთრებული სისტემა უმუშავდება, დაფუძნებული არა სახარებისეულ უანგარობასა და უპოვარებაზე, არა სამწყემსო თავგანწირვაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნიურ კეთილდღეობაზე, და მისი გამოიხატებით მეტისმეტად ადვილად ამართლებს თავის მომხვეჭველობასა და ფუფუნებას. ამ მოვლენის ტრაგიზმი იმითაც მძაფრდება, რომ სიმდიდრესა და ფუფუნებას მღვდელი მოიპოვებს თავისი სამწყსოს შემოწირულობათა წყალობით, იმ მორწმუნე ადამიანებისაგან მოძღვნილი სიკეთეებით, რომელნიც, სახარებისეული ქვრივი ქალის მსგავსად, მზად არიან ეკლესიისათვის უკანასკნელი „მწვლილი“ გაიღონ (მარკ. 12,42). მატერიალური სიკეთეებისაგან მომდინარე საცთური მღვდელს იმ ზომამდე შეიძლება ეუფლოს, რომ ღვთისმსახურებათა, საიდუმლოთა და საეკლესიო წეს-ჩვეულებათა აღსრულება მისთვის ლოცვად კი არა, „შემოსავლის“ წყაროდ იქცეს, საწყალობელია მომხვეჭელი მღვდელი; ნივთების სიყვარულით დასწებოვნებული, იგი ივიწყებს უდიდეს საღმრთო საბოძკართა და ნიჭთ: სულისწმიდისმიერ სიხარულს, კადნიერი ლოცვის უნარს მისდამინდობილი ღვთის ერისათვის, შესაძლებლობას იცხოვროს ამ ერის ცხოვრებით, გაიზიაროს მისი ბედ-იღბალი, ხვედრი, მისი მწუხარება თუ

სიხარული. ამგვარი მღვდელმსახურის გული ხალხისთვის კი არა, სიმდიდრისათვის არის გახსნილი, რამეთუ „სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“ (მათე 6,21). **მატერიალური სიმდიდრით ცთუნებული მღვდლისაგან თითქმის ვერაფერს მოისმენ ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებების შესახებ – ღმერთის ღირებულებისა და სრულყოფილების შესახებ, ცათა და ქვეყანას რომ აღავსებს; თვით ქრისტიანული სარწმუნოების ღირებულებისა და ძლევამოსილების შესახებ, სულიერი ცხოვრების სიმშვენიერის შესახებ... სამაგიეროდ მას ხალხისთ და საქმის ცოდნით უყვარს საუბარი ცივილიზაციის სიკეთეთა შესახებ; კომფორტაბელური სახლებისა და ბინების, სამამულო და უცხოური ავტომობილების მარკების შესახებ, მაგნიტოფონების, ტელევიზორების, ვიდეოკამერების, ავეჯის, გარნიტურების, ნატიფი შესამოსელისა და მოდის შესახებაც კი. ესევეთარი მწყემსისთვის ზომ არ არის ნათქვამი აპოკალიპსის სიტყვები: „...იტყვი: მდიდარი ვარ და განვმდიდრდი და არარაი მეხმარების! და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშველ“ (გამოცხ. 3,17). და განა რა უნდა მისცეს ასეთმა მღვდელმა თანამედროვე ადამიანს, მცხოვრებს იმ მსოფლიოში, სადაც უკვე დაკარგული აქვთ სულიერი ორიენტირები და ელემენტური წარმოდგენები ზნეობრივ ღირებულებებზე, – მსოფლიოში, რომელიც სულიერი სუროგატებითაა სავსე და ყოველ ნაბიჯზე სიცრუეს ჭეშმარიტებად ასაღებს? ან კი როგორ აღზრდას მიიღებს ასეთი მღვდლის „შინაური ეკლესია“, ანუ მისი ოჯახი და მისი შვილები? განა მთავარ „აღმზრდელებად“ ამ შემთხვევაში მომხვეჭელობა და ფუფუნება არ იქნება, რომელთა წინააღმდეგ თვით ოჯახის მეთაურმა ვერ გააწყო ვერაფერი?**

არ უნდა დავივიწყოთ ის სამწუხარო და არცთუ უმნიშვნელო ფაქტი, რომ სიმდიდრით ცთუნებული მღვდელი, თავის მხრივ, სხვა ადამიანთა ცთუნების წყაროდაც იქცევა. თავისი ცხოვრებით იგი უკვე კი არ ქადაგებს ქრისტეს, არამედ მაღავს მას გარშემომყოფთაგან, რაც განსაკუთრებით დღეს არის

სახიფათო, როცა უმრავლესობამ თითქმის არაფერი იცის ნამდვილი ქრისტიანობის შესახებ და ხშირად მასზე მხოლოდ სამღვდელთა ცხოვრების წესითა თუ ქცევით მსჯელობს. მაგრამ ფუფუნებით მცხოვრები მღვდელი ზოგჯერ იმ ადამიანებსაც აბრკოლებს, რომელნიც ეძიებენ ღმერთს და ცდილობენ ქრისტიანული სარწმუნოების სიღრმეებს მისწვდნენ, – აბრკოლებს და ხელს უშლის მათ საღმრთო ჭეშმარიტების შეცნობაში, რამეთუ ასეთ შემთხვევაში მათ ძალა არ შესწევთ დასძლიონ წინააღმდეგობრიობა: სახარება უპოვარებას, უანგარობას გვასწავლის, მღვდელი კი მომხვეჭელობას ესწრაფვის; სახარება მოგვიწოდებს არ ვზრუნავდეთ ხვალისდელი დღისათვის, მღვდელი კი ახალ-ახალ „საუნჯეებს“ იშენებს „ყოველთა ნაყოფთა და კეთილთა თვისთა“ შესაკრებად (ლუკა 12,18); ცხოვრების ნორმად სახარება თავის მსხვერპლად გაღებას დაგვიდგენს, მატერიალური კეთილდღეობით ცთუნებული მღვდელი კი ანგარებას დამონებია. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ არაეკლესიურად მცხოვრებ ადამიანთაგან, ზოგჯერ, საშინელ სიტყვებსაც ვისმენთ ამგვარი მღვდელმსახურის შესახებ: თქვენი მღვდელი თავისი ცხოვრებით იმ სარწმუნოებას როდი ამკვიდრებს, რასაც ამბიონიდან გიქადაგებთო.

ყოველივე ეს ცხადად გვიჩვენებს, თუ სამწყემსო ცთუნებათაგან რამდენად სახიფათოა სიმდიდრის, მატერიალური კეთილდღეობის საცთური და თუ რა აუცილებელია მღვდლისთვის ზომიერებისა და თავშეკავების სახარებისეული პრინციპების დაცვა საკუთარ ცხოვრებაში.

2. ავტორიტეტის („ხელმწიფების“) საცთური. არანაკლებ მომხიბვლელია და გაცილებით უფრო დახვეწილი ძალაუფლების საცთური, რომელიც ადვილად ვრცელდება მღვდელმსახურის ცხოვრებასა და საქმიანობაში. იგი სულაც არ მდგომარეობს მხოლოდ კარიერიზმში ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ანდა მღვდლის პატივმოყვარეობისა და თვითგანდიდების დაუკმაყოფილებელ წყურვილში. თუმცა ყველაფერი სწორედ ამით იწყება. მღვდელი, რომელიც ეჩვევა ეკლესიაში არ-

სებულ ჩვეულებას სამღვდელთა სხვადასხვა ჯილდოებით გამორჩევისა, ადვილად ეძლევა პატივმოყვარე სურვილებს. იგი ანგარიშსაც იწყებს, როდის მიიღებს კამილაკას, როდის ამაღლდება დეკანოზის წოდებაში, როდის დაჯილდოვდება მიტრათი თუ საეკლესიო ღირებულების სხვა რამ ნიშნით. მას თავისებური ადგილუფროსობისკენ მიდრეკილებაც უვითარდება, რაც იმაში მჟღავნდება, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს ბევრ გარეგან ამბებსაც – თუ მღვდელმთავრის რომელ მხარეს იდგება საერთო-სადღესასწაულო ღვთისმსახურებათა აღსრულების ჟამს და, საერთოდაც, რა ადგილი უკავია სამღვდელთა შორის.

მაგრამ ესოდენ გარეგანი პატივმოყვარეობა და მისწრაფება კარიერის შექმნისაკენ, მხოლოდ უდაბლეს და ნაკლებ სახიფათო ფორმას წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი საცთურისა ძალაუფლებით. გაცილებით უფრო საშიშია ყოველივე ის, რაც გარეგან პატივმოყვარეობაში კი არ მჟღავნდება, არამედ რასაც ღრმად გაუდგამს ფესვი მწყემსის გულში და რაც მასში სულიერი ხელმწიფებისაკენ სწრაფვას ალაგზნებს.

ამ დროს მღვდელს სურს სულიერად ბატონობდეს ადამიანებზე და ავიწყდება, რომ იგი ადამიანთა ხელახალი, სულიერი შობისთვის არის მოწოდებული ახალი, ქრისტესმიერი ცხოვრების დასაწყებად. ამ საცთურის ყველაზე გავრცელებული ფორმაა წყურვილი იმისა, რომ სამწყემსო უსიტყვოდ ემორჩილებოდეს მღვდელს ყოველივეში. ასეთი მღვდელი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა და გადამეტებულად გულმოდგინე, თავის თავს მისდა მინდობილ სულთა ღმრთივსულიერ წინამძღვრად და უდიდეს ავტორიტეტად წარმოიდგენს, ისეთ სულიერ მოძღვრად, როგორნიც მხოლოდ უდაბნოში მრავალწლიანი მოსაგრეობით გამობრძმედილი მოხუცი ბერები იყვნენ, და მრევლისაგანაც ამიტომ სულ უსიტყვო მორჩილებას ითხოვს, მთლიანად მწყემსის ძალაუფლებისათვის თავის მინდობას. ამ მხრივ ზოგიერთი, ყოველგვარ ზომიერებას გადასული მწყემსები მზად არიან სულიერ შვილთა მთელი ცხოვრება აკონტროლონ, ისე, რომ სულ არ გაუწიონ ანგარიში

თითოეულის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ხოლო რაც უმთავრესია, არ ითვალისწინებენ საკუთარ მონაცემებსა და შესაძლებლობებს.

ამავე საცთურის მეორე ფორმა სამომდევრობო სფეროში ვლინდება. ახალგაზრდა და გამოუცდელ, უფრო სწორად კი, არაგონიერ მღვდელს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, სურს ბრძენი მოძღვარი, ღმრთივგანბრძნობილი მასწავლებელი იყოს თავისი სამწყსოსათვის. თავს იგი სხვებზე ღრმა მცოდნედ თვლის ყველა სფეროში, ყველაფერში ხელმწიფებრივად ერევა და ყველასაგან მოითხოვს თავისი ამ ხელმწიფების აღიარებას. სინამდვილეში იგი სულაც არ არის დიდი ავტორიტეტი ბევრ სხვადასხვა საკითხში, მაგრამ რაკი ცდილობს ასეთი იყოს, სწორედ თავისი სამღვდლო ღირსებით ცდილობს განამაგროს საეჭვო მტკიცებანი და შეხედულებანი. ასე, რომ ჭეშმარიტების ხარისხი ამ შემთხვევაში თვით მის შინაარსზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ ვინ გამოთქვამს მას. ყველაზე საფუძვლიან არგუმენტად ასეთი ცთუნებული მწყემსისათვის მხოლოდ ეს სიტყვებია – „ამას მე გეუბნებით თქვენ როგორც მღვდელი!“ ანდა ესა: „ამას გეუბნებით როგორც არქიმანდრიტი!“ და ასეთმა არგუმენტმა, მისი აზრით კიდევ უფრო დიდი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მერყევ გულზე. თუმცა უფრო ნაკლები ძალის არგუმენტიც ხშირად მოუსმენიათ მორწმუნეებს – „ამას მე თქვენ გეუბნებით როგორც დიაკვანიო!“

როცა რაიმე დებულების ჭეშმარიტობის კრიტერიუმად თვით ნათქვამის შინაარსი კი არ მიიჩნევა, არამედ ის ადგილი, საიდანაც იგი წარმოითქმება, მაშინ მოცემული ჭეშმარიტების წონა სულაც არ იზრდება ოდენ ამით. სათუო მტკიცებას გონიერი და ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანის თვალში ვერ განამაგრებს ვერც მხოლოდ წოდება მისი წარმომთქმელისა (სულერთია არქიმანდრიტი იქნება ეს სასულიერო პირი, დეკანოზი თუ მთავარდიაკვანი) და ვერც ოდენ გეოგრაფიული მდებარეობა ამა თუ იმ საეპისკოპოსო კათედრისა.

ამ საცთურს ძალაუფლების მოყვარებისა, ამ ცთუნებას ავტორიტეტით ყოველი მღვდელმ-

სახური ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრიდეს საკუთარ თავში; და მის სანაცვლოდ თავმდაბლობით და ქრისტესმიერი მორჩილებით წარმოთქვამდეს გონივრულ, ბრძნულ, საფუძვლიან, დასაბუთებულ და საეკლესიო მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით გამაგრებულ საღმრთო სიტყვას.

ყოველ ჭეშმარიტ მღვდელმსახურს ქრისტეს ეკლესიისა გარეგანი დიდება-პატივის ძიება კი არ უნდა ამოძრავებდეს, წოდებებისა და ჯილდოების მიღების სურვილი კი არ უნდა წარმართავდეს და არც ის, რომ მრევლის სულიერად დამორჩილებას ესწრაფვოდეს და შეურყეველი ავტორიტეტის ძალაუფლება ჰქონდეს სამწყსოზე, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების სამსახური, ეკლესიისა და მორწმუნეთა სასიცოცხლო ინტერესები.

ყოველთვის უნდა გვანსოვდეს, რომ თავისი ზეციური მწყემსმთავრის – უფალ იესო ქრისტეს მიბაძვით, მღვდელი თვით უნდა ესწრაფვოდეს სხვათა მსახურებას და არ ელოდეს, არ მოითხოვდეს სხვათაგან სამსახურს.

მღვდლის ნამდვილი ავტორიტეტი, ანუ ჭეშმარიტი სულიერი ძალაუფლება თავისთავად ვლინდება ვითარცა ზეგარდმო მომადლებული ნიჭი, როგორც მორჩილებისა და ასკეტურობის ნამდვილი სულიერი ღვაწლის კეთილი ნაყოფი. ვისაც ჰქონია შეძენილი ეს შეურყეველი სულიერი ავტორიტეტი, მას ყველაზე ნაკლებ მიუძრათავს წამოჭრილი კამათის დროს თავისი სამღვდელმსახურო წოდებისა და ღირსებისათვის, თავისი ძალადი მდგომარეობისათვის, გარეგანი წარჩინებისა თუ ღიპლომებისათვის, და არც მითუმეტეს, ჭეშმარიტებისადმი არ დაუპირისპირებია ყოველივე ეს თავის უპირატესობათაგან. რამეთუ ჭეშმარიტება ყოველთვის თვით დადადებს საკუთარი თავისთვის.

ამასთან დაკავშირებით უპირანია შეგხედოთ სამწყემსო ცხოვრების ერთ ასეთ გარემოებასაც: თუკი მღვდელი ბუნებრივად იღებს პატივისცემის ნიშნებს თავისი სასულიერო წოდებისადმი – ლოცვა-კურთხევის გამოთხოვას, ადგილის დათმობას, მოწიწებით მოსმენას და ა.შ., მაშინ მისი გულისთვის

განსაკუთრებით საწყენი და სამწუხარო უნდა იყოს ამის საწინააღმდეგო გამოვლინებანი, კერძოდ კი ყოველგვარი უპატივცემლობა მისი წოდებისა და ღირსებისადმი, წინასწარ განზრახული შეურაცხყოფა მღვდლისა, უჯერო შესტების გამოხატვა და უგვანი სიტყვების გამოთქმა მისი მისამართით, და, შესაძლოა, უფრო უხეში გამოხდომებიც მის წინააღმდეგ. ამასთან უნდა შევნიშნოთ ორი რამ: პირველ ყოვლისა, მღვდელმა კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს რატომ არსებობს ასეთი უჯერო დამოკიდებულება სულიერი მწყემსისადმი? რა თქმა უნდა, ამის ახსნა შეიძლება ბოროტი სულის შემოქმედებით, რომელსაც სძულს ყოველივე ჭეშმარიტად სულიერი, საეკლესიო, არაქვეყნიური, არასაერო. მაგრამ, ამასთანავე, სხვა რამეც ხომ არ უნდა ჰკითხოს მოძღვარმა თავს, კერძოდ კი – თვით მე ხომ არ მიმიცია საბაბი ასეთი დამოკიდებულებისათვის სამღვდლო ღირსებისადმი? თვით მე ხომ არა ვარ მიზეზი იმისა, რომ სამღვდლო წოდება აღარ იწვევს ადამიანთა პატივისცემასა და მოწიწებას?

შესაძლოა ამგვარად შეურაცხყოფილი მღვდელი თვითონ პიროვნულად არც არაფერში იყოს დამნაშავე და არანაირ საბაბსაც არ იძლეოდეს დაეჭვებისათვის, უღირსი კაცი ხომ არ არისო იგი; მაგრამ ხომ არ არიან დამნაშავენი ამაში სხვა, უღირსი მღვდლები, რომელთაც თავიანთი ქცევით უღალატნიათ სულიერი მოწოდებისადმი და სამღვდლო წოდებაც ლაფში ამოუსვრიათ?

მღვდლის ზემოხსენებული შეურაცხყოფაც რაღაც პასუხს ხომ არ წარმოადგენს მათი ცოდვებისათვის?... მეორეს მხრივ კი უნდა შევნიშნოთ, რომ მღვდელი ვალდებულია ყოველი ასეთი შეურაცხყოფილი, უგულვებელმყოფელი თუ გაბოროტებული დამოკიდებულება თავისადმი თავმდაბლობით, მორჩილებითა და მადლობით მიიღოს; რომ მან ქრისტეს გულისათვის ყოველივე უნდა დაითმინოს, ღვენაც, შეგინებაც, – ესაა მისი დანიშნულება და ხვედრი, და ყოველთვის მხნედ, ღირსეულად და უბრალოდ განაგრძოს თავისი სამღვდლო აღმსარებლობითი ღვაწლი უფლის სახელისათვის.

3. საცთური „სიწმინდით“. ეს საცთური, უდავოდ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ყველაზე სახიფათოდ უნდა ვაღიაროთ მღვდელმსახურთა საწინააღმდეგო საცთურთაგან. მისი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ „სიწმინდით“ საცთური უმაღლესი რიგის აღძვრათაგან მომდინარეობს, მისწრაფებისაგან განსაკუთრებული სულიერი სრულყოფისაკენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ძალუძს სრულიად შეუმჩნეველად ხიბლის ცოდვაში ჩააგდოს მღვდელმსახური, ანუ სულიერი თვითცთუნების ცოდვაში.

ყოველი მღვდელმსახური სიწმინდეს, სულიერობას უნდა ესწრაფოდეს, ანუ, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვით რომ ვთქვათ – ზეციურობას. მთელი თავისი არსებობითა და მოქმედებით მღვდელი სიწმინდის წინაშე ღვას. ყოველდღიურად არის რა წინამდგომი უფლის საყდრისა, მღვდელი წარმოადგენს შუამავალს ადამიანებსა და შემოქმედ ღმერთს შორის ანუ იმათ შორის, ვინც, ერთის მხრივ, ეძიებს სიწმინდეს და ვინც, მეორეს მხრივ არის სიწმინდის წყარო. იგი მღვდელ მოქმედებს, ლოცულობს. შეეხება სიწმინდეთ. ხელდასხმაში, მღვდლად კურთხევისას, მას საღმრთო მადლი ენიჭება, რომელიც ყოველივეს აღემატება. მისი მსახურება, წმინდა ეფრემ ასურის სიტყვით, უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნიური მეფის მსახურება. და რაც უფრო მეტად შეაღწევს მწყემსი თავისი მსახურების საიდუმლოში, მით უფრო მეტად განიმსჭვალება სიწმინდის ამ ატმოსფეროთი. როცა ის თრთოლავითა და ძრწოლით შეეხება სიწმინდით აღსავსე საეკლესიო ჭურჭელს, მაშინ თვითონაც კეთილსურნელების გამოცემას იწყებს. და ეს სავსებით სჯულიერია, რამეთუ სწორედ ამისკენ უნდა მიაპყროს თავისი სულიერი მხერა ყოველმა მღვდელმსახურმა – სწორედ სიწმინდე უნდა იყოს კიდევ მისი ცხოვრების, სიტყვებისა და საქმეების ნორმა.

მღვდლის მიერ აღსრულებული ყოველი საღმრთო საიდუმლო, ყოველი მღვდელმოქმედება არის კადნიერი თხოვნა ღმერთის წინაშე სასწაულისა და ეს სასწაული ნამდვილად აღესრულება ყოველი მღვდელ-

მოქმედების დროს, მიუხედავად მღვდლის პიროვნული ღირსება-ნაკლოვანებებისა, მისი გონებისა, გარეგნობისა, შესაძლებლობებისა და უნარისა. წყალი იკურთხება, განიწმინდება, ცოდვები მოეტევებათ, ევქარისტული მსხვერპლი გარდაიქმნება უფლის სხეულად და სისხლად, იკურთხებიან და განიწმინდებიან ხატები, ჯვრები, შესამოსელნი, სახლნი და, საერთოდ, „ყოველნი ნივთნი“. მღვდლის მთელი საქმიანობა არის თეურგიული ქმედება; ყოველივე ჩვეულებრივი და ჩვეული მისი ლოცვის ძალით კურთხეული და წმიდა შეიქმნება, ანუ უჩვეულო და ხელშეუხებელი გაუნდობელთათვის, მიუწვდომელი სხვათათვის. ერთის სიტყვით, მღვდელი სასწაულის, ყოველივე სასწაულებრივის ატმოსფეროში ცხოვრობს და მოქმედებს. მისი სამფლობელო – სასწაულებრივის სამფლობელოა.

ყოველივე ეს სჯულიერად, უდავოდ და თავისთავადი სიცხადით გამომდინარეობს სამღვდლო მსახურების თვით არსისაგან. მღვდელი ლოცულობს, მეობ-ყოფობს, მოუწოდებს, სულიწმიდის საღმრთო მადლი კი ყოველივეს აღავსებს, განკურნავს, გარდაქმნის, აკურთხევს და განსწმენდს. ასევე ბუნებრივია მღვდლის მისწრაფებაც უფრო მეტი სიწმინდისაკენ, კიდევ მეტ კადნიერებათაკენ ღვთის წინაშე, რამეთუ იგი, ყველა სხვა ადამიანის მსგავსად, მოწოდებულია იყოს სრულყოფილი, ვითარცა სრულყოფილია ჩვენი ზეციური მამა (მათე 5,48). „სიწმინდის“ საცთური სხვა რამეშია დაფარული.

როგორც ოდესღაც გამომცდელი ბოროტი ანგელოზი მოუხდა უფალს მოთხოვნით – სასწაული მიჩვენეო – თუკი ღმერთის ძე ხარ, გარდაიდგე თავი ტაძრის სახურავის სიმაღლიდან და სასწაულიც უთუოდ აღსრულდება, რადგან ანგელოზები, ხელთ აგიტაცებნო, აი, ასევე გამოუცდელ მღვდელსაც მისი ცხოვრების რომელიღაც წუთს გამომცდელი ბოროტი სული მოუხდება და სწორედ იმავე სასწაულისმიერი საცთურით ცდილობს შეაცდინოს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ, უფლის გამოცდისას, სატანა უფლის თვითმკვლელობითს აქტს მოელოდა, აცთუნებდა რა მას საღმრთო

წერილის სიტყვებით (ამასთან არასწორად, დამახინჯებულად მოხმობილით), ხოლო აქ, მღვდელმსახურების ცთუნებისას, მზაკვრის ხმა ახალგაზრდა მწყემსს ჩააგონებს – ეს სწორედ შენ, საკუთარი სრულყოფილებისა და შემძლეობის გზით უკვე განსაკუთრებული ძალისა და სიწმინდისათვის მიგიღწევია და სავსებით ძალგიძს სასწაულთმოქმედებაო. ასე, რომ გამოუცდელ მღვდელს მზაკვარი სული გაიტაცებს და შეიპყრობს ხოლმე ყველაზე ფაქიზი და ამაღლებული რამის მეშვეობით მის მსახურობაში, – სრულყოფილების, სიწმიდის იდეალის მეშვეობით. ამ დროს ეშმაკი მეტად მაცთურ აზრს შთააგონებს მღვდელს, – კერძოდ კი იმას, რომ მას უკვე მიუღწევია რაღაც განსაკუთრებული ზღვრისათვის და სრულყოფილების ღირსი შექმნილა.

ამის გამო, ცთუნებული მღვდელი, თავის-დაშეუმჩნევლად, იწყებს საკუთარი თავისთვის მიკუთვნებას იმისა, რაც მას კი არა, სულიწმინდის საღმრთო მადლს ეკუთვნის. ამრიგად, იმას, რაც ნუგეშინისმცემელი სულისაგან მოემადლებათ ადამიანებს ყოველ საღმრთო საიდუმლოსა თუ მღვდელმოქმედებაში მათი აღმსრულებელი მღვდლის პიროვნული მონაცემებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ცთუნებული მღვდელი თავის პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებს მიაწერს – საკუთარ სულიერებას, მლოცველობას, ღვაწლთ და ა.შ. ამგვარი შეცთომილება უფრო განწყობილება და შერძნების სფეროში ვლინდება, ვიდრე გონებრივ-თეორიულში; ეს უფრო ფსიქოლოგიური ძვრაა, ვიდრე რაციონალური. მღვდელმსახურს კარგად ესმის, რომ განმანათლებელ-მაკურთხეველი ძალა სულიწმინდის საღმრთო მადლს ეკუთვნის, მაგრამ შესაძლებლობას, მიღწეულ იქნას „სულიწმიდის განმანათლებელი მოქმედება“ იგი უკვე საკუთარ თავს მიაწერს, თავის სულიერ ღირებულებებს, თავის ღვაწლთ.

ამას ძალზე უწყობენ ხელს ის ეგზალტირებული პიროვნებებიც, რომლებიც თითქმის ყოველთვის არიან ნებისმიერი მღვდელმსახურის გარემოცვაში; უპირატესად ესენი აღტაცებული მანდილოსნები არიან, ზოგჯერ საკმაოდ ისტერიულნიც და ნერვ-

ასტენიულნიც, რომელთაც ძალზე გამძაფრებული აქვთ თავიანთ სულიერ მისწრაფებებში მოთხოვნილება ვინმეს ეთაყვანებოდნენ, „განადმართოვებდნენ“, თავისებურად „ემსახურებოდნენ“: ისინი ვალდებულად თვლიან თავს ვინმეს წინაშე მოწიწებით და აღფრთოვანებით იყვნენ, და მალეც ნახულობენ თაყვანისცემის საგანს მეტ-ნაკლებად სხვებზე გამორჩეულ მღვდელმსახურში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი იგი კარგად წარმოთქვამს ქადაგებებს, მოხდენილად აღასრულებს ღვთისმსახურებას, საამოდ გალობს, ანდა, რაც უფრო ხშირია და ყველაზე უარესია, თუკი ახალგაზრდაცაა და პირმშვენიერიც. მის ყოველ სიტყვას თითქოს ჰაერშივე იჭერენ და ყლაპავენ, მისი ხმის გაგონებაზე თრთოლავენ და მღელვარებენ, ყოველ მის ნაბიჯსა და ჟესტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასეთი მოძღვარი უკვე შეუძლებელია ცდებოდეს მათ თვალში; ყოველი მისი სიტყვა სიბრძნის მარგალიტია, ყოველი მისი ქადაგება თვით იოანე ოქროპირის მჭერმეტყველებას ჩრდილავს, მისი მლოცველობაც – მგზნებარე ცეცხლია მათთვის ღმერთის წინაშე. მის ლოცვით ძალას სასწაულებს მიაწერენ იქაც კი, სადაც არაფერი უჩვეულო არ მომხდარა და არანაირი სასწაული არ აღსრულებულა. ამის შედეგად მღვდელი არათუ ამ ეგზალტირებულ „მშვენიერ“ არსებათა თვალში, არამედ, რაც ყველაზე უარესია, საკუთარი თავისთვისაც, განსაკუთრებული ძალის მქონე მლოცველი ჩანს, რომელიც გამორჩეულად არის სულიერებით დაჯილდოებული; მას განსაკუთრებული კადნიერება შეუძენია ღმერთის წინაშე, იგი განკურნავს, სასწაულმოქმედებს, ნიშებსა და სასწაულებს აღასრულებს; მასში განსაკუთრებულ ნიჭთ და ძალთ აღმოაჩენენ. ოდენ შეხებაც კი მის ხელთან ძველისძველ სნეულებათ შეამსუბუქებს, რომელთა წინაშეც ვერაფერს აწყობდნენ თანამედროვე სამედიცინო საშუალებები; იგი წინათმხედველიც არის, შეუძლია სხვების აზრთა გამოცნობაც, მომავლის წინასწარმეტყველებაც. ამიტომ სიცოცხლეშივე ლეგენდები იქმნება მასზე, ლამის წმიდანთა მსგავსი ცხოვრების აღწერაც იწერება ჯერეთ ცოცხალ ადამიანზე.

ყველაზე უარესი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ახალგაზრდა და არა გონიერი მწყემსი თვითონვე ადვილად დაჰყვება ამგვარ საცთურთ და თავადაც იჯერებს საკუთარ გამორჩეულობას, თავის მოჩვენებითს ძალთ და ნიჭთ, რის გამოც თავისდაშეუმჩნევლად შედის „განმკურნველის“, „სასწაულმოქმედის“, „მლოცველისა“ და „წმინდანის“ როლში.

ამის შემდეგ ასეთი რეპუტაციის შენარჩუნებისა და ცხოვრების სტილის განდიდებისათვის, ანდა უბრალოდ მრავალთათვის დამახასიათებელი ჩვეულებისა გამო – თავისდაშეუმჩნევლად სხვებს ჰბაძავდნენ, ცთუნებული მღვდელი საკუთარი სტილის გამოშუშავება-დამკვიდრებას იწყებს, ანდა, უფრო სწორად, ვილაც სტილის გადაღებას, ვისაც მისი ავადმყოფური წარმოდგენა ყველაზე სრულყოფილ და სულიერ მღვდელმსახურად მიიჩნევს; დაისწავლის საგანგებო ჟესტებსა და პოზებს, ქადაგებებსაც რაღაც განსაკუთრებული, ყალბად-დათაფლული მანერით წარმოთქვამს, ღვთისმსახურებასაც ასევე არაბუნებრივი ხმით აღასრულებს, ცრემლიანი და გულაჩუყებული.

იმის ნაცვლად, რომ ასეთი თაყვანისცემისა და გაღმერთების დასაწყისშივე გადაჭრით, მკაცრად აღეკვეთა იგი (რამეთუ მკვეთრი, მკაცრი მოქმედება ამ შემთხვევაში გამართლებულიცაა, სასარგებლოცა და აუცილებელიც), და იმთავითვე საზღვარი დაედო ამ არაჯანსაღი, მახინჯი მოვლენისათვის თავისი სამწყსოს ცხოვრებაში, ცთუნებული მღვდელი სიამოვნებით იღებს ასეთ დამოკიდებულებას, თვითონაც გატაცებულია ამით, დაუშვებს უმსგავსოებას და ხელსაც უწყობს მას... მთლიანად ექვემდებარება იმ ცრუ განწყობილებას და ამით სხვებსაც ღუპავს, და საკუთარ თავსაც აცთუნებს.

ერთ-ერთი გამოვლინება სულიერი მწყემსის ასეთი მახინჯი თაყვანისცემისა და გაღმერთებისა არის ზემოხსენებულ ეგზალტირებულ მანდილოსანთა განსაკუთრებული ზრუნვა თავიანთი კერპის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. თავისთავად ამგვარ ზრუნვაში არაფერია არასჯულიერი და ცუდი, იგი სავსებით გასაგებია. მაგრამ

კვლავ და კვლავ საშიშროება თვით მზრუნველობაში კი არ არის დაფარული, არამედ იმაში, რომ ამისგან „ლეგენდას ჰქმნიან“. ყველგან, მთელს მრევლში ვრცელდება რაღაც უჩვეულო მითქმა-მოთქმა ... – ჩვენი მამაო სულ არ უფრთხილდება საკუთარ თავს! – როგორ შეიძლება ასე, ის ხომ ამა ქვეყნისა არ არის?! – „ღმერთო ჩემო, მას ხომ უკვე ჭლექი ეწყება!“ – თავს არ იზოგავს, ზედმეტი სიმკაცრით მარხულობს!“ – მთელი ღამეები არ სძინავს და ღმერთის წინაშე ლოცულობს!“ და სხვა.

მთელ ამ სიყალბეს უდიდესი ზიანი მოაქვს არა მხოლოდ თვით მღვდელმსახურისათვის და მისი ზომავადასული თაყვანისმცემლები-სათვის, არამედ ყველასთვისაც, რადგან ადრე თუ გვიან იგი თავს იჩენს ხოლმე მთელი მრევლის ცხოვრებაშიც. მღვდლების არა-ჯანსაღი თაყვანისცემა მრევლის ნაწილის მხრიდან, როგორც წესი, სხვადასხვა და-ჯგუფებებად ჰყოფს სამწყსოს, რომელთა შორისაც შეიძლება უნდობლობა და დაპირისპირებულობაც კი წარმოიშვას. იმ პირთა წრე, რომელნიც ნებისმიერ ფასად, ყველანაირად ცდილობენ მაღალი რეპუტაცია შეუქმნან თავიანთ სულიერ მოძღვარს, ყოველთვის ავადმყოფურად ეჭვიანია. ხოლო თუკი ერთ მრევლში რამდენიმე მღვდელმსახურია და ყოველ მათგანს გამოუჩნდებიან ხოლმე თავთავისი აღტაცებული და ეგზალტირებული თაყვანისმცემლები, მაშინ სამწყსო აშლილ სკას ემსგავსება, სადაც ერთი – პავლესია, მეორე – აპოლოსი, მესამე – კეფასი, სხვა კი – ქრისტესი (I კორინთ. 1,12). ასეთი თაყვანისმცემლებისაგან სულიერად ცთუნებული მღვდელი ვეღარ ამჩნევს ვერც იმას, რომ ხიბლის ცოდვაშია ჩავარდნილი, და ვერც იმას, რომ თავისი შეცოდებით მას მთელი მრევლის ცხოვრებაც მოუშლია და უჯერო-უქმნია, რამეთუ იქ აღარ არის ჯეროვანი ურთიერთსიყვარული და ერთიანობა, და ამის ნაცვლად განკერძოებისა და უნდობლობის სულისკვეთება გაბატონებულა, მასაც, თაყვანისმცემელთა მსგავსად, ავადმყოფური ეჭვიანობა და უნდობლობა უვითარდება, ყველგან მზაკვრული მანქანებანი ელანდება, რომლე-

ბითაც, თითქოს, „ღიდ მოძღვარს“ ებრძვიან; ეჩვენება, რომ ჯეროვან პატივს არ მიაგებენ გარშემომყოფნი, საეკლესიო ხელმძღვანელობაც დამსახურებულ ჯილდოებს არ ანიჭებს, ხოლო მმართველ მღვდელმთავარს სულაც არ უყვარს იგი და თუკი საეკლესიო მსახურების ინტერესებისათვის მისი სხვა მრევლში გადაყვანის აუცილებლობა წარმოიშვება, ასეთი ცთუნებული მოძღვარის თაყვანისმცემლები ნამდვილ ქარიშხალს დაატრიალებენ ხოლმე და ყველა ღონეს და საშუალებას მიმართავენ, ყველაფერს კადრულობენ, რომ არავის „წაართმევიონ“ საყვარელი მწყემსი: ცხარე ცრემლებსაც ღვრიან, იმუქრებიან კიდევ და ანონიმურ დასმენებსაც მიმართავენ. ამასთან, სულიერი ცდუნების ხარისხი ზოგჯერ იმ ღონეს აღწევს, რომ ცდუნებულთ სრულიად ავიწყდებათ უბრალო და უმთავრესი ჭეშმარიტება: ეკლესია რომ დედაა მათი, ღმერთი კი – მამა, მათ კი თავიანთი „ღიდი მწყემსის“ გარდა უკვე არც ვინმეს ცნობა უნდათ, არც დანახვა და არც თაყვანისცემა!

აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანები მღვდელმსახურის ცრუ ავტორიტეტმა, რომლის მოპოვებაც ეგ ზომ აღვილია, მაგრამ რომელიც ესოდენ მძაფრად მოსწყლავს ხოლმე როგორც თვით მწყემსს, ასევე მის-დამი ნდობილ სიტყვიერ სამწყსოსაც.

ხოლო თუკი მღვდელმსახური ნამდვილად სულიერი ცხოვრებით ჰგებებს და ესწრაფვის მწყემსმთავარ იესო ქრისტეს მიბაძოს, მაშინ იგი არც ეცდება რაიმე „მოირეწოს“ ამით, როგორც წმინდა მამები იტყობდნენ, და არც სხვას მისცემს ნებას უჯეროდ განადიდებდნენ მას. სულიერი ღვაწლი მხოლოდ მაშინაა ნამდვილად ღვთის სათნო, როცა დაფარულია ადამიანის თვალთაგან: ყველას დასანახად გამოვლენილი ასკეტიზმი ჰკარგავს თავის ღირებულებას ღმერთის წინაშეც და თვით ასკეტიზთვისაც.

ამიტომ ყოველგვარი მზრუნველობა მწყემსის პიროვნებაზე შეიძლება და უნდა იყოს კიდევ მიღებული სიყვარულით, რადგან იგი ბუნებრივია და ღმერთსაც სათნო-ეყოფა; ასევე ყოველი ძღვენიც მაღლობით უნდა იქნეს მიღებული; თბილი შესამოსელიც სიცივისაგან

უნდა იფარავდეს მღვდელს; ყურადღებისთვისაც ყველას მადლობას უნდა სწირავდეს იგი, მაგრამ ნებისმიერი სახის თაყვანისცემას, გაღმერთებას, ლეგენდად ქცევასა და სიცოცხლეშივე საკუთარი ცხოვრების აღწერის შედგენას ჭეშმარიტი მღვდელმსახური გადაჭრით უნდა უარყოფდეს და არამც და არამც არ დაუშვებდეს.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მღვდელმსახური უნდა აღანათებდეს საკუთარ თავში სიწმინდეს, სულიერებას, ზეციურ მისწრაფებებს, თვითონ სულ უფრო მეტად უღრმავდებოდეს საიდუმლოთა აღსრულებას, ლოცვით ღვაწლსა და მღვდელმოქმედებათ; მას ყოველთვის შეუეჭვებლად უნდა სწამდეს, რომ სასწაულმოქმედებისთვის არის მოწოდებული, მაგრამ არაფერს არ უნდა მიაწერდეს თავის პიროვნულ მონაცემებს; არ უნდა თვლიდეს თავს რაღაც განსაკუთრებული ძალის მქონე მლოცველად და გამორჩეულად რჩეულთა შორის, – პირიქით, ყოველთვის უნდა დაიმდაბლებდეს თავს საკუთარ თვალშიც და სამწყსოს თვალშიც, და რაც უმთავრესია, გადაჭრით აღკვეთდეს მის ყოველგვარ განღმრთობასა და თაყვანისცემას მრევლის მხრიდან.

ყველაფერი ეს, რაც ვთქვით მღვდელმსახურთა საცთურის შესახებ, მთელის სისრულით ვერ მოიცავს ამ საკითხს, რამეთუ მწყემსის სინდისის გამოცდა ათასგვარად შეიძლება მოხდეს, სამღვდლო მსახურების ყველაზე მოულოდნელ გზებსა თუ ადგილებში, ყველგან და ყოველივეში, რასაც კი მოიცავს მღვდლის საქმე, ცხოვრება და აზრი. და ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად არღვევს მღვდლის სულიერი ცხოვრების ნორმალურ მდინარებას, ანდა რამაც შეიძლება აიძულოს იგი გადაუხვიოს ეკლესიისა და სამწყსოსადმი მსახურების გზიდან, – ყველაფერი ამგვარი მის მიერ უნდა აღქმულ იქნას როგორც

ახალი საცთური, რომელსაც მხნედ უნდა ებრძოლოს. ეს საკითხი უფრო ასკეტიკის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ, სადაც ყოველი სულიერი მწყემსი მეტად სასარგებლო პასუხებს იპოვის მოსაგრეთა ცხოვრების საუკუნეობრივ გამოცდილებაში.

ყველაზე დიდი ცოდვა ის არის, რომელთაც ჩვენ არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და კნინ ცოდვებად ვთვლით ხოლმე. ამიტომაც ბრძოლა ცოდვიანი გულისთქმის აღმოცენებისას, დასაწყისშივე უნდა დავიწყოთ და არ გველოდოთ, თუ როდის განხორციელდება ეს გულისთქმა უკვე დასრულებულ ცოდვად. ეს აუცილებელია უპირველესად ყოვლისა მეორედ კი აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ძალზე ხშირად ცოდვები ჩვენ სათნობათა სახით წარმოგვიდგება, რამეთუ მაცთური ბოროტი სულიც ხშირად გვეკვლინება „ნათლისანგელოზის“ სახით, რათა უფრო შეუმჩნეველად და მძაფრად გვაცთუნოს. ასე, რომ ბევრ გზის კეთილ განზრახვათაგან უჯერო სურვილებიც იშვება. ხშირად ცოდვა სხვადასხვა, გარეგნულად კეთილსახიერი საბაბითა და მოსაზრებებით გაგვიტაცებს და ჩავვითრევს, რომლებიც თითქოს მეტად ამაღლებულია და სულიერი, მაგრამ როგორც კი მთლიანად მას დავემორჩილებით, ცოდვა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგება. ამიტომაც მღვდელმსახურისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იყოს გონიერად განმსჯეელი, აღვსებული გულისხმის „ყოფის ნიჭით და სულთა გარჩევაც შეეძლოს – თუ ვისგან მოვლენილან ისინი – შემოქმედი ღმერთისაგან თუ მზაკვარი მტრისაგან. და თუკი ამას შესძლებს, მღვდლის მსახურებაც კეთილად წარემართება და ჯეროვან ნაყოფს გამოიღებს – ცხოვრების გზაზე უწინამძღვრებს სამწყსოს და პირნათელი შეეგება ზეციურ მწყემსმთმთავარს – ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, რომელსაც შვენიის დიდება თანა მამით და სულიწმიდითურთ საუკუნოდ. ამინ.



საზვერევის შესახებ

(გვიამბობს მღვდელმონაზონი რომან პროკოტოვი)



მღვდელმონაზონი
რომანი (პროკოტოვი)

მიიღეთ ეს ნაამბობი, როგორც აღსარება! არ განმსაჯოთ მკაცრად, რადგან ცხოვრებაში ყველა ვუშვებთ შეცდომებს.

მე მქვია ნიკოლაი მალკოვი. ეს ამბავი, არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადამხდა, ამიტომ ყველაფერი

ჯერ კიდევ ცხადად მახსოვს დეტალებში. ეს ერთ ჩვეულებრივ, არაფრისაგან გამორჩეულ დღეს შემემთხვა.

ინსტიტუტს ვამთავრებდი, თავისუფალ დროს კი ვმუშაობდი ავტოსერვისში. ბავშვობიდან მქონდა მიდრეკილება მექანიკისადმი, ვშლიდი და ვაწყობდი სათამაშო მანქანებს. ამიტომ რომ გავიზარდე, პროფესიის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია. ბედის ირონიით სწორედ მანქანებმა შეცვალეს ჩემი ცხოვრება რადიკალურად.

ახლოვდებოდა ჩათვლა და გამოცდები, განუწყვეტლივ ვკითხულობდი. წიგნით ან კონსპექტით ხელში დავდიოდი და თავისუფალ დროს სულ ვმეცადინებოდი. ფორმულირება და მეთოდები, ტექნოლოგიის თავისებურებები, პროცესორები – სულ თავში მიტრიალებდა. სამსახურის გზაზეც წიგნს ჩავკირკიტებდი... იმ დღეს, ჩემ მეგობარ საშასთან შესახვედრად წავვედი. ერთ ბრიგადაში ვმუშაობდით, მახლობლად ვცხოვრობდით და ხშირად ერთად მივიდიოდი სამსახურში. მეგობარი რომ მომესალმა, მერე ავწიე თავი, თურმე მოვსულვარ. სანია ჩემი ახალი მეგობარი იყო, რომელმაც მანქანები ზეპირად იცოდა, გენერატორს თვალდახუჭული ააწყობდა, მხიარული და მშრომელი ადამიანი იყო. სწორედ მისი რეკომენდაციით მიმიღეს ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ ავტოსერვისში.

– რას კითხულობ? – შემეკითხა სანია.

– ჩათვლა ახლოვდება.

სანია მიყვებოდა, რომ ერთმა ნაცნობმა ქალმა ფული დაკარგა. მერე, რომ იპოვა, დაუძახა მეგობრებს და უთხრა: „გინაროდეთ, ჩემთან ერთად, მე დაკარგული ფული ვიპოვე.“

– ეს ხომ სახარებიდან არის! მათ გაუხარდათ, თუმცა არაფერი სარგებელი არ მიუღიათ. აი, მე რომ 50 დოლარი დავკარგო და მერე ვიპოვო, შენ გაგეხარდება? ოღონდ მართალი თქვი!

– რთულია ეს, ალბათ გამეხარდება...

მივედიოდი და კიდევ რაღაცაზე ვსაუბრობდით. მივედიო ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, გადასასვლელთან. ტრანსპორტის ხმაური ახშობდა ჩვენს საუბარს. მე წიგნს მივუბრუნდი და ვცდილობდი გონებაში აღმედგინა წაკითხული. უცნაურია, მაგრამ მომეჩვენა, რომ ხალხი წინ წავიდა გადასასვლელზე, მე კი მათ მივყევი – შემიძლია დავიფიცო. სინამდვილეში შუქნიშანზე წითელი ენთო და მხოლოდ მე წავვედი. აქამდე ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოხდა ეს; ალბათ, ასე იყო საჭირო. ვიღაცამ კიდევ დამიძახა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე... პირველმა მანქანამ ძლიერ არ დამარტყა, რადგან ის პირველ რიგში იყო და მხელავდა. მან მოასწრო დამუხრუჭება, მაგრამ მეორე მანქანამ ისე ძლიერ დამარტყა, რომ ჩქაროსნულ ზოლში გადამისროლა. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მწერი, რომელიც ბუზის საკლავით გატყორცნეს; შემდეგ მესამე მანქანამ დამარტყა და ასე, 15 მეტრზე გადამაგდო. ამის გამო საშინელი არეულობა მოხდა, მანქანები ერთმანეთს შეეჯახნენ. ყველაზე მეტად ჩემს წიგნს გაუმართლა, მასზე არც ერთმა მანქანას არ გადაუვლია.

უპირველესი რაც მახსოვს, ვხედავდი რომ ავარიის ადგილას ვიდექი. ხალხი ერთი მიმართულებით გარბოდა, ზოგი კეფაზე ისვამდა ხელს, ზოგი ილანძვებოდა, ზოგიერთი სადღაც რეკავდა. მეც მათთან ერთად წავვედი. დაახლოებით ათმა კაცმა ღია ფერის მანქანა აწია. ასე იქცევიან, როცა ქვეშ მოყოლილის განთავისუფლება უნდათ. მართლაც, იქ ადამიანი იწვა. ტელეფონები მოიმარჯვეს და გადაღება დაიწყო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გადაწყვიტა მისთვის პულსი გაესინჯა.

– იდიოტი, სად მიძვრებოდა!

– ხომ დაინახეთ, თვითონ გადმოხტა! – ამბობდა მძღოლი.

– როგორ არ გაუმართლა!

– ბავშვები გაიყვანეთ!

ის ადამიანი არაბუნებრივ პოზაში იწვა, სახე დაზიანებული და სისხლიანი ჰქონდა. შემეცოდა და გავიფიქრე, როგორ ვერ დავინახე “ავარია”... უცებ, ამ ადამიანში რაღაც ვიცანი! ტანსაცმელი, ჩანთა. იქნებ ვიცნობ მას? შემდეგ მოხდა ისეთი რამ, რომ შეუძლებელია გადმოვცე: მასში ჩემი თავი შევიცანი; ეს ჩემთვის ძლიერი შოკი იყო. თვალებს არ ვუჯერებდი. ეს ხომ არაა ბუნებრივი: ადამიანს შეიძლება რაღაც სტუპორი, გაორება დაემართოს. ამ პარადოქსული სიტუაციიდან ადამიანი ეძებს გამოსავალს – ეს ხომ შეუძლებელია და გამოიგონებს ორეულს, რომელიც მას ჰგავს. მაგრამ შინაგანი ალლო მეუბნებოდა, რომ ის მწოლიარე მე ვიყავი.

– ვინმემ, გამოიძახეთ სასწრაფო!

– ცოცხალია ნეტავ?

თქვა ვიღაც ქალმა და ამ კითხვამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა... მაშინ მე უკვე ვიყავი მორწმუნე, ღმერთი მწამდა. ზოგჯერ ტადარშიც დავდიოდი და ვეზიარებოდი, მაგრამ სიკვდილის შესახებ ცნობამ, მაინც შემძრა. მე ცოცხლად ვგრძნობდი თავს: ვიდექი, ყველაფერს ვხედავდი და მესმოდა, თანაც უფრო მკვეთრად, ვიდრე ადრე. და აი, ვიღაცას ეჭვი შეაქვს ჩემს სიცოცხლეში? მესმოდა არა მარტო იმათი, ვინც იქვე იდგა, არამედ შორს მდგომებისაც, თანაც ვგრძნობდი, რომ არა მარტო მესმოდა მათი ნათქვამი, არამედ აზრებსაც ვკითხულობდი ჩემს შესახებ. აშკარად რაღაც შეიცვალა ჩემში. აი, თურმე როგორია სიკვდილი. ღმერთო დიდებულო! მე კიდევ არ ვიყავი შოკიდან გამოსული, უცებ ჩემი მეგობარი დავინახე, რომელსაც თავზე ხელები ჰქონდა შემორტყმული და მრგვალი, გაშეშებული თვალებით მიყურებდა მე, გარდაცვლილს. ეტყობოდა, რომ ისიც შოკში იყო. უცებ, ვიღაცამ გაიარა ჩემს სხეულში. შევქანდი, ვგრძნობდი რომ ვარსებობდი; სხეული ხელით მოვისინჯე, მაგრამ როცა შევეცადე ხელით შევხებოდი გვერდით მდგომს, არ გამომივიდა. თითქოს იზოლირებული ვიყავი მათგან; ვიყავი განზომილებაში, რომელიც მიუწვდომელი იყო ცოცხალთათვის. ფიქრები მერეოდა. „რა იქნება შემდეგ? რა მოხდება? მერე სამუშაო, სწავლა, ჩათვლები? ასე როგორ შეიძლება, ერთ წამში დაინგრეს ყველაფერი? ეს რა ცხოვრებაა, ასეთი არა-

მყარი. დედას რა ეშველება?“ დედაზე ფიქრმა სერიოზულად შემაშინა: რომ გაიგებს ჩემს სიკვდილს, ის ხომ იტირებს, როგორ გადაიტანს, როგორ იცხოვრებს მარტო? დედის შესახებ ფიქრი ისეთი ძლიერი იყო, რომ უცებ სახლში აღმოვჩნდი. გზა, ხალხი, რომელიც ვიდეოზე იღებდა ჩემს სიკვდილს – გაქრა. მე ჩემს ბინაში ვიყავი. ჩვეულებრივ, დედა ამ ღროს საუზმობდა და თავის საყვარელ ტელეგადაცემას უყურებდა ხოლმე. ახლაც ასე იყო: ფინჯან ყავასთან ერთად დედა ტელევიზორს უყურებდა. გული მწყდებოდა, რომ სახლიდან გამოსვლისას მას არ დავემშვიდობე, არადა ყოველთვის ვემშვიდობებოდი ხოლმე. ძალიან განვიცდიდი, რომ დამავიწყდა.

ფიქრობდი, რამდენი რამე ვერ მოვასწარი ან არ გავაკეთე. უცებ, ჩემს თვალწინ გაიბინა ჩემმა ყველა არასწორმა მოქმედებამ: როგორ ეგოისტურად, უპატივცემულოდ ვექცეოდი, ვუყვიროდი ხოლმე დედას. ადრე ამას ვერც ვამჩნევდი. შიშით ვაცნობიერებდი, რომ უხეშობა ყვირილი და გაღიზიანებულობა ჩემთვის ნორმა იყო. მხოლოდ ახლა ვხედავდი ჩემი ცუდი საქციელის დეტალებს და ფუჭად დაკარგული ღროის გამო კინაღამ ავტირდი. დედას მივუახლოვდი და ყურში ჩავჩურჩულე: „დედა მაპატიე“, მაგრამ მან რეაქცია არ მოახდინა, რასაც ველოდი. თმაზე შევეხე, მაგრამ ესეც ვერ იგრძნო, თუმცა ჩემთვის უკვე სულერთი იყო. მინდოდა, ეხლა მაინც, ნორმალურად დავემშვიდობებოდი, დაგვიანებულად მაინც მომეხდა შვილის ვალი. ლოყაზე ვაკოცე, მაგრამ მისი მზერა ტელევიზორის ცისფერ ეკრანს არ სცილდებოდა. რა დასანანია, რომ მხოლოდ ეხლა დავინახე შუშის და პლასტიკის ამ პატარა ნაჭერს მიჯაჭვული მილიარდობით ადამიანის ყოფის უაზრობა. რა სამწუხაროა, რომ სიცოცხლეში ამას ვერ ვაცნობიერებდი.

უცებ მომესმა ხმა: „ნიკალაი!“ ეს ხმა ერთდროულად ნაცნობიც იყო და უცნობიც, იგი საიდანღაც კი არა, ყველგან ისმოდა და არ იყო ცოცხლების სამყაროდან. უცებ საფლაოზე აღმოვჩნდი. ეს ჩემი მშობლების სამშობლოში მდებარე, წინაპრების სასაფლაო იყო, სადაც ბავშვობაში დავდიოდი ხოლმე. თითქოს საღამო იყო, ან დილა. ცივი საფლაავების ქვებს შორის ცისფერი ნისლი დაცურავდა. ზოგი საფლავი რამოდენიმე საუკუნის იყო; აქ ბევრი სახელოვანი ადამი-

ანი განისვენებდა; ბავშვობაში მათ შესახებ მიყვებოდნენ. მათ ცხოვრებაზე ალბათ კარგი წიგნი დაიწერებოდა. ჩანდა, რომ ქუჩაში ციოდა, მაგრამ მე რატომღაც არ მციოდა. მიმოვიხედე: მამის და წინაპრების საფლავთან ვიდექი. მათი პორტრეტებიდან ჩაფიქრებული სახეები მიმზერდნენ, მხოლოდ ბებიის სურათი მილიმოდა. ბებია ღრმად მორწმუნე ქალი იყო. ყოველთვის დადიოდა ადგილობრივ საკათედრო ტაძარში. უცებ გავიფიქრე: „რა სამწუხაროა, რომ კარგად არ ვიცნობდი“. უბრალოდ მისით არ ვინტერესდებოდი, მხოლოდ რამდენჯერმე მყავდა ნანახი.

– ნიკალაი! – ხმა სულ ახლოდან გაისმა. მასში მცირე შეშფოთება და თან მზრუნველობა იგრძნობოდა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ხმა ჩემს უკნიდან ისმოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვხედავდი გარშემო, მაინც მივტრიალდი. დავინახე გრძელ, შავ კაბაში ჩაცმული ქალი. კაბა რაღაც ფერებს ირეკლავდა. მუქი თმა, აკურატულად აკეცილი და თავსაბურავით დაფარული ჰქონდა, რომელიც თითქოს კრეპ-ჟორჟეტის ნაჭრის იყო. სახე – ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული. დავაკვირდი და ნაცნობი ნაკვეთები დავინახე. „ბებია!“ – დავიძახე თითქოს შეკითხვით. ჩემი ყოყმანი გამოიწვია იმან, რომ ის ახალგაზრდა ასაკის იყო, ისეთი, როგორსაც მე ვერ ვნახავდი ბავშვობაში. მაგრამ ალღოთი ვიცანი იგი. თუმცა, დედასთან მსგავსება, სასწაულად აშკარა იყო.

– ბებია მე მოვკვდი! – თითქოს კიდევ კითხვით მივმართე. თან ვფიქრობდი, რა გულუბრყვილობა იყო მისთვის მეთქვა ის, რაც ჩემზე კარგად იცოდა.

– კოლინკა! შენ განსაცდელი გელის. შენ ის უნდა გაიარო, სწორედ ამისთვის ხარ აქ.

– განსაცდელი? – კიდევ შეკითხვით ვუთხარი.

– შენ მამაცი უნდა იყო, ღმერთი არ მიგატოვებს, უნდა ილოცო მის მიმართ. წამომყვივი, ჩვენს ტაძარს გაჩვენებ.

ნისლში ჩაფლულ გზაზე გამიწვია. თანდათან უფრო ვაცნობიერებდი ჩემს ახალ მდგომარეობას. ადრე თუ მოუხერხებლად დავდიოდი მოუწყობელ ბილიკებზე, ეხლა თავისუფლად ვმოძრაობდი. გარშემო სინესტე იყო. ყვავებმა ხმაურით გადაგვიფრინეს. ხეებიდან ცივი წვეთები წვეთავდა, რომლებმაც ჩემს სხეულში ისე გაიარეს, რომ ზიანი არ მომამყენეს.

– რა გამოცდა მელის? – ვკითხე ბებიას.

– მალე გაიგებ!

– ეს საშიშია?

რაღაც პაუზის შემდეგ მან მიპასუხა:

– კი, მაგრამ გახსოვდეს, რომ საბოლოოდ არაა ყველაფერი გადაწყვეტილი. ის შენ უნდა მიიღო, როგორც ჯილდო!

მე ვფიქრობდი: „ნეტა რა ჯილდოა ასეთი, რომ მის გამო უნდა შემეშინდეს. არავითარი ჯილდო არ მინდა, მე ხომ არ მითხოვია ის ვინმესთვის“... „მალე შენ ყველაფერს მიხვდები“ – გავიგონე მისი ფიქრი, მღუპარედ მივდიოდი. მერე მე ვკითხე: „შენ იცი ჩვენი ცხოვრების შესახებ?“

– კი, მე ვიცი შენ და დედაშენის შესახებ. ისიც ვიცი, რომ ახლობლებისათვის არ ლოცულობ!

უცებ გავაცნობიერე, რომ მართლაც დიდი ხანია არ მილოცია გარდაცვლილი ნათესავებისთვის. ამ გამოცდების გადამკიდეს კი საერთოდ აღარ მახსოვდა, რომ უნდა მელოცა. ცოტახნის წინ, ვინმეს რომ ეთქვა, გარდაცვლილი ნათესავი გამხელსო, გამეცინებოდა.

რაღაც დროის შემდეგ ხეებს შორის გამოჩნდა დიდებული, მუქი ფერის ტაძრის მოხაზულობა. საფლავთან ადამიანების ფიგურები შევნიშნე. ორი ქალი და ორი ბავშვი იყო. დიდები ძეგლებივით გაუნძრევლად, მღუპარედ ჩასცქეროდნენ მიწას. ბავშვები კი მოძრაობდნენ. უფროსი გოგონა 10 წლის იქნებოდა, პატარა კი წლინახევრის – ძლივს დაბაჩუნობდა, დაიკო მას ხელით დაატარებდა. როცა მათ გაუუსწორდით, პატარამ თავი გადაწია და დაჟინებით დამიწყო ცქერა. მეგონა ჩემს უკან უყურებდა რაღაცას, მაგრამ არა, ის პირდაპირ თვალებში მიყურებდა. რომ დავრწმუნებულიყავი, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი უკან, თან ბავშვს ვაკვირდებოდი: ბავშვური მზერა გამომამყოლა. სანამ ვიკითხე, როგორ შეიძლებოდა ეს, შინაგანად გავიგონე ბებიას პასუხი: „ეს უცოდველი სულები ზოგჯერ ხედავენ იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ“. პატარამ გამიღიმა და თავისი პაწაწა ხელებით ჩემსკენ გამოიწვია. მისმა დამ ჩემი მიმართულებით გამოიხედა: „რა დაინახე იქ? ჩიტი? აბა სად არის?“ პატარა ანგელოზი თავისი კამკამა თვალებით მიყურებდა და რაღაცის თქმას ცდილობდა. მინდოდა მის ხელებს შევხებოდი, მაგრამ უცებ მომესმა: „უკვე დროა“. უსიტყვოდ თქვა ბებია და ჩვენ

გზა განვაგრძობთ.

ტადარი მეცხრამეტე საუკუნის იყო. მშვენიერი სამრეკლო და ტადარი არქიტექტორს უზადო გემოვნებით და ოსტატობით აუგია.

უცებ, ტადარის იქით რაღაც ფიგურები შევნიშნე. ეს იყო ცხოველების მსგავსი, მრუდე ფეხებზე მდგარი საშინელი არსებები, რომლებიც ჩემსკენ იყურებოდნენ და უსიამო, გაბზარული ხმით თითქოს იცინოდნენ. ძლიერ შემეშინდა: „ესენი ისინი არიან?“ შევნიშნე, რომ ბებიამ პირფხვარი გამოისახა და მეც გამოვისახე. იქიდან ხარხარის მსგავსი ხმა მოისმა. ბებიამ მითხრა: „არ გაჩერდე!“ და ტადარში შევედით. მართალია, ის ცარიელი იყო, მაგრამ მე მაინც შევიგრძნობდი, რომ ეს დიდებული ტადარი ცოცხალი იყო. ხატები, როგორც ცოცხლები ისე მიყურებდნენ. ელექტროგანათება არ იყო ჩართული, მაგრამ ტადარში მაინც იყო შუქი და რაღაც წყნარი, საოცარი გალობა ისმოდა. ზეციური ხმის სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს იყო ღვთის სადიდებელი: საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ გუმბათების ქვეშ მოსიარულე მორწმუნეების გულიდან ამოსული, რომლებიც თითქოს კიდევე აქ იყვნენ. ეს ისეთი ჰარმონია იყო, რომელსაც ვერც ერთი გენიოსი აღამიანი ვერ შექმნის.

ბებია თვალს მიეფარა ლოცვით: „ღმერთო ჩემო, შენ გესავ, ნუ მრცხვენებინ მე უკუნისამდე“... მე გავიმეორე. ეს იყო ფსალმუნდანი და ვიგრძენი თვითთული სიტყვის ძალა, რომ ვინც ღმერთზე ამყარებს იმედს, მტერი მას ვერაფერს დააკლებს.

უცებ, ცოცხლად ვიგრძენი, რომ ვიღაც იყო იქ, რომელიც ბებიასაგან განსხვავდებოდა. მისგან მოდიოდა ერთდროულად ძალაც და სიკეთეც. გაბედულების გრძობა დამეუფლა, ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ორივე მხრიდან ჩამჭიდეს ხელი და წავედით ზემოთ. ტადარი ზევიდან დავინახე და შემეშინდა. უჩვეულო იყო ფრინველის სიმაღლეზე ფრენა ფრთების გარეშე. ბილიკზე დავინახე ორი ქალი ბავშვებით. პატარა, დედას ჰყავდა აყვანილი, ის მიყურებდა და ჩემსკენ იწვდიდა ხელებს.

ჩემს თანამგზავრებზე უცებ არ გადავიტანე ყურადღება. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ახლობლებთან ვიყავი, თითქოს ისინი ადრეც ჩემთან იყვნენ. იყო მათში რაღაც ძალიან ახლობელი და ნაცნობი. ისინი ჩემზე გაცილებით

მაღლები იყვნენ. თავს ვგრძნობდი როგორც პატარა ბავშვი, რომელიც დედამ ჩაიხუტა. მათი მშვენიერი და მშვიდი სახეები მოწმობდნენ, რომ არამიწიერი არსებები იყვნენ. გრძელი სამოსი, რომელიც თითქოს ატლასისას წააგავდა, ისე ბრწყინავდა, თითქოს შუადღის მზის სხივებმა გაიარეს მასში. გრძელი თმა, მხრებზე ჰქონდათ ჩამოშვებული და უკან, ზურგზე, დიდი ძლიერი ფრთების დასაწყისში უჩინარდებოდა.

აღელვებულმა ვკითხე: „თქვენ ანგელოზები ხართ?“ „ღიახ“. — თავიანთი კამკამა თვალებით შემომხედეს, მათში იმხელა სიყვარული იყო. მათი სილამაზის ცქერისას თავდავიწყებამ შემიპყრო. დედამიწაზე ასეთ სილამაზეს და სიყვარულს ვერასდროს ნახავთ!

— თქვენ ისეთი ლამაზები ხართ! — აღმომხდა უნებურად.

— ღმერთის ყველა ქმნილება მშვენიერია, თუ ცოდვითი დაცემით არ არის დაზიანებული — წყნარად მითხრეს ანგელოზებმა, — შენ რომ გენახა ადამი ცოდვით დაცემამდე, როგორი მშვენიერი იყო, ღმერთის შვილს, სამყაროს მხსნელს ჰგავდა.

მე პერიოდულად ქვემოთ ვიხედებოდი. ისეთ წარმოუდგენელ სიმაღლეზე ვიყავით, რომ იქიდან გადმოხედვაზე სული მეგუბებოდა. ეს არ იყო ცივი კოსმოსის ვაკუუმი. ეს იყო სივრცე, სულიერი არე, რომელსაც მიწიერი საშუალებებით ვერ დაინახავ.

მე არ ვგრძნობდი არც ქარს, არც სიცივეს, მაგრამ ზევით რომ მივდიოდით ეს აშკარა იყო.

— სად მივდივართ? — ვკითხე რაღაც დროის შემდეგ.

— შენ მოგიწევს საზვერების გავლა და ამის შესახებ სხვა ხალხს უნდა მოუყვე.

ანგელოზის სახე ისეთი მშვიდი იყო, მომეჩვენა, მთელ მსოფლიოში ვერაფერი ააშფოთებდა მას. გაიგო რა ჩემი ფიქრები, მითხრა, რომ ასე არაა: „ჩვენც ვწუხვართ და ვტირით კიდეც, როცა აღამიანი სცოდავს“. იმწუთას გამახსენდა მთელი ჩემი ცოდვიანობა, რომ ჩემი საქციელით არა მარტო ღმერთს, არამედ მფარველ ანგელოზსაც ვაწუხებდი, რომლისთვისაც სულერთი არაა ჩემი ბედი. მომაგონდა მათი შეგონებები, სინდისის ჩუმი ხმა, რომელსაც იგნორირებას ვუკეთებდი. ყველანაირად ვცდილობდი მომემებნა ნები-

სმიერი მიზეზი ჩემი საქციელის გასამართლებლად, რათა გავქცეოდი სინამდვილეს, მაგრამ ღმერთის სინამდვილეს ვერ გაექცევი. ღმერთო, როგორ მრცხვენოდა! მზად ვიყავი ფეხქვეშ მიწა გამომცლოდა, მაგრამ მიწა ძალიან შორს იყო.

რა არის საზვერები? ადრე მსმენია მის შესახებ, მაგრამ ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა იმაზე, თუ რა მელოდა. მაგრამ მე თუ ეს ხალხს უნდა მოვუყვე, ესე იგი უკან უნდა დავბრუნდე?

– შენ დაბრუნდები და ყველას მოუყვები რასაც აქ ნახავ და გაიგონებ, მოყვები მათთვის ვისაც არც კი სმენია ამის შესახებ!

გაჭირვებით ვაცნობიერებდი ამ ამბავს. ესე იგი მე კიდევ მაქვს შანსი შევცვალო ჩემი ცხოვრება, ყველაფერი ახლიდან დავიწყო. ჩემმა სულმა ძალების მოზღვაება იგრძნო, უკვე გეგმას ვაწყობდი რა უნდა გამეკეთებინა პირველად, დედას როგორ მოვუყვებოდი ყველაფერს, მაგრამ უცებ ისინი გამოჩნდნენ. შავი მასა, საშინელი არსებებით, გვიანლოვდებოდა. ხმებიდან რაღაც ფრაზებს ვარჩევდი. ისინი გამყინავი მზერით იყურებოდნენ. ეს იყო ხორცშესხმული ბოროტება, რომელიც აზროვნებდა, ლაპარაკობდა და მოძრაობდა.

ამ ცხოველის შესახებადობის არსებებს საშინლად სძულთ ადამიანები. ჯერ კიდევ შორიდან, როცა შეგვნიშნეს, ისე დაიძახნენ, როგორც ბრძოლის წინ. ცეცხლოვანი მზერით შიშს იწვევდნენ და მე უფრო მივეკარი ჩემს მფარველ ანგელოზებს, რადგან მათთან თავს დაცულად ვგრძნობდი და ვემუდარებოდი, რომ ეს უფრო მო, ბოროტი, სიძულვილით სავსე მასა არ მოახლოვებულყო. მაგრამ მათ გვერდს ვერ ავუკლიდით.

– კიდევ ერთმა მოინდომა სამოთხე! რას იტყვი: თავიდანვე ჩვენთან წამოხვალ თუ თავს გაიმართლებ? გვიპასუხე! – ისინი ღრიალებდნენ, როგორც ძველბერძნული მითიური მხეცები. მათი ბოროტი მზერისგან პარალიზებული და შებოროტილი, მზად ვიყავი, ჩემი ძლიერი თანამგზავრების უკან დავმალულიყავი. მთლად ვკანკალებდი.

როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო პირველი საზვერე: უქმისმეტყველების საზვერე, რომელზეც ადამიანი პასუხს აგებს ყველა თავისი სიტყვისმიერი ცოდვისათვის.

ღმერთო ჩემო, როგორი მოუმზადებელი ვიყავი ყოველივე ამისთვის! დემონების ბრ-

ბოში რაღაც მოძრაობა შევნიშნე, რაღაცა მოჭქონდათ. მათი წვრილი, შავი თვალები გამჭოლად მწვაკდნენ. მზად იყვნენ, რომ მწვდომოდნენ და ნაფლეთებლად დავეკლიჯე. რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოს ადამიანმა დედამიწაზე დემონების შესახებ, ის მაინც ვერასოდეს მოამზადებს თავს, თავის საშინელ ფანტაზიაშიც კი, მათთან შესახვედრად. რაღაც გრაგნილები მოიტანეს და მკვახედ მეკითხებოდნენ: „გახსოვს, რა თქვი მაშინ? მკრეხელობდი; იმ ადამიანს რა უთხარი, გახსოვს? ან ამას?... ტყეში რას ლაპარაკობდი, გახსოვს?... ეს სიტყვა შენ სთქვი, იცი რამდენჯერ? 598876-ჯერ! შენ ხალხს აბნევდი, შენი ლაპარაკით განსჯამდე და დრტვინვამდე მიგყავდა ისინი! ანეგლოტი გახსოვს? ეს ხალხი დაადასტურებს, რომ შენ ის ბევრჯერ მოყევი. ტაძარში რა თქვი იმ მოძღვარზე გახსოვს? არ თქვა რომ არ გახსოვს!.. გაჩერებაზე რა თქვი? ბაზარში?... ფანჯრიდან რა დაუყვირე? შენი სიტყვები, შენი თავხედობა! იმ ადამიანს რა დაუძახე? ღმერთის სახელი მკრეხელურად მოიხსენა!... გაგვეცი პასუხი საცოდავო ადამიანო!“

ეს იყო ნამდვილი, ენით აუწერელი კოშმარი. ისინი თითქოს სახელმწიფო ბრალდებებს მიყენებდნენ ამ გრაგნილებიდან. საშინელება ის იყო, რომ ბევრი რამ მართლაც მახსოვდა. მათ წარმომიდგინეს მთელი ჩემი საუბრები, უწმაწური ხუმრობები და ანეგლოტები. მათ სრულიად გააცოცხლეს ჩემი მეხსიერებაში მივიწყებული მომენტები: როცა ვიყავი უსარგებლო, ცოდვიანი საუბრის წამომწყები. ვინც ლოცვისას დავაბრკოლე და დრტვინვაში ჩავაგდე, მათი სახელებიც კი მითხრეს.

ბოროტებმა წარმომიდგინეს ჩემი ყმაწვილობისას, 7–8 წლის ასაკში ნათქვამი სიტყვები. თითქოს ის დრო, ჩემი მეხსიერებიდან გაფრინდა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ეს ყოველივე შეკრებილი და დაფიქსირებული ჰქონდათ მათ, ვისაც ადამიანის მოდგმა სძულს და არ იციან შებრალება. დამისახელეს ჩემს მიერ თქმული უწმაწური სიტყვის ზუსტი რაოდენობა. ისინი ამას მიჩვენებდნენ და ხარხარებდნენ. დემონებმა არა მარტო ჩემი ნათქვამი ცუდი სიტყვები იცოდნენ, არამედ ისიც, თუ რამდენჯერ მოვიხსენე უფლის სახელი უქმად. მათში მე შევნიშნე უფროსი, რომელიც შემადლებულ ადგილზე იჯდა, ჟესტებით ანიშნებდა როდის უნდა ელაპარაკათ და გამარჯვებული

იერთ ხარხარებად, როცა მორიგ ბრალდებას მიყენებდნენ.

ანგელოზები მეზობლი იერთ იღვნი და მამართლებდნენ. ზოგჯერ ამბობდნენ, რომ ეს ცოდვა მონანიებული მქონდა აღსარებაში. ბევრ ტყუილსაც ამხელდნენ. მაგრამ ზოგჯერ ვერაფერს ამბობდნენ სამაგიეროდ. მე ვიცოდი, გამართლება არ იყო, ეს ყველაზე საშინელი იყო.

– გაიმართლოს თავი! მოგვეცი ის ჩვენი! – დაიღრიალა მათმა თავადმა, მაგრამ ანგელოზებმა უთხრეს, რომ ამაზე ნება არ არის.

– რაა? – დაიგრავინა ბოროტმა, – როგორ არა? სადაა სამართალი, ჩვენ რა ტყუილად ვიშრომეთ? მან პასუხი ვერ გაგვცა ჩაღნილზე. რა, ჩვენც შეგვიშვებთ სამოთხეში?

მაგრამ ანგელოზებმა პასუხი არ მიუგეს და წავედით; უკან მოვიტოვეთ მათი ბოროტი, შურიანი მზერა.

რა საშინელებაა! როგორ უნდა ვაგოთ პასუხი ყოველ სიტყვაზე?

– ყველა სიტყვის ფასი რომ იცოდეთ და იცოდეთ საზვერებში რა გელით... ზოლოთუ არ იქნება ღვთის შიში, ადამიანი აქ ვერ იპოვის გამართლებას, – თქვეს ანგელოზებმა.

მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ რომ დავბრუნდი, მივხვდი, რომ უკვე პირველი საზვერედან შეიძლებოდა დამეკარგა ჩემი ანგელოზები. ბევრი დრო არ იყო გასული პირველი ტანჯვიდან, რომ უკვე მოვიდა მეორე.

მე ცრემლებამდე ვეხვეწებოდი ჩემს თანამგზავრებს, რომ ამცდენოდა ეს ტანჯვა. მაგრამ ანგელოზებმა მითხრეს, რომ მომეკრიბა სიმამაცე და მელოცა, რადგან მე ეს ყველაფერი უნდა გამეგლო, ასეთი იყო ღმერთის ნება...

მივხვდი, რომ ეს იყო სიცრუის და მისი თანმხლები შედეგების საზვერე.

– აბა მატყუარა, გაგვცემ პასუხს? ჩვენი, ეჭვი არაა! გახსოვს, როგორ მოატყუე ეს კაცი? გახსოვს, როგორ გააცურე ის კაცი? ან ეს? არ გახსოვს, ხელმძღვანელობის წინაშე როგორ პირფერობდი? გახსოვს ეს კაცი, ცილი რომ დასწამე მას, შენი ცრუ მოწმობით რამდენიმე წლით მოუწამლე სიცოცხლე; შეშინდი და მეგობარი გასაჭირში მიატოვე; შენი გამჭრიახობით, თუ როგორ ოსტატურად გააცურე ისინი. შენ ჩვენნაირი ხარ! ნახოს რას წარმოადგენს! იპოვოს თავისი თავი, თუ შეძლებს!

უცებ, ჩემი თავი დავინახე პატარა, დაბალჭერიან ოთახში, რომელსაც ნათურა სუსტად ანათებდა, შუქი ძლივს აღწევდა კედლებამდე. დახუთულ ოთახში ბევრი ხალხი იყო, რომლებიც წინ და უკან დადიოდნენ. გამოუვალობის შეგრძნება და უიმედობა იყო ირგვლივ. მე ვცდილობდი გასვლას, უცებ ვიღაცა დამეჯახა: „სად მიდიხარ თხოო!“ შევხედე და მას ჩემი სახე ჰქონდა! იქვე მდგომ კაცს ვკითხე: „უკაცრავად, არ იცით, აქედან როგორ გავიდე?“. ის შემობრუნდა და მასაც ჩემი სახე ჰქონდა! არაფრისმეტყველი და უაზრო მზერით მითხრა: „დამანებე თავი!“ „ვინ ეძებს აქ გასასვლელს?“ – უცებ კიდევე ჩემმა მე-მ მიპასუხა, – „კარგ ფასად გიჩვენებ გასასვლელს“ – „არ დაუჯერო მაგას, ყველაფერს იტყუება“ – თქვა მესამე მე-მ. – მაცადეთ დაძინება! – დაიძახა კიდეც სხვა მე-მ. – „რა სახე ჩამოგტირის, გაიცინე!“... – მაცადეთ წყნარად მოვკვდე!“ – დაიკვნესა ვიღაცამ... ხალხი ხმაურობდა, ზოგი ბილწსიტვაობდა, ზოგი ლოცულობდა. ზოგი კედელს ურტყამდა თავს, ზოგი ფეხებს აბაკუნებდა და ეს ყველა – ჩემი სახე იყო სიცოცხლეში, რომლებიც სინამდვილეში არ ვიყავი. ჩემი ნამდვილი სახე, ღმერთის მოცემული ნატურა, საღდაც იყო დაკარგული. რამდენი ნილაბი მქონია! თვითონაც არ ვიცოდი ვინ ვიყავი სინამდვილეში.

დემონები ბევრ მართალს თავიანთ ტყუილებსაც უმატებდნენ, მაგრამ ანგელოზები უკუაგდებდნენ მათ. ყველაზე მეტად ის მაკვირვებდა, როგორი სიზუსტით იცოდნენ მათ ჩემი ყველა უცაბედად ნათქვამი ტყუილიც კი, სიმთვრალეში წამოსროლილი ყველა სიტყვა მაშინვე მათ ქარტიასში ხვდებოდა. ბრალდება ძილში ნათქვამზეც კი წამიყენეს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათთვის სულერთი იყო, ოღონდ ბრალდება წაეყენებინათ, თუნდაც სულ აბსურდული ყოფილიყო ისე ეჭიდებოდნენ ყველა წვრილმანს, რომ შევეშინებინე და ავეფორიაქებინე. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა სულისათვის. ისინი ღრიალებდნენ, ხტოდნენ და ყვიროდნენ. ერთმა, რომელიც ჭიანჭველაჭამიას წააგავდა, ჩემი გამოტაცებაც სცადა ანგელოზის ხელიდან, ამიტომ ისინი ზურგს უკან მმალავდნენ. ამ საშინელი კოშმარის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. მტერსაც კი არ ვუსურვებ ყოველივე ამას.

ანგელოზებმა პასუხი გასცეს ცოდვების გადასაფარავად, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. დემონები ხარობდნენ, გამარჯვებას ზეიმობდნენ წინასწარ, თითქოს სექტანტებმა სიტყვიერ პაექრობაში მოიგესო. საინტერესო ის იყო, რომ მხიარულობის დროსაც კი ისინი შეჭმუნუნნი და ბოროტნი რჩებოდნენ. მათი სიხარული აუტანელი იყო, რადგან ჭკუიდან შემლილის სიხარულს ჰგავდა, რომელიც ახალ საწამებელს იგონებს თავისი მსხვერპლისათვის.

– თავი დაანებეთ მაგას, ის უნდა დაბრუნდეს! – თქვეს ანგელოზებმა.

– რა? როგორ თუ უნდა დაბრუნდეს? რატომ აჩვენებთ ამას ყველაფერს? რისთვის ვინდომებდით? რატომ აჩვენეთ? რა, იქნებ ყველა მოიწვიოთ და ჩვენება მოუწყოთ?

მათ მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენ არც დრო და არც სურვილი არ გვქონდა ეს მოგვემინა და განვაგრძოთ სვლა. „რატომ ვეჯავრებით მათ ასე?“ „მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთის სახე და მსგავსი ხართ და ტკბებით ღვთის მადლით. მათ კი ეს ვერ შეინარჩუნეს“. „თქვენ კი შეინარჩუნეთ. ეს ძნელია?“ „არც ისე რთულია. არჩევანი უნდა გააკეთოთ თვითთულმა. ერთხელ ცოდვაზე უარის თქმა ადვილია. უფრო ძნელია შეჩერდე, როცა მანკიერებაშია გადაზრდილი. ჩვენ, ერთხელ რომ ვთქვით მასზე უარი, არ ვიცით ვნება რა არის და ვიღებთ ღვთის მადლს, რომელიც უფრო და უფრო ბევრდება. დაცემულები კი უფრო და უფრო მტკიცდებიან წინააღმდეგობაში, ამიტომ სძულთ მათ იმისი ქმნილება, ვისთანაც შეურიგებლად ომობენ“. „კიდევ რამდენია საზვერე? – გაგებდე მეკითხება – მე ვეღარ ვუძლებ ამას“. „ის 20-ია, და შენ ყველას ნახავ“. ოცი? ოცი ჯოჯოხეთის წრე! კოშმარი, რომელშიც თავიდან ფეხებამდე ეფლობი! ცოტამ თუ იცის დედამიწაზე ამის შესახებ, თუ რა ტანჯვა ელით სიკვდილის შემდეგ.

სანამ შიშით ვძრწოდი, უკვე მივუახლოვდით მესამე საზვერეს. დემონების შეკითხვებიდან მივხვდი, რომ ეს საზვერე იყო განკითხვის და ცილისწამების. გამახსენეს, როცა კი ვინმე განვიკითხე, ახლობელს შეურაცხყოფა მივაყენე და ცილი დავწამე, ვიქცეოდი კადნიერად და თავხედურად;

– გაიხსენე, როგორ განსაჯე ის ადამიანი, შეურაცხყოფა რომ მოგაყენა. გაიხსენე რა

უთხარი მას პასუხად, რა უწოდე! რა უსურვე გახსოვს? მე კი გაგახსენებ!... შენ გახსოვს ის მღვდელი, რომელიც იცი რისთვის განიკითხე? სიარულისთვის! ის კი წვერ-ულვაშისთვის! ის კი – ჩახლეჩილი ხმისთვის! გახსოვს, მათი სახელები? ჩვენ კი გვახსოვს!... გახსოვს, მისი სახელი, 10 წელი მტრად რომ თვლიდი? რამდენჯერ უნდოდა მას შენი შემორიგება, მაგრამ შენ ზურგს აქცევდი! ის მოხუცი ქალი გახსოვს? ზურგზე ფურცელი რომ ჩამოჰკიდე წარწერით. გახსოვს, რა ეწერა მასზე? გაგვახსენე! ის კაცი, ქურდობის შესახებ რომ გაგენდო, შენ კი რა უპასუხე – გახსოვს? ეხლა ვინ არ ქურდობსო! მართალია, ეხლა ვინ არ ქურდობს! – და მათ ხარხარი ატეხეს. ისინი ჩამოთვლას არ ათავებდნენ ყოველივე იმისას, თუ ვინმე ოდესმე განვიკითხე. ყველა მღვდელი დაასახელებს, ვინც განვიკითხე. ერთმა იმ მღვდელის სახე მიიღო, ვისაც კაშკაშა ფერის სამოსელი ეცვა და საყელო და სახელოები ღეკორით ჰქონდა მოქარგული: როგორ მოგწონს ჩემი სამოსი შვილო?“ ერთი მღვდელი კი ბავშვობაში განვიკითხე და აღარც მახსოვდა. დემონმა გაზნექილმა გაიარა ჩემს წინ, რომ მისი ღიპი კარგად დამენახა, რისთვისაც მე ეს მღვდელი განვიკითხე: „კოლინკა, მოდი ჩემთან, უნდა გაკურთხო!“ – და დაიწყეს ხარხარი.

– საკმარისია! – ანგელოზები მრისხანედ გამოვიდნენ წინ. რქიანმა ურჩხულებმა თავიანთ ცხოველურ ფეხებზე ჩაიჩოქეს და ცოტა ხანი მიჩუმდნენ, მაგრამ მერე ისევ ახმაურდნენ. ისინი წინ და უკან დარბოდნენ და მზად იყვნენ, პირველივე შესაძლებლობაზე მომგარდნოდნენ, როგორც მსხვერპლს. მათი წვრილი, ბოროტი თვალები ანგელოზებიდან ჩემზე გადარბოდნენ და გადმორბოდნენ.

– მან ბევრ თავის ცოდვაზე პასუხი ვერ გაგვცა! მოგვეცი, ის ჩვენია!

– მას აქვს კიდევ შანსი გამოსწორდეს! – თქვა ერთმა ანგელოზმა.

– თქვენ არ გაქვთ მაგაზე უფლება! – დაამატა მეორემ.

– რა შანსი! მოგვეცი, მას ვერ წაიყვანთ!

ხმა თანდათან სუსტდებოდა, რადგან მათ ვშორდებოდით. ეს საშინელი მდგომარეობა ჩემზე დამორგუნველად მოქმედებდა და თანდათან ძალას ვკარგავდი. დაუძლეველი შიში მტანჯავდა და მფიჭავდა. მათთან ყოველი ახალი შეხვედრისას, საშინელების გამო,

სიცოცხლის ძალა მეცლებოდა.

– ეს მტანჯველად ძნელია, მე ვერ შევძლებ ბოლომდე გასვლას.

– იყავი მხნე და ილოცე, შენ შეძლებ! იესოს ლოცვა ილოცე, ზეციურ მეუფეს მოუხმე!

აქამდე იესოს ლოცვის შესახებ წარმოდგენაც კი არ მქონდა, ეხლა კი ჩემში თვითონ იბადებოდა სიტყვები: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. ისინი წყალივით მოედინებოდნენ და ღვთის მაღლი იგრძნო ჩემმა გულმა. ლოცვამ ამავესო რწმენის ძალით, რომ ყველაფერი ღმერთის ნებით ხდებოდა.

როგორც კი ცოტა დავწყნარდი, მიუვახლოვდით მეოთხე – ნაყროვანების საზვერეს. საშინელი, უფრო მო ურჩხულეები შეგვეგებებენ. ამ საზვერეში ბოროტი სულები ისეთი საზარელი დასანახები იყვნენ, რომ შეხედვა თავზარს მცემდა. ზოგი ზომით სატვირთო მანქანის ხელა იყო. ზოგი დამხრჩვალის გვამს ჰგავდა და თითქოს მთელი წელი იყო წყლის ქვეშ. ამ საზვერეს უფროსი სხეებზე უფრო დიდი და საშინელი იყო: თავზე შავი რქები ჰქონდა, თვალის ცარიელ ჩაღრმავებებში ზვიგენის მზერა გამოსჭვიოდა, ბანჯგვლიან თათში მყარალი სითხით სავსე რაღაც თასი ეკავა და დრო და დრო სვამდე. ზოგი დემონი ბუქნავდა, ცეკვავდა, ზოგი რაღაცას ჭამდა; ჩხუბობდნენ, რქენდნენ და კბენდნენ ერთმანეთს. ისმოდა აუტანელი ყვირილი და ხორხოცი. რომ მიუვახლოვდით, მთელმა კრებულმა ჩემსკენ მომართა მხეცური მზერა:

– ნახეთ, ახალი ხორცი! – და ახარხარდნენ. ისე იქცეოდნენ, როგორც მთვრალეები.

– გიყვარს ჭამა? ვიცით, გიყვარს! გახსოვს ეს ქეიფები... მაშინ რამდენი კათხა ლუდი დალიე? 11 კათხა! შენ ამხანაგებსაც ასმევდი, გახსოვს?... იმ დღეს იმდენი ჭამე, რომ ფეხზე ვეღარ იდექი, ჩვენ გვეჭირე – ისინი ჯოჯოხეთურად ახარხარდნენ.

– ეს გახსოვს? შენ ისე დათვერი, რომ შენს ნარწყევში იწექი... – რამდენი სიგარეტი მოწიე, არ გახსოვს? ჩვენ კი გვახსოვს. რამდენს უბიძგე რომ დაეღიათ, მოეწიათ... ის დღე გახსოვს, პირველად რომ გაიკეთე? რა თქმა უნდა კომპანიისთვის, აბა როგორ!... რამდენჯერ გამოძეხი, უგონოდ დათვერი!...

– შენ მარხვებს არ იცავდი, მარხვას წარმართული საკვებით შეურაცხყოფდი! ჭა-

მის წინ არ ლოცულობდი! ღამე იმალებოდი ხალხის თვალიდან და ჭამდი! შენ გახსოვს ის რულებები? მიყვარს ტკბილი – შენი სიტყვებია!

ეს ერთ კარებში თამაშს გავდა. რა თქმა უნდა, მე ამას ყველაფერს ჩავდიოდი. ამ ლურჯყურა გომბეშობებმა ჩემი ყველა საქციელი იცოდნენ: სად, როდის და ვისთან რამდენი დავლიე, რა და რამდენი ვჭამე, რამდენი სიგარეტი მოვწიე, რომელი ნარკოტიკი მივიღე. ისინიც იცოდნენ, ვისაც ჩემი ცუდი საქციელით ვუბიძგე და გახდნენ მწვეველები, ლოთები ან ნარკომანები. ზოგი, ამის გამო, კიდევ გარდაიცვალა.

ჩემი მარხვები საშინელი თვალთმაქცობა და ფარისევლობა აღმოჩნდა, რადგან მე ძლომამდე ვჭამდი სამარხო საჭმელს და არ ვიცავდი საეკლესიო წესებს. მათ შემახსენეს ასევე, ბავშვობაში „პრიანიკებს“ შაქარს რომ ვაჭამდი. ჩაწერილი ჰქონდათ საღეჭი რეზინების რაოდენობა და ფასებიც კი, რასაც მათში ვიხდიდი. ტყუილსაც ამბობდნენ, რასაც ვხვდებოდი, მაგრამ ბევრი რამ საგულდაგულოდ ზედმიწევნით ჰქონდათ ჩაწერილი. რა თქმა უნდა, ძალიან მშველოდა აღსარება და ანგელოზები პასუხობდნენ მათ. ცოდვა ეპატიებოდა, თუ აღამიანი აღარ გაიმეორებდა მას, მაშინ გვეხსნებოდა პასუხისმგებლობა ამ ცოდვაზე. მაგრამ თუ ისევ გაიმეორებდა, მაშინ მონანიებულზეც კი უწევდა პასუხისგება, რადგან იგივე ცოდვაში აღმოჩნდა დამნაშავე. სამწუხაროდ, ჩემს შემთხვევაში ასე იყო. დემონები უფრო და უფრო მაჭირვებდნენ და ჩემი წაყვანა უნდოდათ, როგორც გურმანის და ლოთის. კიდევ და კიდევ მოჰყავდათ ჩემი მოუნანიებელი ცოდვები და ის ვიწრო სარკმელი, რომელიც ჩემს გადასარჩენად იყო, უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ხსნა კი არარეალური ხდებოდა.

– თქვენ არ გაქვთ მაგაზე უფლება! – უთხრეს ანგელოზებმა.

– როგორ თუ არ გვაქვს! გაგვცეს პასუხი! ღიახ, ღიახ – გაგვცეს! მართლმსაჯულება მოქმედებს კიდევ აქ, თუ არა?

მათმა თავადმა თასი ესროლა იქვე მდგომს, ის კი მოიკუნტა და შეშინებულმა შეხედა თავის უფროსს. ჩვენ თანდათან ვშორდებოდით მათ და შორიდან ისმოდა მათი ხმაური და წყევლა-კრულვა.

შიშის გამო, ლოცვა მიჭირდა, ძალა მოვი-

კრიბე და ლოცვაში ჩაძირული, მისგან ძალას და სიმშვიდეს ვხაპავდი. ყველაზე მეტად ამ მხეცების დანახვა და მოსმენა არ მინდოდა. თანდათან მივუახლოვდით ხმაურს, ეს იყო მეხუთე საზვერე. დემონებმა მოიმარჯვეს ქარტიები და სიზარმაცესა და სულზე უზრუნველობისათვის მადანაშაულებდნენ. მათი თავადი რაღაც „ლოჟაზე“ იჯდა და თვალებს ბოროტად აკვესებდა.

– მან მთელი სიცოცხლე სიზარმაცესა და მოსვენებაში გაატარა! გახსოვს, სადილის მერე დაძინება რომ გიყვარდა? ის ლიტურგიებს აცდენდა! იმის ნაცვლად, რომ ტაძარში ყოფილიყო, მეგობრებთან დადიოდა. გაგვეცი პასუხი! გახსოვს ის დღე, სეირნობის მერე მთელი დღე რომ იძინე?... გახსოვს ის ხალხი, მათთვის ლოცვა რომ გთხოვეს, შენ კი არ ლოცულობდი?!

ბევრი, ამ ცოდვებიდან მონანიებული მქონდა და ანგელოზებმა გადაფარეს მათი ნაწილი, მაგრამ ცოდვები კიდევ ბევრი რჩებოდა. მე არ ვიყავი ბუნებით ზარმაცი და უსაქმური, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. მათ ის დღეები და საათებიც კი დაუთვლიათ, რომელიც უსაქმოდ გამიტარებია. უცებ, ცოცხლად დავინახე ის დღე, როცა სავარძელში უაზროდ ვიჯექი და მთელი დღე ერთ წერტილს ვუცქერდი. დეპრესიას რომ ვეძახით – ესაა უბრალოდ სასოწარკვეთა, უიმედობა, რაც უმკაცრესად იხვეება ამ საზვერეში. მათ აღრიცხული ჰქონდათ ლიტურგიები, როცა ვკადნიერდებოდი და მოუმზადებელი მივდიოდი საზიარებლად. სრული სიზუსტით ჰქონდათ დათვლილი ღვთისმსახურებები, რომლებიც ჩემი სიზარმაცის ან სხვა საქმის გამო გავაცდინე.

გამოვიდა ერთი დემონი უშველებელი კუზით, რომელიც ჰიპოპოტამს ჰგავდა და ძველსლაგურ ენაზე თქვა V საეკლესიო კრებაზე გამოცხადებული კანონი: რომ ვინც 3 ლიტურგიას გააცდენდა უმიზეზოდ, განკვეთილ იქნას კრებულისა და დაასახელებს რიცხვი, უკვე რამდენჯერ უნდა ვყოფილიყავი განკვეთილი ეკლესიიდან.

– ის არაა საერთოდ ქრისტიანი, ის არ ეკუთვნის ეკლესიას. რას ელოლიავებით, მოგვეცი ის ჩვენ!

– არ გაქვთ მასზე უფლება! – უპასუხეს ანგელოზებმა.

თავადი წამოხტა თავისი „ლოჟიდან“ და

დაიყვირა: „აბა რაზე აქვს უფლება ძილზე და განცხრომაზე? ის ჩვენია სამართლიანობის მიხედვით!“

ანგელოზებმა პასუხი არ მიუგეს და წავედით. მე მიკვირდა: „თვითონ რა იციან სამართლიანობის შესახებ, როცა სულ ტყუიან და ხალხს ცოდვისკენ უბიძგებენ?“ „მათ უნდათ, რომ რაღაცას გამოჩვენ ამისგან, მაგრამ ავიწყდებათ გულმოწყალება. მათ იციან, რომ სამართლიანობის მიხედვით ისინი საუკუნო სატანჯველისთვის არიან განწირულნი, ამიტომ მოითხოვენ ასეთივე სამსჯავროს სხვებისთვის; ისინი ერთგულნი არიან თავისი ბოროტების და ეს დალუპავთ მათ საბოლოოდ“.

ანგელოზებთან საუბრის დროს თანდათან გამოჩნდნენ მეექვსე საზვერის დემონები. ისინი შემოგვეჯარნენ და დაიწყეს ყვირილი იმის შესახებ, თუ ოდესმე რამე მომიპარავს ბავშვობაში; ანგელოზებმა პასუხი გასცემს ამას, რადგან ყველაფერი მონანიებული მქონდა აღსარებაში და ვცდილობდი, რომ ეს აღარ გამემეორებინა. მაგრამ ახლა დემონებმა წარმოადგინეს რაც ირიბად ითვლებოდა ქურდობად: დაფარვა და სხვისი ქურდობის გამართლება. მათ გამახსენეს, რომ სხვის ფრაზებს და აზრებს ვითვისებდი, ჩემად ვასაღებდი. დაასახელეს ასევე უბილეთოდ მგზავრობის: ტრამვაის, ავტობუსის, ტროლეიბუსის, მატარებლის ნომრები; ასევე ტექსისაც – როცა მგზავრობის ფული არ გადავიხადე. დაასახელეს რომელი სამუშაო ინსტრუმენტები ავიღე სამსახურიდან და აღარ დავაბრუნე.

ანგელოზებმა უთხრეს, რომ მე ამას ყოველივეს გამოვასწორებდი. ურჩხულები საშინლად განრისხდნენ და ახმაურდნენ, პასუხისგებას მოითხოვდნენ. თან წუხდნენ ფუჭი შრომისათვის. ბოლოს ბოროტად მომამახეს: „ჩვენ ისევ შევხვდებით და მერე შენ ველარავინ გიშველის!“ ამ მუქარამ ძალიან შემამინა. გავიფიქრე, ეს რომ ნამდვილი სიკვდილი ყოფილიყო, ვილა მიშველიდა, ვინ გადაფარავდა ჩემს ცოდვებს? ამ ფიქრმა ძლიერ დამამძიმა, ნეტა რა ელით იმ სულებს, რომლებიც გარდაიცვლებიან და ელიან სასამართლოს?

– გინდა იცოდე ამის შესახებ? – მითხრა ერთ-ერთმა ანგელოზმა და ამ მომენტში დავინახე ასი ათასობით სული, რომლებიც გადიოდნენ საზვერეებს. ზოგი პირველ დო-

ნეზე იყო, ზოგი ჩვენზე გაცილებით ზემოთ იყო, ზოგიერთი თავის რიგს უცდიდა, ზოგს კი რამდენიმეს ერთად ცდიდნენ. მე ვხედავდი და განვიცდიდი მათ შიშს და სასოწარკვეთას. გამოუვალნი მდგომარეობის საშინელებით დაღრეჯილი სახეების ცქერა მტკივნეული იყო. ბევრი ტიროდა და მოსთქვამდა, ითხოვდნენ შეწყალებას. ხშირად ისმოდა თხოვნა, რომ მიეცათ მათთვის შანსი, რომ გამოსწორებულიყვნენ; ამბობდნენ, რომ ყველაფერს მიხვდნენ და შეცვლიდნენ თავის ცხოვრებას, მაგრამ ეს ფუჭი ვედრება იყო. მახინჯი დემონები საზვერედან გადმოვდებულ, დაღუპულ სულებს სიხარულით მიაქანებდნენ ცეცხლის სამეფოში. ფუჭად დაკარგული დროის გამო სულის დაღუპვა და მდგომარეობიდან გამოუვალობის შეგრძნება სიკვდილის ტოლფასი იყო.

როცა მარტონი დავრჩით, გულში გავიფიქრე: „რა საშინელებაა, რომ დედამიწაზე არავინ იცის საზვერეების შესახებ?“ უცებ მივიღე ანგელოზების პასუხი: „ბევრმა არ იცის, ზოგმა იცის. მაგრამ ზოგი ივიწყებს! ვინც ეკლესიას არ შორდება, მას სულ ახსოვს სიკვდილი. მაღლობდე უფალს, შენდამი გამოჩენილი ამ დიდი წყალობისათვის“.

მეშვიდე საზვერეს მივუახლოვდით. ეს იყო სიძუნწის და სიხარბის საზვერე.

– ის ბავშვობიდან ძუნწი და ხარბია! ის არავის არაფერს უყოფდა! მერე მისი მიზანი ფულის მოხვეჭა იყო! ფული, ფული! აი, რისთვის ცოცხლობენ ისინი. რას იტყვი ამაზე?

დემონებმა დამანახეს ყველა ის მათხოვარი, რომლებსაც ჩავუარე და მოწყალება არ მივეცი. მერე გამახსენეს ყველა ის შემთხვევა როცა ვიძუნწე ან სიხარბე გამოვიჩინე. თუ ვინმეს კანფეტებს ვაძლევდი გამორჩენისათვის, თუ ვინმეს ტელეფონის ან საათის გაყიდვაში მივეხმარე. დამისახელეს ყველა ის ნივთი, რომელსაც ვაგროვებდი და არ ვიყენებდი, თუ რამე მიყიდა და არ ჩამიცვამს.

ყოველივე ამაზე ანგელოზები პასუხს უგებდნენ ჩემი გაღებულ მოწყალებიდან და აღსარებიდან, რაც მეპატია. დემონებმა აღარ იცოდნენ რა ეთქვათ და კბილებს აღრჭენდნენ.

მერვე საზვერე – მექრთამეობა-მევახშეობის და უსამართლოდ შეძენის (მტაცებლობის) საზვერეში, ცბიერმა დემონებმა მიჩვენეს ყველა ის შემთხვევა, როცა მზაკვრობით ან ძალით დამისაკუთრებია სხვისი ნივთი, ვმა-

ღავდი ფულს სკოლაში, ვისესხე და აღარ დავაბრუნე.

აქ დიდხანს არ გავჩერებულვართ, რადგან ეს ცოდვები მთელი გულით მქონდა მონანიებული აღსარებაში. წავედით შემდეგ.

მეცხრე საზვერეში – გამოიცლება ყოველგვარი უსამართლობა, თუ რამეს არასწორად აკეთებ. აქ დემონებმა გამიხსენეს ყოველივე ის, თუ შეცდომით ვინმე დამიდანაშაულებია ან განსჯაში მივიღე მონაწილეობა. წამომიყენეს სხვა არასწორი მოქმედებებიც, თვით იქამდეც, რომ აი, მაგალითად: ავტოსერვისში საბურავებს ბოლომდე არ ვბერავდი, ან სხვა რაიმე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქმეს ბოლომდე არ ვაკეთებდი და სხვა თანამშრომლებსაც იგივესკენ მოუწოდებდი, რომ ამაში საგანგაშო არაფერი იყო. „ის აცდენდა ამ ხალხს!“

ანგელოზებმა ჩემი კეთილი საქმეებით გადაფარეს ეს ბრალდებები და გავაგრძელეთ გზა.

მეათე საზვერე – შურის საზვერე, საკმაოდ სწრაფად გავიარე, რადგან არასდროს ვყოფილვარ შურიანი. ვიცოდი, რომ ყველას თავისი საზომით ეძლევა. თუ შენს მეზობელს მეტი აქვს, ე.ი. მეტად უნდა გაისარჯო შენც; ბედნიერებას ხე არ ისხავს, ბედნიერებისთვის უნდა იშრომო. შური სისულელედ მიმაჩნდა.

გავცდით ამ საზვერეს და მივუახლოვდით მეთერთმეტე – სიამაყის საზვერეს. იშვიათია ადამიანი დედამიწაზე, რომ ამ ცოდვაში არ იყოს დამნაშავე. ხშირად ამას ვერც კი ვატყობთ ჩვენს თავს. დემონები გამჭოლად მიმზერდნენ და დაიწყეს ყველაფრის ჩამოთვლა, რაც სიამაყესთან იყო დაკავშირებული.

– ის სულ ამაყობდა თავისი თავით! თავისი ცოდნით და განათლებით ტკბებოდა! გახსოვს ის ადამიანი თავი რომ გადაამეტე? მას არასრულყოფილად მიიჩნევდი, გახსოვს რა უწოდე? უიღბლო! შენთვის ყველა უიღბლო იყო, შენს გარდა! მშობლებს როგორ ექცეოდი? ის პატივს არ სცემდა მათ! დღეს დედასაც კი არ დაემშვიდობა ისე წამოვიდა სახლიდან!

ყურებს არ ვუჯერებდი, გამიკვირდა, როგორი სკურპულოზური სიზუსტით ჰქონდათ ყველაფერი აღწერილი, რომ ჩემი სული დაეღუპათ. მათ შეგროვილი ჰქონდათ, როგორ უპატივცემლოდ ვექცეოდი აწ განსვენებულ მამას და განსაკუთრებით დედას, რომლის მიმართაც გამორჩენილი უპატივცემლობები:

სიტყვა, დაყვირება, გაუფრთხილებლობა, მტრულად შეხედვაც კი – დათვლილი ჰქონდათ. გამახსენეს განმარტოვებისას როგორ ვიქებდი თავს: „ჩემს თავს თუ არ შევაქებ, ვინ შემაქებს?“

ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი მაჩვენეს, რომლითაც სკოლაში ვამაყობდი და სხვებს ვამცილებდი, რომ მათ არ ჰქონდათ. დავინახე შემთხვევა შორეული ბავშვობიდან, როცა მეგობრები ხუმრობით წარმოვადგენდით ჩვენს უპირატესობას, ბავშვები ვამაყობდით: მამაჩემი ქორეგია, მამაჩემი – მეხანძრე, მამაჩემი ფირმის დირექტორია... მაშინ მე ვთქვი, რომ ჩემი მამა – მამადმერთია და მოვიგე ის შეჯიბრი. ვხუმრობდით და ვიცინოდით. იმარჯვებდა ის, ვისი მშობელიც მაღალი მდგომარეობის იყო. ეხლა კი ყოველივე პირიქით იყო – ის აგებდა, ვინც მაშინ მოიგო. ანგელოზები მამართლებდნენ. ეხლა მივხვდი, რა ძალა ჰქონია მთელი გულით მონანიებას, შეცდომების აღიარებას, ადამიანი ამ დროს ებრძვის თავის სიამაყეს!

ასე გავიარეთ ეს საზვერე.

მიუუახლოვდით მრისხანების საზვერეს. სანამ მივიდოდით, მე გაივგონე, დემონები რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „ის ჩვენია! მოიტანეთ მთელ იმისი ცოდვები“. მახსოვს, როგორ შემომხედა ერთ-ერთმა ანგელოზმა და მითხრა: „ილოცე!“ მე გავიხსენე იესოს ლოცვა და დავიწყე ლოცვა.

ბოროტმა დემონებმა მოამზადეს ბრალდებები. შემადლებაზე მჯდომი უფროსები ლომებივით გრგვინავდნენ თავიანთ ქვეშევრდომებზე: „კიდევ მოიტა, კიდევ! რას დგენართ, სულელებო!“

„გახსოვს ის დღე, როცა ჯერ კიდევ საწოლში მწოლიარემ დაიწყე ის დღე მრისხანე ყვირილით, მერე შებრუნდი და კედელს მუჭი მიარტყი გაბრაზებით? ყველაფერზე რომ ბრაზდებოდი: კბილის ჯაგრისზე, ტელევიზორზე, ახალი ამბების ტიტრებზე, შენს თავზე, დედაშენზე. ერთხელ ქვა მოგხვდა გზაში, მძლოლს ეჩხუბე!..“

თითქოს მთელმა მარადისობამ გაიარა, სანამ ისინი ჩემი მხოლოდ ერთი დღის ცოდვებს ამბობდნენ. მათ გაიხსენეს ყველა ჩემი მრისხანე რეპლიკა, ყველა ჩემი მდგომარეობა როცა ვბრაზობდი, ისიც კი, რასაც მარტო ყოფნის დროს ჩემს თავს ვეუბნებოდი. წარმომიდგინეს არა მარტო ნათქვამი და ჩადენილი,

არამედ მრისხანე მზერა, წყენა და მღუმარება, მრისხანე ცრემლები. ასევე – ყველა ჩემი ისტერიკა და ჩხუბი, გაღიზიანებულობა და ბოროტის სურვილი.

დემონები ისე იყვნენ გამხეცებულები, რომ არა მარტო მე, ერთმანეთსაც უყვიროდნენ. მათი თავადი მრისხანებდა და რკინას ღრღნიდა; ისინი ერთმანეთს ებრძობებოდნენ და მივხვდი, რომ თვით ხორცშესხმული მრისხანება იყვნენ თავად.

ანგელოზებმა ძლივს გამომიყვანეს ამ საზვერედან. ღმერთო ჩემო, მე ვერც ერთი საზვერე ვერ გავიარე! ვმორდებოდით ამ საზვერეს და მრისხანე ყვირილი და მუქარა მესმოდა. მათი თავადი ქვეშევრდომებს უყვიროდა: „არაფრის მაქნისებო, უსაქმურებო! მაცადეთ, ვეტყვი თქვენზე ჩვენს მამას და მერე მიიღებთ თქვენსას“. ისინი კი როგორც შეეძლოთ თავს იმართლებდნენ, მაგრამ ცემა მაინც ვერ აიცდინეს.

რა საშინელებაა! რა ელის სულს, რომელიც ასეთი უმოწყალო ურჩხულების ხელში მოხვდება. ღირსი სერაფიმ საროველი ამბობდა, რომ მხოლოდ ღვთის მაღლს შეუძლია დაგვიფაროს მათი მრისხანებისაგან, სხვაგვარად ყველაზე პატარას მათ შორის, შეუძლია თავისი ერთი ბრჭყალითაც კი დალუპოს კაცობრიობა.

მეცამეტე საზვერის დემონები არანაკლებ სასტიკნი აღმოჩნდნენ. მათ გაიხსენეს ჩემი ყველა გულღვარდლიანობა და ბოროტმეხსიერება: ყველა წყენა, რომელიც ვერ დავივიწყე, მუქარა, სამაგიეროს გადახდის სურვილი, ან მოქმედება, მცდელობაც კი. გაიხსენეს ადრეული ბავშვობიდან ჩემი ყველა უკმაყოფილება, შფოთვა და საყვედურები, რომლებსაც მე ვერასდროს გავიხსენებდი უკვე. განსაკუთრებით გამოყვეს საყვედური ღმერთის მიმართ. ამა თუ იმ განსაცდელის გამო. გამახსენეს, რომ ზოგჯერ მზაკვრულ ხრიკებს მიემართავდი, განკითხვის საუბარს მხარს ვუბამდი, ხმას ვაძლევდი ვიღაცის წინააღმდეგ, ვეზიარებოდი ისე, რომ ნაჩხუბარ ადამიანთან არ ვიყავი შერიგებული. დემონებმა დამანახეს ჩემი ბოროტი სიხარული სხვის უბედურებაზე, ქუჩაში წაქცეულზე... გამახსენდა ის დღე, როცა მეგობრებთან ერთად, ყინულის ახლოს ვიდექით და დავცინოდით იმას, ვინც ციგურაობა არ იცოდა.

ღმერთის შეწევნით, ეს საზვერეც გადავ-

ლახეთ, მაგრამ დამრჩა ზოგიერთი შეცოდება, რომელიც უნდა გამომესწორებინა დედამიწაზე.

მე-14 საზვერე იყო მკვლელობის და ყოველგვარი ავაზაკობის საზვერე. ბოროტი სულები გადმობტნენ და მიჩვენებდნენ ყველაფრეს რაც უხეშობასთან და ყაჩაღობასთან იყო დაკავშირებული. მე არ ვიყავი დამნაშავე მკვლელობაში, მაგრამ ცვლადვი ცემით და სხვა სისულელით.

„გახსოვს ის დღე? სახეში რომ დაარტყი მას და დაეცა! იმას კი – ჯოხი დაარტყი!

ისინი ბევრ ცოდვას წარმომიდგენდნენ: ბავშვობაში და განსაკუთრებით ტექნიკუმში სწავლის დროს ბიჭების ცემაში რომ მივიღე მონაწილეობა. გამახსენეს როგორ ვცემდი ცხოველებს, ვაწამებდი ხოჭოებს და ფრთებს ვაგლეჯდი ბუზებს. ბოროტებმა გამახსენეს ყველა ჩემი ნათქვამი შეურაცხყოფელი სიტყვა და წყევლა, ან თუ ვინმეზე ხუმრობით მითქვას – მოგკლავ მაგას! ან მითქვამს: დაგახრჩობ! ან – ჩაკვდი რა!

– მკვლელი! მან ადამიანი მოკლა! – ერთხმად აღრიადდნენ ისინი.

– არა, მე არავინ მომიკლავს, – ვთქვი თითქმის ჩურჩულით. მაგრამ, უცებ ნათლად გამახსენდა რომ ერთხელ ნაცნობი გოგონა მიყვებოდა, რომ დაფეხმძიმდა ვიღაცისგან და აბორტის გაკეთებას აპირებდა, მე კი გაუცნობიერებლად წამოვისროლე: „აბა მეტი რა დაგრჩენია“. და ახლა, საზვერეში მყოფი ვხვდებოდი, რომ მე კი არ შევაჩერე ის ამ განზრახვაზე, არამედ დავეთანხმე კიდევ. ამიტომ მკვლელობის თანამონაწილე ვავხდი.

– მკვლელი! მოგვეცით ის ჩვენ! ჩვენია ის, ჩვენია!

ისინი გარშემო დარბოდნენ, ხტოდნენ და ცდილობდნენ ჩემს გამოტაცებას ანგელოზების ხელიდან. ყველაზე მეტად მათი თავადი გრგვინავდა, ის გაცოფებულ მინოტავრს ჰგავდა, თავზარდაცემული ვიყავი. დავიწყე ლოცვა და პირფერის წერა. ამან უფრო გააცოფა ისინი. „რა, გადაწყვიტე მონიანიო? ეხლა ძლიერ გვიანია შენთვის, შენ დაიღუპე, გესმის? შენ საუკუნოდ ჩვენი ხარ!“ მაგრამ როცა გაიგეს, რომ უკან უნდა დავბრუნებულიყავი ღრიალი მორთეს.

მე ისევ პანიკაში ვიყავი, ისე ვშორდებოდი მკვლელობის საზვერეს, თან მიხაროდა რომ მათი შურისძიება ავიშორე, მაგრამ ეს ისევ ავანსი იყო.

მალე ანგელოზების საუბრით მივხვდი, რომ ვუახლოვდებოდი ყოველგვარი ჯადოქრობისა და მისნობის მე-15 საზვერეს.

ამაზრზენი ბანჯგვლიანი, წვრილთვალება არსებები, უამრავი კიდურით და კუდით, საშინელი სტვენით, ასპიტებივით შემოგვეხვივნენ და დაიწყეს თავდასხმა. მართალია მე არ ვეწეოდი ჯადოქრობას, მაგრამ რამდენი რამ გამახსენეს! გაიხსენეს ყველა ის შემთხვევა, როცა კი ვინმეს მკითხაობისთვის მივმართე, როცა ვუსმენდი და მჯეროდა ასტროლოგების ზღაპრების, ვერთობოდი ჰიპნოზით და იოგათი, ვცდილობდი სიზმრების ახსნას, ვმედიტირებდი და აზარტულ თამაშებს ვთამაშობდი. დაასახელეს ყველას სახელი, ვისთანაც „კარტი“ მითამაშია, ან ვაცდუნე – ეთამაშათ. მათ დამადანაშაულებს ცრუმორწმუნეობაში.

უცებ, შავმა კატამ გაირბინა, მას პატარა რქები ჰქონდა, ბოროტად მიყურებდა და ქირქილებდა. მერე წინ გამოვარდა ისეთი მახინჯი არსება, დედამიწაზე რომ ვყოფილიყავი, მაშინვე გული ამეროდა: „გახსოვს ის დღე?“ მე უცებ დავინახე ბავშვების: ბიჭუნების და გოგონების გუნდი, რომლებიც სიბნელეში ისხდნენ, რაღაც სიტყვებს ბუტბუტებდნენ და ხელში თოკის თუ ნაჭრის ნაგლეჯი ეჭირათ. მათში ჩემი თავი დავინახე. გამახსენდა, რომ ბავშვობაში ჩვენ ხუმრობით ვცდილობდით „გნომების“ თუ რაღაც არსებების გამოძახებას. „თქვენ გგონიათ, რომ არაფერი გამოგივიდათ? არა გამოგივიდათ! მე გავიგონე თქვენი ხმა, მოვედი და კარგა ხნით ჩავსახლდი იმ სახლში“. თითქმის აღარ მახსოვდა ეს ამბავი. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ბავშვური გართობა შავი მაგიის რიტუალი აღმოჩნდებოდა, რომელმაც ბნელეთიდან დემონი გამოიძახა.

მე მიშველა ანგელოზების თანხლებამ და ვიღაცის ლოცვამ, რომელიც მამლიერებდა. ვიღაც ლოცულობდა ჩემთვის იქნებ ეს დედა იყო? ან დედაღვთისამ გაიხსენა ის, ვინც ყველაზე მეტად ივიწყებდა დედამიწაზე მის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ეს ჯოჯოხეთური ტერარული უკან მოვიტოვეთ. „რა საზიზღრობაა! რა მახინჯები არიან“.

„ცოდვა ყველაფერს ამახინჯებს, რასაც შეეხება. დაიჯერებ, რომ გითხრათ, რომ აღრე ისინიც ისეთივე მშვენიერები იყვნენ, როგორც ღმერთის სხვა ანგელოზები? მაგრამ ყველაფერი შეიცვალა ცოდვის მოსვლისას.“

დღეამიწახეც შეიძლება შეამჩნიო ეს ცვლილება. ადამიანს ყველაფერი სახეზე აწერია. ცოდვილებს პირქუში სახეები აქვთ, ყველგან ცოდვას და ბოროტებას თესავენ. მათი არსებობა აუტანელია.

მართლებს კი, სახეც მშვენიერი აქვთ და პირი ნათელი. მათ მშვიდობა და სინათლე მოაქვთ.

იყავი მშვიდობისმყოფელი და ღმერთი სულ შენთან იქნება“.

ანგელოზებთან საუბრის შემდეგ, როგორ არ მინდოდა საზიზღრების დანახვა, მაგრამ წინ კიდევ 5 საზვერე იყო, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლიდი.

და აი, კიდევ შემოიპყრო აუტანელმა შიშმა. წინ იყო სიძვის და გარყვნილობის საზვერე. მე შიშით მოვიკუნტე და ვიძახდი: „ღმერთო, გეხვეწები, შემიწყალე“!

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ამ საზვერის დემონები ტრაბახობენ, რომ ყველაზე ბევრ სულს ისტუმრებენ ჯოჯოხეთში. ბუნებრივიც არის: გამრავლების ინსტინქტი მეტად ძლიერია ადამიანებში. და მითუმეტეს ახლა მთელი მედიანდუსტრია სიძვის გაღვივებაზე მუშაობს. ამიტომ არიან ჩვენი მტრები ასე თამამად ამ ფრონტზე.

გახსნეს თავიანთი გრაგნილები და სიძვის დემონებმა, თავდაჯერებულებმა, სიამაყით დაიწყეს ჩემი წამება. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ თავის თავში და მე მალე მივხვდი რატომ.

– ის დამნაშავეა ბევრ რამეში! როგორ შეძლებთ მის გამართლებას? გახსოვს ისინი? შენ ორივესთან შესცოდე! ამასთან კი წლის ბავშვის თანდასწრებით სცოდავდი, რას იტყვი ამაზე? გახსოვს ის საღამო, რას აკეთებდით იქ. ის ცეკვები? შენ იმას შეეხე, იმასაც; ეხვეოდი და კოცნიდი მას. გახსოვს ის მოგზაურობა? იმ ქალს უყურებდი, იმასაც, მზერით აშიშვლებდი, გულში ცოდავდი მათთან. რა ეწერა თქვენს წიგნებში? გახსოვს ის უსირცხვილო ხუნტრუცი, მერე მთელი საათი ოცნებობდი სიძვაზე, მერე ძილში შეიბილწე. გახსოვს ის გოგო? მის შესაცდენად გეგმებს აწყობდი! შენ პასუხს აგებ ამისთვის!

ანგელოზებმა უპასუხეს, რომ ყველა ეს ცოდვა აღიარებული მქონდა.

– როგორ აღიარებული? ის ბოლო წუთამდე სცოდავდა, ეკლესიაში კი მთელი თვე არ ყოფილა. ტაძარშიც კი სიძვაზე ფიქრობდა! ის ეხლაც კი შეცდება!

უცებ ერთი დემონი შიშველ, ლამაზ ქალად გადაიქცა და მენჯის მაცდური რხევით ჩემს წინ დაიწყო სიარული: „მოდი ჩვენთან ლამაზო ბიჭო!“

– საკმარისია! – დაიძახეს ანგელოზებმა.

– თქვენ არ გაქვთ მასზე უფლება.

ბოროტმა ისევ თავის სახე მიიღო და დაიძახა:

– გვაქვს! აბა თქვენ გაქვთ? დარჩა მას კიდევ მძიმე ცოდვები, მოგვეცით, ის ჩვენი სულია! ბრბო გრგვინავდა, როგორც მოქმედი ვულკანი. ისინი გარშემო გვირბენდნენ და რაღაც სადისტური ექსტაზით, ცეცხლოვანი მზერით გვწვავდნენ. ჩვენი შეპყრობა უნდოდათ და ჩემი გამორთმევა. მაგრამ ღმერთის გზავნილებმა მკაცრად უბრძანეს წასულიყვნენ ჩვენგან: „ეს სული ჩვენთან დარჩება, რადგან ასეთია ღმერთის ნება!“ შემდგომი სვლისას კიდევ გვესმოდა მათი კბილების ღრჭენა.

რაღაც დროის შემდეგ მივუახლოვდით მრუშობის საზვერეს. მე არასდროს ვყოფილვარ დაქორწინებული და არ ვცოდავდი გათხოვილებთან, ამიტომ დემონების მცდელობა რამეში დავედანაშაულებინე, წარუმატებელი აღმოჩნდა.

შემდეგ მოდიოდა უკუღმართი სიძვის საზვერე. ამ ვნებას არასდროს არ განვიცდიდი. მაგრამ ბოროტებმა მაინც მოიყვანეს ჩემი ცხოვრებიდან ერთი შემთხვევა, რომელიც თავის სასარგებლოდ შეიძლება შემოეტრიალებინათ, მაგრამ ანგელოზების მოტყუება შეუძლებელი იყო. მაშინ ერთმა პირქუშმა ეთიოპიელმა შიშველი კაცის ფორმა მიიღო, რომელიც უწესოდ იქცეოდა და მიწვევდა მისთვის მიმებადა. საჭირო გახდა რამდენიმე კეთილი საქმის მოძიება, რომ ამ ბილწ ადგილს გავცლოდით.

შემდეგ შემოგვხვდა ერესისა და კერპთაყვანისმცემლობის საზვერე.

დემონები შეეცადნენ ჩემს აშფოთებას ჩემი შორეული ცხოვრებისდროინდელი ცდომილებით, როცა ეკლესიაში მისვლამდე, პროტესტანტულ საკრებულოში დავდიოდი სემინარებზე და მათ ლიტერატურას ვეცნობოდი. მაგრამ როგორც კი მივედი მართლმადიდებლურ ეკლესიაში, იმწუთას მოვინანიე და ამიტომ ამ ცოდვას ძალა აღარ ჰქონდა.

დემონებმა წარმოადგინეს, რომ ზოგჯერ კვითხულობდი სექტანტურ ჟურნალებს, ინტერესის გამო შევდიოდი წარმართულ ტაძ-

რებში, ვყიდულობდი ოდესღაც თილისმებს. მეუბნებოდნენ, რომ წარმართი და კერპთაყვანისმცემელი ვარ, ტელევიზორის თაყვანისმცემელი. ანგელოზებმა აქ იოლად გამამართლეს.

მივადწიეთ ბოლო – მეოცე საზვერეს – უმოწყალობის და სისასტიკის (გულფიცხელობის) საზვერეს. პირქუში და სასტიკი მაცდურები მომცვივდნენ და დაიწყეს ყვირილი და ღრიალი. მათ გაიხსენეს ჩემი გულქვაობის და უმოწყალობის გამოვლინების ყველა შემთხვევა, როცა უგრძობელობას ვიჩენდი, არ თანავუგრძობდი, დახმარების ხელს არ ვუწვდიდი, ცინიკურად დავცინოდი და არ ვიზიარებდი ახლობლის გასაჭირს, თავს ვიმკვიდრებდი სხვის ხარჯზე. არ ვლოცულობდი მათთვის, ვინც ამას მთხოვდა.

საშინელება იყო, რადგან გულქვა ადამიანი უკვე ბოლო საფეხურზე, თითქმის სამოთხის კარიბჭესთან, რისკავდა ჩავარდნილიყო ქვევით და ყველაფერი დაეკარგა.

ანგელოზებმა პასუხი მიუგეს ჩემს მონანიებულ ცოდვებზე. ნამდვილად რომ მოვმკვდარიყავი, არ ვიცი რას გავაკეთებდი, რას ვუპასუხებდი თავის გასამართლებლად. ეს საშინელი წარმოსადგენი იყო.

ბოლო საზვერეს გავლის შემდეგ გამოჩნდა ცათა სასუფეველის კარიბჭე. იქ იმდენი სინათლე და სიხარული იყო, რომ აღწერა შეუძლებელია. კარიბჭესთან ბევრი ნათელი ფიგურა შევნიშნე, შიგნითაც ბევრი დადიოდა. ანგელოზმა სიყვარულის თვალებით შემომხედა და მითხრა: „შენ ნახე საშინელი საზვერეები და განიცადე, ის რაც ელის ყველა მონათლულის სულს სიკვდილის შემდეგ, ღმერთის წყალობით. შენ უკან უნდა დაბრუნდე ცოდვილ სამყაროში და ყველას უნდა მოუყვე ნანახის შესახებ“.

ჩემი მზერა ამ სილამაზეს მიეჯაჭვა და აღარ მინდოდა იქიდან ჩამოსვლა: „გთხოვთ, აღარ დამაბრუნოთ დედამიწაზე“... „შენ იცოდი, რომ უნდა დაბრუნებულიყავი; გახსოვდეს, შენ ვერ გაივლიდი საზვერეებს, ამ სილამაზეს მხოლოდ უფლის წყალობით ხედავ. უკან უნდა დაბრუნდე და მოყვე ყოველივე რაც აქ ნახე, რომ საუკუნო სიკვდილს გადაარჩინო ბევრი სული!“

თუ არ გაუფრთხილდები და არ გააცხადებ ამ ცოდნას, რომელიც ღმერთმა მოგცა, მაშინ დაღუპული სულები შენს სინდისზე იქნება და ამისთვის პასუხს აგებ. თუ მოუყვები ხალხს და არ დაგიჯერებენ, ან არ მიიღებენ, შენი

ბრალი არ იქნება. დაიხსომე რაც აქ ნახე და გაიგონე!“

ამ მომენტში ყველაფერი დატრიალდა. ბროლის კარიბჭე და ანგელოზების მოსიყვარულე მზერა სადღაც წავიდნენ და ნათელ მოგონებად დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში. მე, თითქოს როგორც ზემოდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავი, ელვისებურად დავბრუნდი ჩემს სხეულში. მაშინ მე გამახსენდა ჩემი სიკვდილის მიზეზი, ღმერთო ჩემო! რა ტკივილი იყო. 18 ძვალი მქონდა მოტეხილი, შინაგანი ორგანოები დაზიანებული, ჭრილობები, დაბეჭდილობები; ნუთუ 21-ე საზვერეში მოვხვდი? ჩემი ჯოჯოხეთური ტანჯვა გრძელდებოდა. თითქოს ჩემი უშედეგო რეანიმაციის შემდეგ ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს და ტომარაში მომათავსეს, სადაც გონზე მოვედი. სიბნელე იყო, აუტანლად მტკიოდა სუნთქვა ჭირდა. ბგერების წარმოთქმას ვცდილობდი, მაგრამ სასწრაფო მანქანის ხმა ახშობდა ჩემს სუსტ ხმას. ბოლოს მედიკებიდან რომელიღაცამ, რომელსაც ალბათ მუსიკალური სმენა ჰქონდა, გაიგონა ჩემი ხმა.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ზღურბლი, რომლის შემდეგაც დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ძალიან ვცდილობ, რომ ის განსხვავებული იყოს ძველისაგან. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, სულიერი მამის რჩევით, ინსტიტუტი მაინც დავამთავრე და შემდეგ ალბათ, რომელიმე ბანკის დახუთული კაბინეტი მელოდა, რომელიც მონასტრის მყუდრო კელიაზე გავცვალე. დედამ არა მარტო დამიჭირა მხარი ჩემს გადაწყვეტილებაში, არამედ თვითონაც ერთ-ერთ დედათა მონასტერში წავიდა.

ჩემი მფარველი ანგელოზისადმი დადებული აღთქმით, მსოფლიოს გავაცანი ჩემი ისტორია. ის უკვე წიგნებად გამოიცა, როგორც მართლმადიდებლურ, ასევე საერო გამოცემებში. არაერთხელ მიმიწვიეს რადიოგადაცემებსა და ტელევიზიაში დიალოგისათვის თემაზე: „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“.

ვფიქრობ, ღმერთის შეწევნით, გარკვეული ნათელი მოფინე ადამიანის თვალისაგან დაფარულ ამ რეალობას, რომელშიც ჩვენ ყველა, ერთხელაც აუცილებლად აღმოვჩნდებით და რომლის შესახებაც ცოტა რამ თუ ვიცით.

გამოქვეყნებულია
2014 წლის 15 დეკემბერს.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

მერაბ მიქელაძე,

ანთროპოლოგიის დოქტორი

მჭედლობა – ეროვნული ხელობა

და

მისი ღვთაებრივი ასპექტები

ადამიანი ცისა და მიწის კავშირია – ღვთაებრივი სულით და თიხის, ანუ მიწის სხეულით. წმინდა მამის, მაკარი დიდის განმარტებით: „როგორც ადამიანის საცხოვრისად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა, ასევე სხეული და სული კაცისა შექმნა ღმერთმა თავის სამკვიდრებლად...“¹ ძველი აღთქმის დაბადებით, ღმერთმა ყოველი სულიერი თუ უსულო ღვთაებრივად ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი მსახურებისთვის შექმნა. ღვთის წყალობად უნდა მივიჩნიოთ სასარგებლო, ბუნებრივი წიაღისეულიც, რომელსაც ადამიანი, დღიდან შექმნისა, ეძიებს, ჰპოვებს და საკუთარი არსებობისთვის იყენებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ღვთაებრივი სიმდიდრეს ქართული ენა საბადოს უწოდებს, რომელიც ღვთაებრივ დაბადებას ენობრივად ენათესავება. საგულისხმოა ისიც, რომ იგივე ენობრივი ფუძე გვხვდება რისამე ფლობის კონტექსტშიც: აბადია, მბადია და ა.შ.

ბიბლიური დაბადებით, კვერით ხურობა, ანუ სამჭედლო საქმე ლამექის ვაჟის, ქართველთა ეთნარქოსად მიჩნეული თუბალ-კაენის ხელობაა (დაბადება, IV, 22)². ამ მეტად საგულისხმო ცნობით, წმინდა წიგნი, ერთი მხრივ, აღიარებს ქართველთა ხელოვნებას მეტალურგიის რთულსა და უძველეს საქმეში და მეორეც, მჭედლობის ხსენება ბიბლიის, ძველი აღთქმის დაბადებაში აშკარად მიგვანიშნებს, რომ ეს ხელობა წმინდა და საკრალური იყო, შეიძლება რჩეულთა ხვედრიც, ვინაიდან ლითონთა მოპოვება, მათი დამუშავება და სხვადასხვა, მატერიალური თუ სულიერი დანიშნულებით მათი გარდაქმნა თითქოს მცირე მასშტაბით უნდა იმეორებდეს შესაქმის აქტს, როცა ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი ბუნების ძალთა შესწავლასა და დამორჩილებას იწყებს...

სამჭედლო საქმის რელიგიური ხასიათი უწყვეტად ვლინდება როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ რწმენაში; იგი დასაბამს იღებს ხალხური რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოებ მითსა და ეპოსში, რომელიც დაუსაბამო ქრისტიანობის ხატებასაც იმთავითვე ატარებს. გავიხსენოთ ხალხური გამონათქვამი: „ღიდი ცოლოს ამღებელი ჯერ მჭედელი, მემრე მღვდელი“³.

ახლა შევეცადოთ ჩავწვდეთ თუ რა ადგილი უკავია მეტალურგიას ქართულ რელიგიურ ცნობიერებაში. უწინარესად გავიხსენოთ ქართველთა წარმართული რელიგიური პანთეონი, სადაც ღვთაება პირქუში სამჭედლო საქმის მფარველი და განმგებელია. ღვთაებრივმა პანთეონმა „განღმრთობილი“ მჭედლის გვარიც შემოგვინახა – მგელაის-შვილი, რითაც ღვთაების მგლის უძველეს კულტთან კავშირიც გაგვიმხილა, რადგან მგელ-ძაღვლების, იგივე მწვერების ლაშქარი, როგორც ცნობილია, მიწაზე ასტრალურ თუ ანთროპომორფულ ღვთაებათა ნების აღმსრულებლებად გვევლინება. საღვთო მწვეართა ღვთაებრივობა ხაზგასმულია ლურჯ-მოწითალო ფერით და ოქროს ჯაჭვით (საკიდლით)⁴. აქ უთუოდ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სწორედ ცისა და მიწის მაკავშირებელია საკიდელი, რომლის ღვთაებრივ ბუნებას მისი ოქროსგან დამზადებაც განსაზღვრავს. რაღა თქმა უნდა, პირქუშის მგელაის-შვილობაც, მის საკიდლიანობას, ანუ ღვთაებრივ, ასტრალურ სამყაროსთან წილნაყარობას მიგვანიშნებს. ერთი დეტალიც. პირქუშის გვარშივე უკვე იკვეთება ის, რომ მიუხედავად ხთონური ბუნებისა, სამჭედლო საქმე იმთავითვე ცით მომადლებული ნიჭია.

ღვთაებად „გარდასახვამდე“ პირქუში ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილა, ოღონდ

„ნაწილიანი“, როცა დაიძინებდა მხრებშია შუქი ამოუვიდოდა. ძალიან ღამაში ყოფილა პირქუში, მზესავით მანათობელი. ქალები მოსვენებას არ აძლევდნენ, ამიტომაც, შეევედრა მორიგე ღმერთს, თავი რომ წმიდად დაეცვა, მისთვის ფიზიკური სილამაზე წაერთმია. ბოლოს პირქუშს გრდემლზე დაწერება თავისი სიკვდილის დღე. ვინაიდან წმინდა კაცი იყო, ამიტომ სიკვდილის შემდეგ ღვთიშვილად იქცა. მისი ზედწოდებებია: „ლეკურთას მოხურთალი“, „ცეცხლისალიანი“.⁵ ღვთაების კიდევ ერთი ასპექტი იპყრობს ყურადღებას, კერძოდ ის, რომ პირქუში კოჭლია,⁶ ისევე როგორც მისი ძველბერძენი თანამოსაქმე – ჰეფესტო, რომლის ხეობრობა იმითაც იხსნება, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული უნდა იყოს რაიმე ნიშნით გამორჩეული.⁷ თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირქუშმა საკუთარი ფიზიკური სილამაზე პრაქტიკულად მჭედლობის ღვთაებრივი ცოდნის მიღებას „შესწირა“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც პირქუშის, ასევე ჰეფესტოს კოჭლობით, ანუ ფიზიკური ნაკლის ხაზგასმით, წინა პლანზეა წამოწეული ღვთაებათა მენტალური ასპექტი – ხთონური ცეცხლის მისტერიასთან მათი წილნაყარობა.

უდავოა, რომ რელიგიური აზროვნების ყველა საფეხურზე, მჭედელი მუდამ მიიჩნეოდა ხელდასხმულად, ქურუმად, განდმრთობილ პირად, ვისაც ხშირად სამართლის დამდგენლის საკრალური მისიაც კი ეკისრებოდა. ის ზომ იყო პიროვნება, ვისაც ხელეწიფებოდა გარდაექმნა მიწიდან მოპოვებული მადანი, მიეცა მისთვის სასურველი ფორმა და, თუ გნებავთ, შინაარსიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას საკულტორიტუალური დანიშნულების მქონე საგანი უნდა დაემზადებინა, რითაც ერთიანად იზრდებოდა მისი ღვთაებრივი, შესაქმისეული ძალმოსილების მქონე ფუნქცია. ლითონს, მოპოვების შემდეგ, მჭედლის ხელში უნდა გაეველო განწმენდისა და გარდასახვის რთული ალქიმიური პროცესი, სანამ საბოლოოდ სასურველ სახეს მიიღებდა. ამიტომაც, ქართულმა, და ზოგადად, მსოფლიო მითოლოგიამ, ლითონთან ჭიდილში დაღალული მჭედლის სახე მუდამ კოპებშეკრული შემოგვიჩინა. ასეთია პირქუში, ასეთივეა ჰეფესტოც. მათი გაუხარელი ამსოფლიური იერი, მოყვასის სამსახურში ამგვარი მძიმე ჯაფით გამოწვეული, იმავდროულად თითქოს მათ არამიწიერ, ცისმიერ წარმომავლობასაც გვახსენებს.

მცირეაზიური წარმოშობის მქონე, ცეცხლისა და სამჭედლო საქმის ღვთაება ჰეფესტოს მითოსური ხატება ქართულ-კოლხურ სამყაროს, როგორც ფუნქციურად, ასევე ენობრივადაც ეჯაჭვება. ჰეფესტო ოლიმპოს კანონიერი ბინადარია; ჰერას ზევსის გარეშე უშვია ვაჟი, რომელიც სუსტი და ხეიბარი გამოდგარა. გაბრაზებულა ჰერა და ჰეფესტო მიწაზე მოუსროლია, სადაც ზღვათა სიღრმეში დაუფლებია სამჭედლო საქმეს. ოლიმპოზე შემდგომში დაბრუნებულ ჰეფესტოს ახლა უკვე ზევსი გაუნაწყენებია, ვისაც ხელმეორედ გადმოუგდია ბელუკუდმართი ღვთაება და დაუნარცხებია კუნძულ ლემნოსს, რომელიც ამ ღვთაების მძლავრ საკულტო ცენტრად ქცეულა.⁸ აღსანიშნავია ისიც, რომ კუნძული ლემნოსი „საკმაოდ დიდხანს საბერძნეთიდან გადმოსახლებულ პელაზგთა ან ტირსენიელთა სამკვიდრებელი იყო. ლემნოსზე, როგორც ჩანს, გადიოდა ის გზა, რომლითაც კოლხეთიდან და მცირე აზიის ჩრდილოეთი სანაპიროდან მეტალურგიული ცოდნა თუ ინფორმაცია საბერძნეთს აღწევდა“.⁹ თუკი ჰეფესტოს მიწიერი შემოქმედების არეალი კუნძული ლემნოსია, დასახლებული ქართველთა მონათესავე პელაზგებითა და ტირსენიელებით¹⁰, ანუ ეტრუსკებით, აღვნიშნოთ ისიც, რომ თავად ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაების სახელიც – ჰეფესტო, რომელიც ცეცხლის სინონიმადაც კი მიიჩნეოდა, არაინდოევროპული წარმომავლობისაა¹¹ და მას შესაძლოა სწორედ ქართველური ახსნა გამოუვებნოთ, მით უმეტეს, რომ „ჰეფესტიაც, რომელიც კლასიკურ ეპოქაში ლემნოსის ერთ-ერთი ცნობილი დასახლება უნდა ყოფილიყო, თავისი წარმომავლობით წინა-ბერძნულ ეპოქას უკავშირდება“.¹² ნ. მარის მოსაზრებით, იაპეტოსისა და პრომეთეს სახელები ცეცხლის აღმნიშვნელ სიტყვებს ენათესავება და მათი ახსნა შესაძლებელია კავკასიისა და პირენეების იაფეტური ენების საფუძველზე: „პრომეთეს მამის სახელის კავშირს ცეცხლის აღმნიშვნელ ტერმინებთან და ბასკურ ენობრივ მასალასთან ჩვენ ვადასტურებთ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ „აპეტი“ ანდა „იაფეტი“ არა ორელემენტიანი, არამედ სამელემენტიანი შეჯვარებული სიტყვაა – ა-პე-ტი//ია-ფე-ტი, სადაც სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილი pe→!be→pe ავლენს სპირანტულ სახესხვაობას (h სპირანტის დაკარგვით) სიბილიანტური ფუძისა pes↔pis, ხოლო pis ბასკურად ფუძეა

ზმნისა – pis-tü, რაც „ცეცხლის დანთებას“ ნიშნავს. სულეტიზური სიტყვა pis კავკასიურ გურიაში წარმოდგენილია სახესხვაობით – „ფიც“ ასობგერის – „ს“ „ც“-ში კანონზომიერი გადასვლით, რასაც ეთანხმება როგორც ბასკური, ასევე მეგრული და ქართული და ეს „ფიც“ ფუძე ჩადებულია ქართულ ზმნაში – ფიცხა// გააფიცხა, ანუ ცეცხლზე შეწვის გაგებით...“¹³ თუკი გავიზიარებთ ნ. მარის ამ მოსაზრებას, ცეცხლისა და მჭედლობის ძველბერძნული ღვთაების სახელი – ჰეფესტო ადვილად მოექცევა იაფეტიდურ სიტყვათა წრეში, ვინაიდან ცეცხლის აღმნიშვნელი ბასკური pis-tü და ქართული „ფიცხა“ ბერძნულ „ჰეფესტოსთან“ დაკავშირებული აღმოჩნდა როგორც ენობრივი, ასევე შინაარსობრივი კუთხითაც. დაბოლოს, რადგან მეტალურგიის მამამთავარი, ბიბლიური „თუბალ-კაინის“ სახელი ქართველური ტომების, თუბალებისა და ჭანების შესახებ მოგონებას შეიცავს,¹⁴ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სოლომონის ტაძრის აღმშენებლის, ხირამის წარმომავლობას იტალიელი ეტრუსკოლოგი, ჯოვანი ფეო სწორედ თუბალ-კაინურ, ქართულ-პელაზგურ წინაბერძნულ შრეს უკავშირებს: „ტვიროსის მეფის – ხუროთმოძღვარი ხირამის დამსახურებაა სოლომონის ტაძრის აგება. სოლომონი აბელის ხაზია, ხოლო ხირამი ეკუთვნოდა კაენის მოდგმას, რომელსაც კულტად ცეცხლი და სინათლე ჰქონდა, კულტი რომელსაც სპარსელები თაყვანს სცემდნენ „აჰურა მაზდას“ სახით. ტვიროსის მეფე – ხირამი, თუბალ-კაინის შთამომავალი იყო და მედიტერანელ-პელაზგებთან გენეტიკური კავშირი ჰქონდა“.¹⁵ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პელაზგებთან ერთად მოხსენიებული ტირენო-ეტრუსკები, რომელთა დამსახურებაცაა აპენინებზე მეტალურგიის განვითარება, იგივე ფეოს მოსაზრებით, თუბალ-კაინის შთამომავალი ტიბარენებისგან გამოდიან, რითაც იტალიელი მეცნიერი, ნებაუნებურად, ეტრუსკთა და ქართველთა ნათესაობასაც ეჭვმიუტანელს ხდის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სატომო სახელი – ტიბარენი, თუბალისა და იბერიის ელინიზირებული ვარიანტია. იქვე, ხსენებული ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს კოლხების პრიმატს მეტალურგიის განვითარების საქმეში: „ტროას წინ განლაგებულ კუნძულებს, ახლოს დარდანელის სრუტესთან, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ახლოს მდებარეობდა ლითონთა საბადოებთან, რომლებიც დაწყებული ეგეოსიდან და პელეპონესის ნაპირებიდან მიემართებოდა შავი ზღვისაკენ

და კოლხეთისაკენ, ყველანაირი მიწისქვეშა საბადოების ამ უმდიდრესი რეგიონისკენ. ადვილი გასაგებია რატომ დაიძრნენ იასონი და არგონავტები კოლხეთისკენ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მითმი კარგად ჩანს, რომ მათ იზიდავდა სწორედ მინერალებით მდიდარი ეს რეგიონი – კოლხეთი, რომელიც პირველობდა მეტალების დამუშავების საქმეში; სწორედ ამ მონოპოლიის ხელყოფა და მისი დაუფლება სურდათ არგონავტებს“.¹⁶

სატომო სახელის – ტიბარენის ქართულ წარმომავლობასა და მის კავშირს მელითონეობასთან ცხადყოფს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მაგარი რკინისა თუ ფოლადის სახელი ტობართინი, რომელშიც ტიბარენთა სატომო სახელი უნდა ამოვიკითხოთ ისევე, როგორც რკინის სახელში – ჭანარი, ჭანთა სატომო სახელი.¹⁷ რკინის აღმნიშვნელი ბერძნული და ხეთური ტერმინები შეიძლება ასევე ჭანთა სატომო სახელთან იყოს დაკავშირებული. კერძოდ, შესაძლოა ხეთური „კუნა“ (kunnan) და ბერძნული „კიანოს“ (kyanos) იყოს იგივე, რაც ქართული „რკინა“; ბერძნულ kyanos კი საფუძვლად ედოს მეტალურგი ჭანების სატომო სახელის უძველესი ფორმა – კ ა - ი ნ (ვარიანტები კენ//კინ).¹⁸ დაბოლოს, ქართველთა ეთნარქოსისა და მჭედლობის მამამთავრის, თუბალ-კაინის ბიბლიური კვარცხლბეკი რომ ხელშეუხებელი დავტოვოთ, ისიც მოვიგონოთ, რომ ეთნიკური სახელი თაბალ/თუბალი, ხეთურ ტოპონიმიკაში თავს იჩენს, როგორც – tibira, რომელსაც უნდა შეესატყვისებოდეს შუმერული სიტყვა – tibira და ასურული – tabêru. ამავე ენობრივ წიაღს კი ეკუთვნის ტერმინი – Tibal//Tibira, რომელიც მესოპოტამიური პანთეონის ცეცხლისა და სამჭედლო საქმის ღვთაებას აღნიშნავს.¹⁹

დავუბრუნდეთ ჰეფესტოს თავგადასავალს. იგი ორმხრივ საყურადღებოა: ერთი მხრივ, ნათლად იკვეთება ორგზის დაკოჭლებული ღვთაების სახეში ცისა და მიწის კავშირი და მეორეც, მასში ასევე დაუფარავად ვლინდება საკრალური ოთხივე სტიქია, რაც აუცილებელი პირობაა სამჭედლო საქმის წარმატებული წარმოებისათვის (სამჭედლოს საბერველი საჭიროებს ჰაერს, წრთობას სჭირდება ცეცხლიცა და წყალიც, ხოლო თავად ლითონი მიწის სტიქიაა). მართლაც, წყალში გამართული სამჭედლო გვეუბნება წყლისა და ცეცხლის თანაარსებობაზე, ხოლო ოლიმპოდან გადმოვარდნა, ეთერული სივრცის გაჭრა და ღვთაების დედამიწაზე დავარდნა,

კიდევ ორ სტიქიასთან, ჰაერთან და მიწასთან კავშირზე მიგვითითებს. აღვნიშნოთ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რაც ჰეფესტოს, კოჭლობასთან ერთად, ჩვენს პირქუშთან აახლოვებს. ზევსის გადაწყვეტილებით, კოჭლსა და შეუხედავ ჰეფესტოს ცოლად ერგო სიყვარულისა და მშვენიერების ღვთაება აფროდიტე, რომელიც თუმცა ერთგულებით არ გამოირჩეოდა და ომის ღვთაებას, მომხიბვლელსა და მთარძივე არესს ჰყვარობდა, რაც ხშირად ოჯახური სკანდალის მიზეზიც გამხდარა²⁰. შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთი შეხედვით შეუსაბამო წყვილს აერთიანებს დაბადების მისტერია და სიძველე, რაც მათ შეუღლებას კანონიკურ საფუძველს აძლევს. მართლაც, კრონოსის მიერ ანდამატის ნამგლით დასაჭურისებული მამის, ცის ღვთაება ურანოსის ფალოსი ხვდება ხთონურ, ზღვის წყალში, რომლის ქაფიდან იშვება მშვენიერი აფროდიტე²¹, სიყვარულის ღვთაება, რაც თავისი არსით, შესაქმის სცენართან გვაახლოვებს. ახლა უკვე თითქოს ადვილი წარმოსადგენი ხდება ეს ციდან მოვლენილი, პირველადი „სიყვარული“ მიაკუთვნო კაცს, რომელიც მარად მოყვასისა და, თუ საკითხს განვაზოგადებთ, კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღვწის, ვისი საუკეთესო იარაღიც ცეცხლის სტიქიონია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სიყვარული ყველაზე მეტად სწორედ ცეცხლთან ასოცირდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მჭედლის ნახელავს აქვს არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო, მატერიალური ღირებულება, არამედ მას მაღალმხატვრული, ესთეტიური ფასეულობაც გააჩნია, რითაც ეს უკანასკნელი სწორედ მშვენიერების, ამ სიტყვის ღვთაებრივი გაგებით, სამსახურში დგას. ამ თვალსაწიერადან, ნათელი ეფინება იმასაც, თუ რატომ ამჯობინა პირქუშმა ქალებთან არშიყსა და წარმავალ ფიზიკურ სილამაზეს უანგარო მსახურება სამჭედლო საქმისა; ამჯობინა იმიტომ, რომ ამ წმინდა, შესაქმისეული ხელობის ერთგულება ღვთაებრივი სიყვარულის მოპოვების, განწმენდისა და განღმრთობის საწინდარია.

ბერძნული მითოლოგია აშკარად მიგვანიშნებს ჰეფესტოს სულიერ სიახლოვეს ოქრომრავალ კოლხურ სამყაროსთან. მზე-ჰელიოსის დიდებული ეტლი ჰეფესტოს მაღალი ოსტატობის შედეგი იყო²². აპოლონიუს როდოსელის ცნობით კი, სწორედ ჰეფესტოს გაუკვალავს კოლხეთის მეფე აიეტისთვის ვაზის ძირიდან მომდინარე ოთხი წყარო: „ვაზის ლერწები მწვანე

გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთლილები; დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს, დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევენად მოჩუხჩუხებდა, – ჰეფესტო ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკენი. ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე – წყაროს წყალი ანკარა, პლეიადების ჩასვლის ჟამისთვის ეს შადრევანი თბებოდა ხოლმე, და ცაზე მათი ამოსვლის ჟამს კი ყინულზე ცივი, ბროლივით სუფთა მოწანწკარებდა ლოდის ხვრელიდან დაუშრეტელი მაცოცხლებელი“²³.

საგულისხმოა მოსაზრება, რომ „ეს ოთხი წყარო აიეტის სასახლის ტერიტორიას სამოთხის ბაღის მნიშვნელობას ანიჭებს. ამ შემთხვევაში აიეტის წყაროები იმ ოთხი მდინარის შესატყვისია, რომლებიც სამოთხის ბაღიდან იღებს სათავეს“²⁴. ნათქვამს მხარს უმაგრებს ისიც, რომ ოთხივე წყარო გამოდის ვაზის ძირიდან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ერთი საწესო სიმღერით, სწორედ ღვთის კარზეა ამოსული და იგივე ალვის ხეა:

„ჩვენი ხთისშვილის კარზედა/
ხე ალვა ამოსულაო/
წვერად მაუსხამ ყურძენი/
საჭმელად ჩამოსულაო/
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულაო“²⁵.

უკვე ქრისტიანულ კონტექსტში, ყურძნის არ ჭამა ღვთაებრივი ზიარების გარეშე დარჩენას უნდა მოასწავებდეს²⁶. აპოლონიუს როდოსელის ცნობა საგულისხმოა იმითაც, რომ ის იძლევა მაღლა წასული ვაზის სურათს (აღმა ასული ამკობდა სვეტებს), რაც სრულ თანხმობაშია ვაზის, როგორც ალვად ამოსული ხის მითოსურ ხატებასთანაც. ამასთან, თუკი მოვიგონებთ კოლხთა მეფე აიეტის მზისშვილობას, საგულისხმოა ისიც, რომ ოთხივე წყარო მზიურ-ცეცხლოვან ენერგიას უნდა ატარებდეს და თითოეულ მათგანს შესაძლოა ჰქონოდა ღვთაებრივი შესაწირის ფუნქციაც. მართლაც, ღვინოსთან და ზეთთან ერთად, რომლებიც აშკარად სოლარულ ელემენტებს ატარებენ, გავიხსენოთ, რომ მეგრული – ბჟა ნიშნავს როგორც მზეს, ასევე რძესაც. რაც შეეხება წყაროს წყალს, ის შედარებულია ბროლთან, რომელიც მზიურ-ცეცხლოვანი ენერგიის საუკეთესო გამტარია და ღვთაებრივი დატვირთვა აქვს ქართულ მითოლოგიაში.

თუკი მჭედელი ცისა და მიწის მაკავშირებელია, მაშინ ლოგიკურ ახსნას პოულობს ის ფაქტიც, რომ ოთხივე წყაროს შემოქმედი ყოფილიყო სწორედ ცეცხლისა და სამჭედლო საქმის ღვთაება, რომელსაც ძალუმს სამოთხისეული ჰარმონია შექმნას დედამიწაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ხელთ უპყრია გასაღები ოთხივე სტიქიის საკრალური კავშირისა, რომელიც ღვთის ხატად შექმნილი, შესაქმისეული ადამიანის სახელშივე იმთავითვე ჩაიდო. მართლაც, ოთხი ასონიშნისგან შემდგარი ბიბლიური სახელწოდება პირველკაცისა – ადამ, რომელსაც ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ქრონიკა განმარტავს როგორც ოთხი მხარის კავშირს (პირველი ან ადმოსავლეთად ითქმის და დონი დასავლეთად და მეორე ან ჩრდილოეთად და მანი სამხრეთად), იმავდროულად, ალქიმიური ცოდნით, ოთხი ელემენტისგან შემდგარ ზეციურ სფეროდ უნდა მოვიხაროთ, სადაც ასო – ა აღნიშნავს აღმოსავლეთს (Anatole) და შეესატყვისება ჰაერს, რადგან იგი მსუბუქია, ასო დ – დასავლეთს (Dysis), შეესატყვისება მიწას, ასო ა – ჩრდილოეთს (Arktos) და წყალს, ხოლო ასო მ – სამხრეთს (Mesembria) და ცეცხლს, რომელიც მათ შორის ანთია; ამავე ჰერმესისტული მოძღვრების თანახმად, ცის სფეროდ გააზრებული, ოთხი ელემენტისგან „შექმნილი“ ადამი წრეში ჩახატული კვადრატის ალეგორიაა და ის ნიშნავს წითელ თიხას (უბიწო, სისხლისფერ, წითელი ცეცხლის ანუ სხეულებრივ მიწას)²⁷. ნათქვამის გათვალისწინებით, ხომ არ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მიწის სიმდიდრის აღმნიშვნელი ქართული მადა-ნი, თუკი მას „ნი“ ბოლოსართს ჩამოვაშორებთ არის ბიბლიური ადამ-ის ინვერსიული წაკითხვა, რაც სრულებით გამართლებული გვეჩვენება თუკი საკითხს შესაქმისეული კუთხით შევხედავთ. საფიქრებელია, ოთხი ელემენტი და დედამიწის ოთხივე მხარე წარმოვიდგინოთ ჯვრის სახითაც, რომელსაც ღვთაებრივი დატვირთვა ჰქონდა რელიგიური ცნობიერების ყველა საფეხურზე. თავისთავად, ოთხი ელემენტის მაკავშირებელი ადამის ასევე ჯვრის სახით წარმოდგენა მოცემულია ცნობილი რომაელი არქიტექტორის, ვიტრუვიუსის ტრაქტატში, რომელიც ადამიანში ღვთაებრივ ჰარმონიას ეძებდა. ვიტრუვიუსის ცნობილი ნახატი, რომელსაც ჰქვია სწორედ ადამიანი წრეში (homo ad circumum) და ადამიანი კვადრატში (homo ad quadratum) ლეონარდო და ვინჩიმაც გააცოცხლა. ჯვრისა და ადამიანის ურთიერთმიმართება

მრავალმნიშვნელოვნად მოცემულია უძველეს შუმერულ თიხის ფირფიტებზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მეხუთე ათასწლეულით თარიღდება, წარმოგვიდგენს ოთხ თმაგამლილ ქალღვთაებას, რომლებიც წრის ცენტრში ჯვარს ქმნიან, თანაც ისე, რომ გაშლილი „თმის მიმართულება“ საათის ისრის მიმართულებას ემთხვევა (სურ. №1). მათ გარშემო წრიულად



სურ. №1

მოძრაობს კიდევ 8 ანთროპომორფული ფიგურა, ანუ ჯამში ფიგურათა რაოდენობაა – 12, რაც კალენდარულ წელიწადს უნდა გულისხმობდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ თიხის ფირფიტაზე დედამიწის სიცოცხლის მთელი შინაარსი, რომელსაც ოთხი რიცხვი განაგებს მთლიანად²⁸. ფირფიტა წინ წამოსწევს დედის კულტის პრიმატსაც, რაც ქართულ ენაში (თუნდაც სიტყვაში დედამიწა) ბუნებრივად კოდირებული. ის, რომ ფირფიტა თიხისაა, თითქოს უნდა გვახსენებდეს წარმომავლობის საიდუმლოს და ამასთან, ყურადსაღებია ისიც, რომ ქალღვთაებათა თმები, ნახატში ქმნიან ოთხი წყაროს იმიტაციასაც, რაც ნებაუნებურად, სამოთხისეულ, ოთხ მდინარეს მოგვაგონებს, რომლის ანალოგს დედამიწაზე, კონკრეტულად კი კოლხეთის სამეფოში, მჭედელი ჰეფესტო ქმნის. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი კოლხეთის სამეფოს მიწიერ სამოთხესთან გაიგივებისა არის ის, რომ ის მდიდარი იყო ოქროთი, ანუ ლითონით, რომელიც მზესთან იყო ასოცირებული და ჰქონდა უმაღლესი ღვთაებრივი დატვირთვა, ხოლო ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, ღვთაებრივ ნათელთან

და თავად იესო ქრისტესთან ასოცირდა, რასაც მოწმობს მოგვთა თაყვანისცემის მისტერიაც, როცა ერთ-ერთი მოგვი, სწორედ იაფეტის შთამომავალი – ბალთაზარი (გადმოცემის მიხედვით, სამი მოგვი სპარსეთიდან, ნოეს სამი ვაჟის შთამომავალი იყო) ახალშობილ უფალ იესო ქრისტეს, ვითარცა საუკუნო მეფეს, ოქროს მთარბევეს. ოქრო რომ უფალს ეკუთვნის, ამასვე ადასტურებს ძველი აღთქმა: ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, ამბობს ცაბაოთ უფალი (ანგია წინასწარმეტყველი, 2, 8). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიწაში დამალული ოქრო ალეგორიულად მოასწავებს იმ ღვთაებრივ ნათელსაც, რომელიც მიწიდანვე შექმნილმა ადამმა დაკარგა ცოდვის დაცემის შემდგომ. ოქროს ღვთაებრივი და რიტუალური ფუნქცია უთუოდ მიგვანიშნებს, რომ უხსოვარი დროიდან, ამ ლითონის უფლისთვის შეწირვით, დაცემული და სამოთხიდან გაძევებული ადამიანი ღმერთთან შერიგებას ეშურება.

საკმარისია გავიხსენოთ ქართული ხალხური მეტალურგიის ტრადიციები, რათა დავრწმუნდეთ თუ რაოდენ შორსგადგმული ფესვები აქვს სამჭედლო ხელოვნებას ეროვნულ ცნობიერებაში. ამ მხრივ, საგულისხმოა ნიკო რეხვიაშვილის ნაშრომი, სადაც ავტორი, უძველესი დროიდან მოყოლებული, მეტალურგიის განვითარების უწყვეტ ხაზს საგულდაგულოდ განიხილავს. ნიშანდობლივია, რომ მეღვთისმადლობასა და სამჭედლო საქმეს თან ახლავს შესაბამისი ტერმინოლოგიაც, რომელიც ამ უძველესი ხელობის რელიგიურ სიბრტყეში გააზრების მეტ შესაძლებლობას იძლევა: ასე მაგალითად, ლუგვი რკინა მოითხოვდა გადადნობას, ამისათვის საჭირო იყო მისი დაფშვნა და სადულის ბრძმედში მისი დარიგება, ნახშირის შეცვლა და ხელმეორედ გადაშვება. ამ პროცესის გავლის შედეგად, წიდანარევი და მსხვილმარცვლოვანი ლუგვი რკინა (თუჯი რკინა) ტანს დაიწმენდა, „შედგებოდა“ და ხალასი „გვამი“ შეექმნებოდა. ლუგვი რკინა იქცეოდა მოქნილ და „უწყვეტ“ საჭედურ რკინად, რომლის „დაყენებას“, „მომწიფებას“ და „მოქნას“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რკინის კაცები (მჭედლები). დიდი ყურადღება ენიჭებოდა საჭედური რკინის მოქნას. „მოქნა“ გულისხმობდა: რკინის „მომწიფებას“ ცეცხლში, გამოღობობას კვერში: მომწიფება ზომაზე გამოხურებას, გამოღობობა – თანაზომიერ დარბილებას და მყიფე სიფიცხის არიდებას... გამჭრელი იარაღის ჭედვის დროს, მთავარი ყურადღება ექცეოდა

წრთობას და დუღილის პროცესს, რომლის დროსაც საჭირო იყო რკინის „გულისა“ და „კანის“ ერთგვაროვანი გახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა ლღვობის ერთიანობა და „მომწიფების“ ერთდროულობა. ამიტომ მჭედელი იღებს „მისადუღებელს“ (სილას) და აჭმევს დუღილში მყოფ რკინას, რითაც გარეთა კანი გრილდება და გულს უჯდება სიმხურვალე. ამ სახით წარმართული დუღილის პროცესის ზომიერებას იგებენ ცეცხლის ალის ფერით და ნაპერწკალთა მოწყვეტა-აცვენით. რაც შეეხება წრთობას, გურიის სინამდვილეში იცოდნენ წრთობისას („წყლის მიცემისას“ გურ.) „ბზიკის“ ფერზე დაყენება. ეს ბზიკის ფერი ფაქტიურად იგივე ოქროსფერია, რომელიც ქართველი მჭედლების საყოველთაო აღიარებით, საუკეთესო ნიშანია წრთობის გამოსაცნობად. წრთობისას „თეთრი“ და „ლურჯი“ წყალი მიუღებლად იყო მიჩნეული. „თეთრი წყალი“ სიმაგრის ნიშნად ითვლებოდა. გურული მჭედლების თქმით, ამ ფერის რკინას ხმა მაგარი აქვს და კვერის დაცემისას ფიცხედ კივის. მაყვლისფერი (მარყვალი, გურ.) ანუ ლურჯი წყალი სირბილის ნიშანია. ერთი სიტყვით, რკინის წრთობისას, ოქროსფერზე დაყენება ყველაზე მიღებული ჩანს როგორც გურიაში, ისე მთელ საქართველოში...²⁹

სამჭედლო საქმის შესახებ ეს მონათხრობი, რომელიც რკინის კაცების „ენით“ ძვირფასს იმპირიულ მასალას აცოცხლებს, საყურადღებოა იმითაც, რომ ლითონთა დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სავსებით „ადამიანურია“ და შესაბამისად, ლითონთა წრთობა-დამუშავებაც თითქოს „შესაქმისეული“ სულისკვეთებითაა გადმოცემული. მართლაც, ავტორისვე საგულისხმო მინიშნებით, „მჭედლების გამოცდილებისა და დაკვირვების მიხედვით წრთობას ბევრი რამ შეუძლია. უვარგის რკინას „ვარგთანად“ აქცევს და ვარგთანს უვარგისად. ერთი სიტყვით, წრთობას შეუძლია „ზნე უცვალოს“ და არსებითად გარდაქმნას რკინეულის შინაგანი ხასიათი. ბუნებრივია ის გარემოება, რომ მჭედლობის ხელობის დაუფლების საქმეში, წრთობა, ურთულეს და უძნელეს საქმედ ითვლებოდა“.³⁰ მჭედელი იმიტომაცაა ღვთაებრივი ხელობის მატარებელი, რომ სწორედ მას ხელეწიფება ფერი უცვალოს ლითონს და წრთობით „მიიყვანოს“ ის სასურველ „ოქროსფრამდე“, რომელიც ღვთაებრივი ფერია და შესაბამისად, სრულყოფილიც. მჭედლის გაიგივება მღვდელთან და მისი განღმრთობის იდეა

იმთავითვე დავანებულია პირქუშის მითოსურ სახეში, რომელიც მზესავით მანათობელია (რომ დაიძინებდა მხრებშუა შუქი ამოუვიდოდა); ასეთივე „გასხივოსნებელია“ და საკრალური სამჭედლოც, რომელიც თავისი ღვთაებრივი ფუნქციითა და დანიშნულებით, კარგა ხანს ეცილებოდა პირველობას ქრისტიანულ ტაძარს: ხალხური გადმოცემით, გუდაუთის რაიონში, სოფელ აჭანდართან ახლოს, გამოქვაბულში ყოფილა სამჭედლო, რომელიც თურმე ისე ბრწყინავდა და ეღვარებდა, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა³¹. განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთში სამჭედლო ითვლებოდა წმინდა ადგილად, ხოლო გრდემლი, კვერი და მარწუხი ნაწილიან იარაღებად, რომელთაც ხატ-ჯვარზე მეტი „გამჭრელობა“ და ძალა ჰქონდათ... ამ ნივთების დასაბამი უკავშირდებოდა წმინდა „სოლომოს“, რომელიც ჰნძ ხელობათა გამჩენ და მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა (საგულისხმოა, რომ სამჭედლო საქმის მფარველი ღვთაების სახეში მოცემულია წლიური, სოლარული ციკლი, რაც ანალოგს ჰპოვებს წმინდა გიორგის ხატებასთანაც, რომელიც საქართველოში მჭედლობის მფარველ ღვთაებადაც ითვლებოდა. მ.მ.). სამჭედლო, ზოგიერთი წეს-ჩვეულების შესრულებისას, იმავე როლს ასრულებდა, რასაც ეკლესია მორწმუნეთათვის. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, სამჭედლოში „ფიცსა“ და „გადაცემას“ თან ახლდა უდიდესი, ეკლესიაზე აღმატებული შიში და კრძალვა. სამჭედლოში გრდემლზე გადაცემა საშინელი რისხვა იყო თვით უაღრესად გამოუსწორებელი ადამიანებისთვისაც... სამჭედლოში ლოცულობდნენ, ფიცს ღებულობდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ ავადმყოფის სახელზე, რათა ის განეკურნა სნეულებისაგან. თითოეულ დიდ საგვარეულოში იყო ერთი საერთო სამჭედლო, რომლის ხელმძღვანელად ითვლებოდა გვარში ყველაზე უფრო გავლენიანი მოხუცი, რომელიც სამჭედლოში ლოცულობდა, ანუ ერთგვარად „მღვდლის“ მოვალეობას ასრულებდა.³²

წმინდანთა, სოლომოსა და გიორგის გვერდით, მჭედლობის ღვთაებათა რიგში ღვას „თობელიც“, რომელიც დამოწმებულია ქიზიყისა და მესხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხოლო ახალციხის სომხურ ეთნიურ წრეში თავს იჩენს – „ოფელ-თოფელის“ სახით³³. აღნიშნული, სამჭედლო საქმის ეროვნულობისა და ღვთაებრივ-ბიბლიური წარმომავლობის კიდევ ერთი, თვალსაჩინო გამოხატულებაა.

შეიძლება ითქვას, რომ სამჭედლო საქმის ღვთაებრივმა ხასიათმა, ნებაუნებურად წინ წამოსწია მისი მზიურ-ცეცხლოვანი ასპექტიც. შესაბამისად, პირქუშთან თანხმებურად, მზესთან მჭიდროდ დაკავშირებული, ქართველთა ღვთაებრივი გმირის, ამირანის სამჭედლო საქმესთან მიმართებაც იგულისხმება. ხალხური თქმულება „კალმახელა“ გვამცნობს, რომ ღვევებთან მებრძოლი ამირანი იმავდროულად ხალხისთვის ცეცხლის მომტანიცაა; სწორედ მან ასწავლა პირველად ხალხს „ღვთიური საქმე“: წითელი მიწის მოხელა და ცეცხლზე თიხის ჭურჭლის გამოწვა. მჭედლებს პირველად გაუკეთა საბერველიანი ქურა და ასწავლა ცეცხლით საუკეთესო ხმლის წრობა³⁴. ამ კონტექსტში, ამირანი ენათესავება ბერძნულ პრომეთეს, რომელმაც ჰეფესტოს სამჭედლოდან მოპარული ციური ცეცხლის ნაპერწკალი ხალხს გადასცა, ასწავლა მოკვდავებს ყველა ხელობა და გაუხსნა მათ მიწის წიაღის საიდუმლო – ოქროს, ვერცხლის, სპილენძის საბადოები აპოვნინა. მეტიც. ზევსმა პრომეთეს შესაქმისეული ფუნქციაც მიანიჭა – დაავალა ადამიანთა შექმნა. პირველი ადამიანიც, მიწისგან და წყლისგან, თუ ცეცხლისა და მიწისგან, იაპეტიდ პრომეთეს „გამოუძერწავს“³⁵ აქვე აღვნიშნოთ, რომ ზევსი სპობს პრომეთეს შექმნილ მოდგმას, რომელიც ჰესიოდეს მინიშნებით, „სპილენძის“ მოდგმაა.³⁶ აღნიშნული ცნობა კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უნდა არსებობდეს კავშირი ადამიანსა და მიწაში არსებულ სხვადასხვა ლითონს შორის, რაც ბუნებრივი მოგვეჩვენება თუკი მოვიგონებთ ადამიანის შესაქმისეულ წარმოშობას. აქვე უნდა ისიც ითქვას, რომ ეს კავშირი ციურ-ასტრალურიცაა, ვინაიდან არსებობს პლანეტებსა და ლითონებს შორის ურთიერთმიმართებაც: მზე მართავს ოქროს, მთვარე – ვერცხლს, ვენერა – სპილენძს, მარსი – რკინას, იუპიტერი – კალას, მერკური – ვერცხლისწყალს, ხოლო სატურნი – ტყვიას. ამავე კავშირის დასტურად, ხალხური გამოთქმაც გავიხსენოთ: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა“. თუკი ასტროლოგიური ცოდნით, ადამიანი გარკვეულწილად პლანეტარულ ზემოქმედებას განიცდის, შეიძლება ითქვას, რომ საქმე ასევე უნდა ეხებოდეს ლითონთა და ადამიანთა ურთიერთზემოქმედებასაც. ამ კუთხით, საყურადღებოა აფხაზეთა მჭედლობის ღვთაება – შაში³⁷, რომელიც შვიდი ღვთის უფროსი იყო და მისდამი შვიდი სანთელი მიჰქონდათ დასაწვავად. მას მიმართავდნენ, როგორც

შვიდი წმინდანის უფროსს, შვიდი წმინდანის თავს... შაში⁴¹ თავად ყოფილა არაჩვეულებრივი მჭედელი, მისგან წარმოსდგებოდა ყველაფერი: ოქრო, სპილენძი, რკინა და სხვა. თურმე მან თავისი ხელით აიღო ქვა და მისგან გამოიყვანა ყველა ლითონი, რაც კი კაცისთვის საჭიროა და გამოსადეგი. ცალთვალა იყო თურმე, მაგრამ ყველაფერს ხედავდა.³⁷ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლითონთა საიდუმლოების „ორგანულად“ მატარებელი, აფხაზთა მჭედელთვითაების საკრალური ციფრი – 7 უნდა იყოს კვირის დღეებში ასახული შვიდი პლანეტის ანალოგი, რასაც მხარს უმაგრებს ისიც, რომ ძველბერძნული მითოლოგიითაც, ასევე შვიდნი იყვნენ კუნძულ სამოთრაკეზე მოღვაწე, მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კაბირები, რომლებიც ჰეფესტოსთან ერთად, თავდაპირველად პელაზგურ ღვთაებებს უნდა განასახიერებდნენ.³⁸ ერთი ძველი ცნობით, „კაბირებს, სატურნ-კრონოსის სამეფო ტახტის წინ არსებული ცეცხლის შვიდ სულად მიიჩნევდნენ. სხვები მათ შვიდ ვარსკვლავურ მოგზაურად თვლიდნენ, რომლებსაც მოგვიანებით პლანეტები შეარქვეს“.³⁹ ზემოთქმულის გათვალისწინებით, ლოგიკურ ახსნას პოულობს ისიც, თუ რატომ უნდა ასახულიყო ერთი და იგივე, საკრალური დატვირთვის მქონე ბად მარცვალი, როგორც ბიბლიური ძალმოსილების და-ბად-ებაში, ასევე, წიაღისეულის მნიშვნელობის მქონე სა-ბად-ოში და ბოლოს, რისამე ფლობის წმინდა „ადამიანურ“ კონტექსტში: მა-ბად-ია, ა-ბად-ია და სხვ.

რადგან პრომეთესეული „სპილენძის მოღვაწე“ ვახსენეთ, ამავე კონტექსტში, გავიხსენოთ ამირანის ეპოსის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ამირანს მჭედელი ეხმარება ყამარის მოსაპოვებლად. მჭედელი სათამაშო „ცეგებს“ ამზადებს ყამარისთვის, რომელიც ნაწნავებს ჩამოუშვებს და ააქვს კოშკში. ამირანი მჭედელს სთხოვს ერთ-ერთ ცეგში ჩაჭედვას, თან ახსენებს, რომ სპილენძისაა და ცეცხლში არ დაიწვება; ამასთან, ყამარის ქვეყანაში მისული ამირანი პირველ რიგში მჭედელთან მიდის სასაუბროდ, ვინაიდან მას ზოგადად მჭედლებთან მეგობრობა აკავშირებს. სვანური თქმულება ამირანის საგულისხმო თვისებას გვამცნობს: გმირი სპილენძისაა და ჭედვის ატანა შეუძლია.⁴⁰ აქ სპილენძი შესაძლოა მზიურ ლითონადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან სვანური რწმენა-წარმოდგენით, მზეს სპილენძის სახლი უდგას და აცვია ბრწყინვალე

სამოსი, რაც ქვეყნიერებას ანათებს.⁴¹ სპილენძის და ზოგადად, ბრინჯაოს ეს „მზიური“ ხასიათი, აღნიშნულ ლითონს ოქროსთან ანათესავებდა, და ზოგჯერ ათანაბრებდა კიდევ.⁴²

ნიშანდობლივია, რომ ამირანის ხმლის ჭედვაში კოსმიური ძალები იქნა ჩაბმული. ამირანი ნიშნის მოგებით ეუბნება საკუთარ ძმას: „მაშინ სად იყავ შავ ბადრო, როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?/ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა, სამჭედლო ექანებოდა/მჭედლები – მემჭედურები ერთმანეთს ეფარებოდა!“⁴³ ბევრი ცდის შემდეგ, ამირანისთვის „მჭედელმა ცხრა ფუთიანი ხმალი გაჭედა, გამოაწრთო და გამოღვა“.⁴⁴ თუკი მოვიგონებთ, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენით, ციფრი – ცხრა სოლარულ ნიშანს ატარებს (ცხრათვალა მზე), „ცხრა ფუთიანი“ ხმალიც, მისი ღვთაებრივი პატრონის დარად, მზიური ნიშნითაა დაღდასმული. ჭექა-ქუხილის თანხლებით საკრალური ხმლის ჭედვას კი ღრმა მითო-რელიგიური საფუძველი უნდა ჰქონდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ინდურ მითოლოგიაში მზისა და ცეცხლის ღვთაება აგნი იშვა როგორც ელვა წვიმაში („ხმა წყლისა“ აგნი არის შვილი მზისა, იგია მზე),⁴⁵ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამირანის მზიური, „ცხრაფუთიანი ხმლის“ ქუხილის დროს წრთობაც დაკავშირებული უნდა იყოს იმ ქართულ მითოლოგიასთან, რომელიც ყოველ დილას მზის დაბადებას, დამეული, ქაოტური წყლების გამგებელი გველეშაპის პირიდან მოგვითხრობს.⁴⁶ აქაც ნებაუნებურად შესაქმისეული სურათი გადაგვეშლება თვალწინ, როცა „მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იღო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი (დაბადება, I, 2,3). ამირანის ხმლის მსგავსად, ქართველთა წარმართული ღმერთის, არმაზის მახვილიც ბრწყინვალეა, ვითარცა ელვა.⁴⁷ ღვთაებათა ხმლის შედარება ელვასთან ალბათ უნდა ეფუძნებოდეს ამ უკანასკნელის ღვთაებრივ ბუნებას, იმას, რომ ჭექა-ქუხილი ღვთის ნების გამოხატულება იყო. საკრალურად მიიჩნეოდა სწორედ ნამეხარი ხე, ხოლო მეხით მკვლარს ღმერთის რჩეულად თვლიდნენ, ღვთის საგალობელს უმღეროდნენ და განსაკუთრებული პატივით კრძალავდნენ.⁴⁸ ახალი აღთქმით, ჭექა-ქუხილი უფალთან ივივლება: „ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და თვით დასავლამდე ანათებს, ასევე იქნება ძე კაცისას მოსვლა“ (მათე, 24, 27). შეიძლება ითქვას, რომ ჭექა-ქუხილი ღვთის სიტყვის სიმბოლოა, რასაც

ადასტურებს იოანე ღვთისმეტყველისთვის უფლის მიერ შერქმეული ზედწოდება: ძე ქუხილისა. გავიხსენოთ, რომ ოთხ მახარობელთაგან სწორედ იოანეა ის, რომელიც საკუთარ სახარებას ღმერთისა და სიტყვის იგივეობის განმარტებით იწყებს (იოანე, I, 1). ჭეჭა-ქუხილის დარად, ღმერთის სიტყვად წარმოჩინდება და ამით საკრალურ ძალას იძენს მახვილიც: „და აიღეთ გადარჩენის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღმერთის სიტყვა“ (ეფესელთა, VI, 17). თუკი ხმალი ღვთის სიტყვის სიმბოლოა, ხომ არ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამირანი, რომელიც ალმასის დანით ფატრავს შავ გველეშაპს, ხელმეორედ იბადება არა მხოლოდ როგორც „მითოსური მზე“, არამედ როგორც „ღვთის სიტყვა“, ისევე როგორც იონას გამოსვლა ვეშაპის მუცლიდან, ალევორიულად მოასწავებს ღვთის სიტყვის დაბადებას ქალწულის მუცლიდან.⁴⁹ ამასთან, ამირანის უნარი ღვეების „ხმით დახოცვისა“,⁵⁰ შეიძლება კიდევ ერთხელ გვახსენებდეს, რომ „სიტყვა“ და „მახვილი“ თანაბარდირებული მითო-რელიგიური ხატ-სიმბოლოებია. ერთი დეტალიც. შავი გველეშაპის მუცლიდან ამირანის ხელმეორე დაბადება, ანუ მისი ღვთაებრივი ინიციატია ხორციელდება დანით ალმასისა, რომელიც საოცარი კვეთის უნართა და სიწმინდით შემკული, მზიური ძალმოსილების მატარებელი ქვაა, იგივე ალმანტი, რომლის ნამგლითაც ხორციელდება ზემომოტანილი შესაქმისეული აქტიც, ცის ღვთაების, ურანოსის დასაჭურისება მისი ვაჟის, ქრონოსის მიერ, რაც შეიძლება აღქმულ იყოს, როგორც ცისა და მიწის დაშორიშორება და შესაბამისად, დედამიწისეული „დროის“ აღქმის დასაწყისიც. დაბოლოს, ლოგიკურია, რომ ალმასის დანის მფლობელი მზიური ამირანიც ყოფილიყო – ხალხისთვის ცეცხლის მომტანი და „ღვთიური საქმის“ (მჭედლობა, ხელოსნობა და ა.შ.) მასწავლებელი. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ასევე იდუმალი ალმანტისაა, ანუ ალმასის (რომლის პოვნა შეიძლება ღამით და თანაც მხოლოდ იმ ადგილას, საიდანაც „მზე ამოდის“, რაც მას კოლხეთს ბუნებრივად უკავშირებს) ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი კოლხთა მეფე აიეტის გუთან.⁵¹ ამ გუთნითა და სპილენძისფენებიანი ხარებით არესის ხოდაბუნების მოხვნა, ე. ქურდაძის საინტერესო მიკვლევით, ერთი მხრივ, წარმოადგენს შესაქმისეულ, ალქიმურ აქტს, ვინაიდან სრულდება გველეშაპის დათესილი კბილებიდან მეომრების ჯერ დაბადება, მერე

კი მათი განადგურება, რაც ერთგვარად აიეტს გველეშაპთან მებრძოლი გმირის არქეტიპულ სახეს ანიჭებს და მეორეც, განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა და თავად გუთნით ხვნა დაკავშირებულია პირველყოფილ, ბუსტროფედონით დამწერლობასთანაც, რაც ასევე კოლხური კვირბების სახით, ქურუმთა წრეში (კორიბანტ-კაბირების-დაქტილების) შეიძლება ჩასახულიყო.⁵² აღსანიშნავია, რომ იგივე მითოლოგიური მოტივი (მოკლული გველეშაპის დათესილი კბილებიდან ამოსული მეომრები) გვხვდება თებეს დამარსებელთან, კადმოსთანაც, რომელმაც ელინებს ფინიკიურ ანბანზე დაყრდნობით დამწერლობა შეუქმნა და ამასთან, მეტალურგიულ ხელოვნებასაც აზიარა ისინი.⁵³ ერთი რამ ცხადია: პირველყოფილი დამწერლობა მხოლოდ იქ შეიძლებოდა ჩასახულიყო, სადაც სამიწათმოქმედო კულტურა და ამასთან, მეტალურგიაც განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა. ამ მხრივ, 'დაბადებისეული' ინფორმაციის მატარებელი ალმასი, როგორც ერთგვარი ფილოსოფიური ქვა, შეიძლება მივიჩნიოთ სიმბოლოდ იმ სულიერი ცოდნისა, რომელიც დავანებული იყო კოლხეთში, იდუმალების საბურველით მოცულ ქვეყანაში, სადაც ყოველ დილას მითოსური მზე იბადებოდა, როგორც ღვთაებრივი ნათელი და როგორც 'ღმერთის სიტყვა'. ამ მოსაზრებას უნდა აძლიერებდეს ორიონთან დაკავშირებული მითიც. მხედველობადაკარგული ორიონი მხარზე შეისვამს ჰეფესტოს ერთ-ერთ მოწაფეს და უბრძანებს მას მზის ამომავალი ქვეყნისკენ მეგზურობას: იმ ქვეყანაში ჩასული ორიონი, მზერას მიაპყრობს ამომავალ მზეს და თვალის ჩინიც უბრუნდება. ე. ქურდაძის მინიშნებით, მითში საგულისხმოა ის, რომ 'თვალის ახელის' სიმბოლო ამომავალ მზესთან არის დაკავშირებული.⁵⁴ ამასთან, ამომავალი მზის ქვეყანასთან ანუ კოლხეთთან ზიარება შესაძლოა 'სულიერი თვალის' ახელის წინაპირობაც გამხდარიყო, რაც ნებაუნებურად მეტალურგიის საკრალურ ცოდნასაც გულისხმობს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ კოლხეთისკენ მიმავალ გზაზე, ორიონის მეგზური სწორედ ჰეფესტოს მოწაფეთაგანია.

ვნახოთ თუ რა სახით იჩენს თავს მეხიცა და ალმასიც ქართულ ხალხურ მეტალურგიაში. მეხთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმოა ის, რომ ლეკები და ავარელები წმინდა რკინას 'მახს' უწოდებენ, რაც ქართულ 'მეხს' უნდა უკავშირდებოდეს,⁵⁵ რომელიც საგულისხმოდ ჩნდება სამჭედლო რიტუალში: ქართველთა ძველი

რწმენით, მეხი, მეხის დაცემა გულისხმობდა რკინის ლახვარს, რომლითაც წმინდა გიორგი ავსულებს ანადგურებდა; ამიტომ ძლიერი სალოცავების კარზე მიჰქონდათ რკინის ბოძალები („ბორზალი“, მეგრ.) და ალაგებდნენ ერთ ადგილას, საიდანაც, ხალხური რწმენით, ისინი ცაში მიჰქონდა წმინდა გიორგის და საჭიროებისამებრ მეხის სახით ისროდა მათ, რათა ბოროტი ძალები გაენადგურებინა. ხალხისვე რწმენით, ნამეხარი ადგილი რომ გაჩიქნო – იქ აუცილებლად რკინის ნაჭერს იპოვნი (თუმცა ამ ფაქტს მეცნიერებაში თავის ახსნა აქვს).⁵⁶ სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, გარდა იმისა, რომ ჭექა-ქუხილის დროს, ცაზე დაქროდა და ავსულებს ანადგურებდა, მეხის დაკვრით იმავდროულად დამნაშავეს აფრთხილებდა ანდა ‘ყმად ირჩევდა’; ჭექა-ქუხილისას, ადგილობრივი მაცხოვრებლები პირჯვარს იწერდნენ და წმინდა გიორგის შესთხოვდნენ მათი სახლ-კარი მეხით არ გაენადგურებინა.⁵⁷

ჭექა-ქუხილის საკრალიზაციის მოტივი მჟღავნდება სვანურ საწესო დროშა-ლემთან დაკავშირებითაც. საქმე ეხება მგლის კულტთან გადაჯაჭვული დროშის მპყრობელი გვარის, ფალიანების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მახლა ფალიანის დაკრძალვას. გადმოცემის თანახმად, ფალიანის საგვარეულო კოშკი მიწისქვეშა გვირაბით დაკავშირებული იყო სეტის ჯგრაგის ეკლესიასთან; მახლა ფალიანი შინ ინახავდა ტაძრის სიმდიდრეს. ის მდიდარ და წმინდა კაცად იყო ცნობილი: ‘მთქმელთა გადმოცემით, მის სიწმინდეს შემდეგი ადასტურებდა: როცა მახლა კვდებოდა ცა უდრუბლო და კაშკაშა იყო, მაგრამ როგორც კი მან სული დალია, ის მოიქუფრა და ჭექა-ქუხილი გაისმა, მიწა კი მთლიანად სეტყვით დაიფარა. მახლა ფალიანი დაკრძალეს სპილენძის კუბოში, რომელზედაც მისი გვარი იყო ამოტვიფრული’.⁵⁸ ამრიგად, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მახლა ფალიანი სეტის წმინდა გიორგის ეკლესიის მსახური იყო, ნათელი ეფინება იმასაც, თუ რატომ მოჰყვა მის გარდაცვალებას საშინელი ჭექა-ქუხილი. სხვათაშორის, „მზის დაბადების“ ჩვენთვის ცნობილი მითოლოგემა ელვა-ქუხილშიც რომ უნდა დავინახოთ, დასტურდება იმითაც, რომ ამ უკანასკნელის საკრალური ბუნება გამოვლინდა გველეშაპის დამთრგუნველი წმინდა გიორგის ღვთაებრივ

სახეში, რომელიც თავის მხრივ, კოსმიური წყლებიდან მზის დაბადების მითოსური ხატ-სიმბოლოა. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წმინდანის ჭექა-ქუხილთან საკრალურ კავშირსაც უნდა განესაზღვრა მისი, როგორც სამჭედლო საქმის მფარველის სტატუსი. საგულისხმოა, რომ ამ კონკრეტულ ამპლუაში წმინდანის სახე ეჯაჭვება მგელ-ძაღლის უძველეს ტოტემურ კულტს. მართლაც, ერთ-ერთი ხალხური ლექსის თანახმად, სამჭედლო ატრიბუტიკის წასართმევად „ქაჯავეთს“ საომრად წასული წმინდა გიორგი სწორედ „მგლისფერია“:

„ქაჯავეთ რად იარები
გიორგივ, მგელთა ფერაო?
ვალი მიკიდავ, ვალსა ვთხოვ,
რას მკითხავ, ქრისტის დედაო?
სინას შჭედს ქაჯთა მჭედელი,
მივასწრევ წურვაზედაო,
ქურთემულ მაუგლეჯივ,
ცხენი შავაგლი ზედაო,
ქაჯთა მჭედელმა ხელ-კვერი
ცხენს მიცა ბეჭებზედაო“.⁵⁹

მჭედლობის მფარველი წმინდა გიორგი, ამ მითოლოგიური ხატით, ენათესავება როგორც პირქუშს, რომელიც მგელაისშილია, ასევე სამჭედლო საქმესთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამირანსაც, რომელსაც მუდამ თან ახლავს ერთგული ძაღლი ყურშა, გამორჩეული მითოსური ატრიბუტებით – ოქროს ყურ-ტუჩითა და ჭექა-ქუხილის ხმით.⁶⁰ მგელ-ძაღლისა და ჭექა-ქუხილის საკულტო სიახლოვეს უნდა მიგვანიშნებდეს ისიც, რომ მეხთამტყორცნელი წმინდა გიორგის საკულტო, ორმაგი ისრის სახელი – ბორძალი, პირდაპირ მოგვაგონებს მგლის აღმნიშვნელ ნახურ ფუძეს – ბორძ-ს, რომელიც თუშურსა და ხევსურულ ტოპონიმიკაშიც დასტურდება და გვარ-სახელებშიც.⁶¹ ამ კუთხით, რათა გავამყაროთ ქართველთა, კერძოდ კი, ჭანთა სატომო სახელის კავშირი მელითონეობასთან, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ისიც ვთქვათ, რომ ეს მელითონე ჭანები თურმე ‘მგლებიც’ ყოფილან, როგორც ამას გვიდასტურებს ერთი მესხური ლექსი: „ჭალას ვიყავ მიმავალი/ჭორატს ჭანმგლებს გადავეყარე/დამიბნელდა ორივ თვალი“.⁶² ნიშანდობლივია ისიც, რომ ერთი კახური თქმულებით, პირველყოფილი მჭედლისთვის, რომელიც შიშველი ხელით ეწეოდა მჭედლობას, მარწუხისა და სხვა იარაღების გაჭედვის საჭიროება სწორედ ძაღლს მიუხვედრებია.⁶³ მგლის კავშირი

მელითონეობასთან ალქიმური ცოდნითაც დასტურდება. ცნობილია, რომ ზედმეტი მინარევებისგან ოქროს გასაწმენდად იყენებდნენ ანტიმონს, იგივე სტიბიუმს, რომლის ერთ-ერთი სახელი „ლითონთა მგელი“ იყო. რუხი მგელი სატურნის შვილად მიიჩნეოდა – სატურნალიების ღამეს, მგელს შესაჭმელად მეფის სხეულს მიუგდებდნენ, შემდეგ კი კოცონს გააჩაღებდნენ და შიგ ჩააგდებდნენ; როცა მგელი დაიწვებოდა, მეფეც თავისუფლდებოდა. წარმოდგენილი რიტუალით, მგელი სწორედ განწმენდისა და ინიციაციის ალქიმურ პროცესს ასრულებდა.⁶⁴

ავსულების გამანადგურებელი, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, ნებაუნებურად მოგვაგონებს მოსამართლე და შურისმაძიებელი უფლის სახეს იოანეს გამოცხადებაში. აქაც, ღმერთის სიტყვა მახვილთანაა გაიგივებული: „მისი პირიდან გამოდის ბასრი მახვილი, რომ იგი დასცხოს ერებს, და იგი დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით“ (გამოცხადება იოანესი, 19:15); ამ თვალსაზრისით, მჭედლის მიერ წმინდა გიორგისთვის დამზადებული ბორძალი, მიგვანიშნებს, რომ ის ნებსით თუ უნებლიედ, თანამონაწილე ხდება ღვთაებრივი სამართლის დადგენის საქმისა, რომელსაც ამ შემთხვევაში წმინდა გიორგი ციდან აღასრულებს. შესაძლოა ამიტომაც, საკრალურ ხელობას ნაზიარები მჭედელი იმავედროულად ითვლებოდა მოსამართლედაც, ხოლო სამჭედლო და გრდემლი ეკლესიასთან გათანაბრებულ იმ წმინდა ადგილთან, სადაც ღვთაებრივი სამართალი აღესრულებოდა. ხალხური გამოთქმა: კვერის დაკვრა უთუოდ ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ გრდემლის ხევსურული სახელი – ქურთემული და კვერის ავარული სახელი – ქურტე⁶⁵ წინა პლანზე წამოსწევს „ქურ“ მარცვალს, რომელიც ღვთაებრივი ცეცხლის გაგებით (კურ სახით), ჩაღებულა, როგორც წინარექრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ – სა-კურ-თხვეულში. ამასთან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოძალთან ერთად, მჭედლის მიერ იჭედება ღვთის სიტყვაც, რომელიც წმინდა გიორგის მიერ ნატყორცნი მეხის სახით დედამიწაზე ბრუნდება. ღვთაებრივი სამართლის მოლოდინში, შიშით მოცული ხალხი პირჯვარს იწერს და წმინდა გიორგის ევედრება თავიდან ააცილოს მეხით სასჯელი. ნიშანდობლივია, რომ პირჯვრის სახით, კვლავ ჩნდება ჯვრის საკრალური სიმბოლო, რომელსაც ამ შემთხვევაში ღმერთთან შერიგების რელიგიური დატვირთვა აქვს.

სასჯელიც ხომ მაშინ ეწევა ადამიანს, როცა ის ღმერთს ივიწყებს და მიწიერი არსებობის ამსოფლიურ ჭაობში ეფლობა. ბორძალი, როგორც ღვთის სიტყვის დამტევი მახვილი, ის ღვთაებრივი ინსტრუმენტია, რომელიც აფხიზლებს ღმერთდაკარგულ მრევლს; მის შექმნაში კი მონაწილეობს ხელდასხმული მჭედელი, როგორც ღვთაებრივი მოსამართლე – ცისა და მიწის მაკავშირებელი. ჯვარი, რომელიც ოთხი მხარისა და ოთხი სტიქიის საკრალურ კავშირად აღვიქვით, სწორედ ამგვარ, ცისა და მიწის საკრალურ კავშირსაც უნდა გადმოსცემდეს; მართლაც, ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ერთ-ერთი ქადაგებით, ადამიანის ცხოვრება უნდა ქმნიდეს ჯვარს, სადაც ვერტიკალური ხაზი ღმერთის მსახურებას განასახიერებს, ჰორიზონტალური კი, მოყვასისას. ამგვარი მსახურებით სასუფევლის მოპოვება შესაძლებელი ხდება უკვე მას შემდეგ, რაც იშვა უფალი იესო ქრისტე – განხორციელებული სიტყვა, რომელიც მხსნელად მოევიანა კაცობრიობას. ამიტომაც დაურთო ქართულმა ენამ პირჯვარს წინ – პირი, რომელიც მართალია, პირჯვრის რიტუალში „არ მონაწილეობს“, მაგრამ მისი ღვთაებრივი არსის იმთავითვე დამტევი და განმსაზღვრელია. ჯვრისა და მეტყველების კავშირი ერთგვარად შეიძლება ასახულიყო ქართული ანბანის სახელწოდებაშიც, სადაც პირველი ასონიშანი – ანი ცის ღვთაების განსახიერებად უნდა აღვიქვათ⁶⁶ და შესაბამისად, ვერტიკალურ პლანში გავიაზროთ, ხოლო მეორე – ბანი, მიწიერი, ჰორიზონტალურ სივრცედ, რასაც თავად ამ სიტყვისვე მნიშვნელობა მიგვანიშნებს.

ჯვარს, როგორც ცისა და მიწის მაკავშირებელ სიმბოლოს, საუკეთესოდ წარმოაჩენს ისევ და ისევ მჭედელი, რომელიც ციური ნიჭით მომადლებულ ხელობას დაუღალავად ახმარს ხალხს. სამჭედლო საქმეში, სწორედ ასეთ „ვერტიკალურ“ და „ჰორიზონტალურ“ მსახურებას განასახიერებს მჭედლობის ძველბერძნული ღვთაება – ჰეფესტოც, რომელიც, ორჯერ გადმოგდებული ოლიმპოდან, ხან ადამიანებს ემსახურება და ხანაც ღმერთებს. აღვნიშნოთ ისიც, რომ სხვადასხვა რიტუალური დანიშნულების საგანთა შორის (ჯვარი, „უღელი“, პატარა სახნისი, შამფური, ლურსმნები), რომლებსაც მჭედელი დიდ ხუთშაბათს, უძრახად ამზადებდა, ფიგურირებდა ჯვარიც, რომელსაც ავი თვალისგან დაცვის ფუნქციაც ენიჭებოდა, რისთვისაც მას ბავშვის

აკვანზე კიდებდნენ. ამავე დღეს, მჭედელი სამჯერ დაჰკრავედა კვერს გრდემლზე, რათა გამრთელებულიყო მიჯაჭვული ამირანის ჯაჭვი, რომელსაც მისი ერთგული გოშია ლოკვით გაწყვეტამდე ათხელებდა.⁶⁷ შიშთან ერთად, ამ რიტუალით, ამირანის, როგორც ერთ დროს მჭედელთ მფარველი ღვთაების მიმართ, ერთგვარი მოწიწებაც იგრძნობა.

არანაკლებ საყურადღებოა, მაგარი ფოლადისა და ამავე ფოლადისგან ნაჭედი ხმლის კიდევ ერთი ქართული სახელი – ჯავარდენი//ჯვარდანი, რომელსაც საგანგებოდ ეხება ნიკო რეხვიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი საბასთან არ გვხვდება, მისი სიძველე თვალშისაცემია. ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, ჯავარდენი არის „ფოლადის მასხალი, ფერად-ფერადად ტალღა, ან ზოლ-ზოლად ელვარება“. სხვა განმარტებით, ჯავარდენი მაღალი ხარისხის ფოლადის სახეობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, „წარმტაცი მრავალფეროვნებით მოლივლივე ნაყიში, სამოდ წკრიალა ხმა და დიდი სისალე“. მესხეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ჯვარდანი“ პირველი ხარისხის ფოლადია, რომელსაც ოდიტგანვე ლაზ-ჭანები ამუშავებდნენ და მისგან საუკეთესო იარაღს ამზადებდნენ. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში იწრობოდა თურმე საუკეთესო ქართული ფარ-ხმალის ფხა-ალმასი და სიკისკასე.⁶⁸ ამასთან, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ თუკი ნ. ჩუბინაშვილი ყურადღებას ამახვილებს „ჯავარდენის“ გარეგნულ მხარეზე (ტალღებრივი ელვარება), ინჟინერ-მეტალურგი ალ. კოჭლავაშვილი მის თვისობრივ ბუნებას გამოჰყოფს, რომლისთვისაც ჯავარდენი მაღალი ხარისხის ფოლადია, რომელსაც ახასიათებს, სახიანი ზედაპირი, წმინდა ჟღერა და დიდი სისალე. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ამ ფოლადის სახელწოდება „ჯვარდანი“ (ჯავარდენი) უკავშირდება სწორედ ჯვარს, ანუ იმ ფაქტს, რომ ამ საუკეთესო ფოლადისგან დამზადებული დანებისთვის, მახვილებისთვის და ხმლებისთვის დამახასიათებელი იყო ჯვარდენი ტანი – სწორმხრებიანი კოტა. აქვე, ავტორი იმასაც შენიშნავს, რომ ფრესკაზე ლაშა-გიორგის ხმალი ტარჯვრიანია და ერთი შეხედვით, თვით ხმალიც ჯვარია. ავტორისვე მინიშნებით, შესაძლებელია, ასეთი მოყვანილობის კოტა არა მარტო ხელის „საფარად“ იყო განკუთვნილი, ე.ი. მარტო პრაქტიკული დანიშნულება კი არ ჰქონდა, არამედ აპოტროფიული დანიშნულებაც. დღემდე

აჭარაში დამზადებული დანების, ე.წ. ბებუთების პროტოტიპად უნდა მივიჩნიოთ ლაზური ჯავარდენისგან ერთ დროს ნაკეთები დანები.⁶⁹

ამრიგად, ქართული ჯავარდენი//ჯვარდანი, სახელწოდებაშივე ატარებს სამჭედლო საქმის რელიგიურ-ღვთაებრივ ბუნებას, რომელიც თავისი გარეგნული თუ თვისობრივი სახით დაუფარავად ვლინდება. ზემომოტანილი მსჯელობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჯვრის ფორმის მიცემა საუკეთესო ფოლადისგან დამზადებული იარაღისთვის უნდა მოასწავებდეს იმასაც, რომ ლითონის წრთობისა და მისი დამუშავების რთულ პროცესში, დინამიკაში და ჰარმონიულ ერთობაშია მოყვანილი ოთხივე საკრალური სტიქია, რომელიც ქმნის ჯვრის მარადიულსა და მრავლისდამტევ სიმბოლოს, ნაცად იარაღს, აღმართულს მტერთან საბრძოლველად, როგორც ფიზიკურთან, ასევე მეტაფიზიკურთანაც, თუკი ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჯვარს ქრისტიანული სიმბოლიკის მკაცრ ჩარჩოში მოვაქცევთ. ფერად-ფერადი ტალღითა და ზოლ-ზოლად ელვარებით, საკრალურ ჭეჭა-ჭეხილთან თანაზიარი ჯვარდანი//ჯავარდენი ხომ ის ფოლადია, რომელიც სრულყოფილია როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, ვინაიდან ციოთ ნაკურთხი მჭედლის წყალობით, მისი დაწმენდილ-განდმრთობილი „ტანი“ არა მხოლოდ აღმასისებრ ჭრის, არამედ იმავდროულად გამოსცემს წკრიალა, წმინდა ხმასაც და ამ სისუფთავით, „ღვთის სიტყვის“ დამტევ, „სულიერ მახვილსაც“ მოგვაგონებს თითქოს. ნებაუნებურად, გვახსენდება ხმლისა და მეტყველების უხილავი კავშირი, მოცემული იმ ქართველი მეფის ხმალზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქრისტიანობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას შეაღია: „მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონი, ირაკლისა“.

ღვთაებრივ სიტყვასა და სამჭედლო საქმეს შორის არსებული კავშირის თვალსაჩინოებისათვის დავუბრუნდეთ ამირანის ხალხურ ეპოსს. ვინაიდან გმირის ხმლის ჭედვას თან ერთვის ჭეჭა-ჭეხილი, ეპოსში ბუნებრივად ერთვება დარ-ავდრის მითოსური სიუჟეტი. მართლაც, ამირანის „საცრის ტოლა“ თვალები, ამინდის ღვთაების მეტაფორული გადმოცემაა,⁷⁰ მით უმეტეს, რომ ღვთაებრივი გმირი ჰგავს „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“,⁷¹ რაც მას წილნაყარს ხდის სწორედ ამინდის ღვთაებასთან, რომელსაც არა მარტო დარ-ავდრის დარეგულირება ევალებოდა,

არამედ ზოგადად, ქვეყნის ნაყოფიერება და ღოვლათი. ამასვე უნდა მიუთითებდეს ამინდის ღვთაება ლაზარეს ფალიური ხასიათი და მისი ზედწოდება – კოტი-კოტია, რითაც მისი ფალიურობაა ხაზგასმული.⁷² სხვათაშორის, ამინდის ღვთაების ეს თიკუნი გვაგონებს ხმლის ვადის სახელსაც – კოტა, რაც სრულიად ბუნებრივად გვესახება, ვინაიდან ხმალი, თავისი საკრალური ბუნებით, კვლამა-აღორძინების ადრესაგაზაფხულო ციკლში, მთავარი ღვთაების, ბერიკას ხელში, სწორედ ფალიურ-გამანაყოფიერებელ ფუნქციას იძენს.⁷³ ხმლის ამგვარი, გამანაყოფიერებელი ფუნქცია მისი ჯვრისებრი ფორმითაც დასტურდება, თუკი მოვიგონებთ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: ჯვრისწერა, შეჯვარება და სხვა. ამის დასტურად, გავიხსენოთ მელანის სამლოცველოში ნაპოვნი, ძვ.წ. I ათასწლეულით დათარიღებული, ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურა (სურ. №2), რომელიც ერთდროულად ჯვრისებრიცაა და მკვეთრად ფალიურიც, რაც მას ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელ ფუნქციას უნდა ანიჭებდეს. ამრიგად, „საავდროდ გამზადებული სახე“ ნაყოფიერების მომასწავებელიცაა, ვინაიდან ჭეჭა-ქუხილი წარმოადგენს წყლისა და ცეცხლის საკრალურ კავშირს, კოსმიურ წყლებში „მზის დაბადების“ მითოსურ ხატებას, „ღვთის სიტყვის“ გამოვლინებას, რასაც გამანაყოფიერებელი ძალები ენიჭება, ზუსტად ისე, როგორც ეს მოცემულია ღვთაება ენქის ერთ შუმერულ ტექსტში: „სიტყვა ჩემი ცას მისწვდება/და სიუხვის წვიმა იწვიმებს ციდან/მიწას მისწვდება/და მცენარეული გაჩნდება მიწად/ამწვანებულ ყანას მისწვდება/და ჩემი სიტყვით მოსავალი უხვად დახვავდება.“⁷⁴ რომ „ღვთის სიტყვა“ შეიძლება გამანაყოფიერებელი ძალების მქონე ჭეჭა-ქუხილთან ასოცირდეს, ქართველთა მითო-რელიგიური აზროვნების ბალავარშივე ჩაიღო, ვინაიდან შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „საკუთარი სახელი თავდაპირველი ენისა, ქართული ჰომილით „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ არის ლაზარე, ამინდის ქართული ღვთაების სახელიც აგრეთვე ლაზარეა.“⁷⁵ სამჭედლო საქმესთან ამირანის სიახლოვე,



სურ. №2

მისი „საავდროდ გამზადებული სახით“, მისი „პირღრუბლიანობითაცა“ მითითებული, ვინაიდან მჭედლობაც, უწინარესად, წყლისა და ცეცხლის მაგიური კავშირის გადმოცემია, რაც ალეგორიული სახით დაკავშირებულია გაავდრების მოტივთან და საკრალურ ჭეჭა-ქუხილთან. ამ თვალსაზრისით, ამირანის „შავღრუბლიანობა“ ბუნებრივად ეთანხმება ქართველთა მჭედელთაღვთაების სახელს – პირქუში, რომელიც ანალოგიური მითოსური შინაარსით უნდა იყოს დამუხტული, მით უმეტეს, რომ რუსთაველთან „ქუში“ პირდაპირ ელვა-გაავდრების მნიშვნელობით გვხვდება: „იგი უებრო ქუშიდ ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა, მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა... მზე ღრუბელსა მოჰფარვოდა, ქუშიდებოდა, ვარდსა ზრვიდა“ (რუსთაველი).⁷⁶

მჭედელთაღვთაება პირქუშის ღვთაებრივ-ასტრალური სახის გააზრებისათვის, საგულისხმოა ერთი ხეცსურული ლექსი, სადაც ღვთაება კოპალა თავის მოძმესთან, პირქუშთან შეხვედრას თავადვე მოგვითხრობს: „შემომეყარა მოძმე პირ-ქუში, ნავთის წყლიანი, ხელთ ჰქონდა ოქროს კოჭობნი, სავსენი ნავთის-წყლიანი, ნისლის ფერაიც იქ ხყვანდა ფაფარო-მასკვლავიანი“.⁷⁷ პირქუშის მითოლოგიური ატრიბუტები მისი ღვთაებრივი ბუნების მიმანიშნებელიცაა. მას ხელთ აქვს „ოქროს კოჭობნი“, რომელსაც ხატში რიტუალური ლუდის შენახვისთვის იყენებენ და ამ თვალსაზრისით, თითქოს გაუგებრობას უნდა იწვევდეს მასში არსებობა ნავთისა, თუმცა საკითხისადმი პროფესიული მიდგომით, სწორედ პირქუში უნდა იყოს განმგებელი ბუნებრივი წიაღისეულისა, იქნება ის მადნეული თუ საწვავი სახით არსებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ნავთის იყენებდნენ არა მხოლოდ სათბობ საშუალებად, არამედ სინათლის წყაროდაც, რაც მის ღვთაებრივ ბუნებას ერთგვარად აძლიერებს და ალბათ, ამართლებს კიდევ „ოქროს კოჭობში“ მის მოთავსებას. თუკი პირქუშის ნავთისწყლიანობა ღვთაების ხთონურ ბუნებას უნდა ავლენდეს, „ნისლიფერა“ და „ვარსკვლავფაფრიანი“ მერანი უკვე მისი ციურ-ასტრალური ბუნების გამომხატველია და ამ მითოსური ხატით, პირქუში, თეთრ ცხენზე ამხედრებული თანამოსაქმის, წმინდა გიორგის ღვთაებრივ ხატებას ედარება. მიწის წიაღიდან „მანათობელი“ ნავთისა თუ ღვთაებრივი ლითონის – ოქროს მოპოვება ერთგვარად უახლოვდება ხთონური, დამეული გველეშაპის პირიდან ყოველ დღით

მზის დაბადების ქართულ მითოლოგიას, რაც კიდევ უფრო უნდა აახლოვებდეს ერთმანეთთან მჭედელთმფარველთა – პირქუშისა და წმინდა გიორგის ხატს. ამ კონტექსტში, გავიხსენოთ კიდევ ერთი, მრავლისმეტყველი ნიმუში ხალხური პოეზიისა, რომელიც მეომარი ვაჟკაცის მითო-რელიგიურ სახეს გვიხატავს:

„შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თოქალთო გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიგია,
გამოხვეულხარ ფარ-ხმალში,
შუბლზედ აღმასი გიგია...“⁷⁸

ლექსი თითქოს წყვილიადიდან „ნათლის დაბადების“ შესაქმისეული სურათია, სადაც სინათლის პირველი წყარო სწორედ „ნავთის ღილია“, რომელიც შეიძლება იქცეს კიდევ ცეცხლად შემოქმედებისა, რის წინაპირობასაც იძლევა ერთი მხრივ, მხედრის შემართული, მეომრული ბუნება („გამოხვეულხარ ფარ-ხმალში“) და მეორეც, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მისი „შუბლალმასიანობა“, რომელიც აღმასის საკრალურ ბუნებას გვახსენებს, როგორც სიმბოლოს ცისა და მიწის დაშორებებისა, ამომავალი მზისა, ღვთაებრივი ნათლისა, 'ღვთის სიტყვის' დაბადებისა... კუპრივით შავი, თუმც, შუბლალმასიანი მხედარი ცისა და მიწის ისეთივე მაკავშირებელია, როგორცაა ნავთისწყლიანი, მანათობელი პირქუში თუ ხთონური გველეშაპის დამთრგუნველი მზიური წმინდა გიორგი. აღსანიშნავია, რომ მითოსურ მხედართათვის განკუთვნილი რელიგიური ატრიბუტიკით შეიძლება შემკული ყოფილიყო თავად საკულტო ბედაურიც – მზის ნაწილიანი ცხენი, რომელსაც ხშირად „აღმასი უზის თავზედა“, აღმასისფაფრიანია, ყურებზე სანთლები ენთება, ანდა რქოსანია.⁷⁹ ასეთი ცხენი, სიმბოლო კოსმიური მთლიანობისა,⁸⁰ სკნელთა მაკავშირებელიც იყო და ხშირად, ხალხურ ზღაპრებში, გულთმისნობის უნარით დაჯილდოვებული. წინასწარმეტყველების ნიჭი კი, უწინარესად, სწორედ ღვთაებრივი სიწმინდის შედეგია, რომელიც ადამიანურ აზროვნებასაც, მზიური ბედაურის დარად, „კოსმიურ სიჩქარეს“ ანიჭებს. ხალხური გადმოცემით, სწორედ ასეთი, „რქოსანი“ ცხენი უპოვნია მცხეთასთან ახლოს, 'მესიის მახვილად' წოდებულ ქართველთა წმინდა მეფეს, დავით აღმაშენებელს; მოუღლეელი და მკვირცხლი ცხენი შორ მანძილს უმოკლეს ვადაში ფარავდა თურმე...⁸¹ პირქუშის ასტრალური ბუნების გამოვლენის თვალსაზრისით, მისი

ეტიმოლოგიური მხარეც იპყრობს ყურადღებას, რომელიც გარკვეულწილად ქართველთა წარმომავლობის გასაღებსაც შეიძლება იმაღლავდეს. ამ მხრივ, მერაბ მიქელაძის (უფროსი) საგულისხმო მიკვლევით, იმის გათვალისწინებით, რომ ღვთაების სახელი ხშირად სატომო სახელს ემთხვევა, ღვთაებრივი პირქუშის სახელში თავჩენილი „ქუშ“ მარცვლი შეიძლება იდენტური იყოს ბელრუხის ჰროზნის მიერ გამოვლენილი კასპიისპირეთის უძველესი სატომო-გეოგრაფიული სახელწოდებებისა: კუშ/კაშ/კიშ (ასახული კუშიტებისა და კასიტების ტომობრივ სახელებში, კასპიის (Kaspioi) ზღვისა და თავად კავკასიის სახელწოდებაში). ავტორს მიაჩნია, რომ პირიმზეს საპირწონედ, შესაძლოა პირქუში მთვარის ღვთაების აღმნიშვნელი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ მთვარეს ღვთაებრივი დატვირთვა ჰქონდა ქართველურ ტომებში და ამასთან, მთვარის ღვთაების ხათური სახელი – Kâsku, ენობრივად უახლოვდება ქართველთა სატომო სახელებს – „კასხი“ და „კაშდომ“ (იგივე „ქართი“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მინიშნებით, მეხსიერებაში ინახავს ბიბლიური „ურ-კაშდომ“-ის სახელს, სადაც თქმულებისამებრ, ნოეს კიდობანი გაჩერდა, ანუ არარატის სანახები). წარმოდგენილ მსჯელობას კი მხარს უნდა უმაგრებდეს ქართული სიტყვა: „კაშკაში“.⁸² ის ფაქტი, რომ პირქუშს ხელთ ეპყრა ნავთის წყლით სავსე კოჭობნი, ავტორს აფიქრებინებს, რომ კასპიისპირეთში მცხოვრებ „ქუშებს“ ეკავათ ნავთობით მდიდარი ტერიტორია, რაც „უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს კასპიისპირეთის უძველესი მოსახლეობის როლს ქართული და კავკასიური მოდგმის ჯგუფების ჩამოყალიბებაში“.⁸³

დასასრულ, თუკი მეტალურგიის მამამთავარი, ბიბლიური თუბალ-კენი ქართველურ ტომებთან – თუბალ-იბერებთან და ჭანებთან არის გენეტიკურად დაკავშირებული, ყურადღებას იქცევს თუბალ-კენის მამის სახელიც – ლამექი// ლამეხი (დაბადება, 4, 23), რომლის ფუძეც, ივ. ჯავახიშვილის მინიშნებით, შეიძლება იყოს „ლამე“, „ლამ“ და უკავშირდებოდეს „ელამს“.⁸⁴ თუმცა ლამეხი შეიძლება ასევე წავიკითხოთ როგორც ლა-მეხი და თუ ამ უკანასკნელს სვანურისთვის დამახასიათებელ „ლა“ თავსართს ჩამოვაშორებთ, მივიღებთ – „მეხს“, რომელიც ქართული მითოსური ხედვით, სამჭედლო საქმის კოსმიური ატრიბუტია. სწორედ, „მეხისა“ და „ჭექა-ქუხილის“ მისტერიებს ნაზიარები უნდა ყოფილიყო ლა-მეხი იმისათვის,

რომ შთამომავლობასთან ერთად, დასაბამი მიეცა ლითონთა დამუშავების ღვთაებრივი ხელობისთვის, რომლის პირველწამომწყებნი ქართველთა წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ. რომ „მეხი“ ქართველთა ენობრივ წრეს ეკუთვნის, ამის დასტურია „მეხურელთა ტომი“, რომელსაც ექვთიმე მთაწმინდელი მოიხსენიებს თავის ნუსხაში.⁸⁵ ლამეხის ქართველური კუთხით ინტერპრეტაციის ამ მცდელობას ისტორიულ საფუძველს უძებნის ს. ჯანაშია, რომელიც სახელ „ლამეხში“ ხედავს „სომეხს“ – იმ ქართველ ტომს, რომელიც არმენიის უძველეს მოსახლეობას შეადგენდა და რომლისგანაც მნიშვნელოვანი კულტურული ფენა შესულია არმენიის მერმინდელ მკვიდრთა, ჰაიების, ენაში. რომ ფუძე აქ სწორედ „მეხ“-ია, რომელიც ზოგჯერ წმინდა სახითაც იხმარებოდა, ავტორის მოსაზრებით, ეს კარგად ჩანს მიქელ მოდრეკილთან, სადაც

„სომეხი“ „მეხ-ად“ იწოდება, „სომხური“ კი – „მეხურ“-ად.⁸⁶ ს. ჯანაშიას ამ მსჯელობას მხარს უმაგრებს ნ. მარიც, რომელიც ეთნიკურ სახელს – „სო-მეხი“, იბერ-მესხთა ენობრივ კუთვნილებად მიიჩნევს.⁸⁷ „მეხზე“ საუბრის დასასრულს, გავიხსენოთ ისიც, რომ ქართული ენა, რომელიც ჩვენი სულიერი კულტურის საუკეთესო შემნახველია, აზრის უეცარ გაჩენას უწოდებს აზრის გაელვებას, რითაც აზროვნების ნიჭს წილნაყარს ხდის კოსმიურ სამყაროსთან, რაც კიდევ ერთი საბუთია ადამიანში ცისა და მიწის საკრალური კავშირისა. ნათქვამის დასტურად, მრავლისმთქმელია, ერთი ხეცურული გამონათქვამი, რომელიც ქართველთა დამოკიდებულებას სამჭედლო საქმესთან, მთისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობითა და სიღრმით გამოხატავს: 'ვითა ცას ნამი და მიწას ბალახი, ისე ჩვენ ქართველთ ლითონის ხელობა მოგვდგამს'.⁸⁸

¹ Наставления св. Макария Великого. Добротолюбие. Т. 1. Св. Троицко-Сергиева Лавра. 1992 г с. 155.

² მსოფლიოში ლითონთა მოპოვების საქმეში ქართველთა წინაპრების როლსა და დამსახურებას ასევე აღნიშნავენ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 23, 24, 32.

³ ბ. აბაშიძე, მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1984, გვ. 111. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957, ст. 48, 49.

⁵ ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბ., 2007, გვ. 152.

⁶ გადმოცემით პირქუში მჭედელი იყო კოჭლი კაცი, პირქუშს ყველაზე ადრე გამოუჭედია სახნისი, ცული, წაღლი და სხვა რკინეული“. ბ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁷ ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები, თბ., 1999, გვ. 158.

⁸ ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები... გვ. 94-100, 159.

⁹ ბერძნული მითების სამყარო, არგონავტები, თბ., 1999, გვ. 79.

¹⁰ რ. გორდუზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1998, გვ. 24.

¹¹ ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები... გვ. 158.

¹² ბერძნული მითების სამყარო, არგონავტები... გვ. 79.

¹³ H. Март, Из Пиренейской Гурии, Тифлис, 1927, გვ. 37.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი... გვ. 23, 400.

¹⁵ G. Feo, Miti, segni e Simboli Etruschi, Pavona, 2003, გვ. 70.

¹⁶ G. Feo, Miti, segni e Simboli Etruschi... გვ. 69.

¹⁷ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 144.

¹⁸ იქვე, გვ. 145, 147.

¹⁹ ნ. ხაზარაძე, ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 2001, გვ. 111.

²⁰ ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები... გვ. 97.

²¹ ბერძნული მითების სამყარო, ქაოსიდან კოსმოსამდე, თბ., 2005, გვ. 17.

²² ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები... გვ. 97.

²³ აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა, აკაკი ურუშაძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 123.

²⁴ ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი, როგორც ძველი რუკა და პურზე დამწერლობა, თბ., 2004, გვ. 25.

²⁵ ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, გვ. 117.

²⁶ იქვე.

²⁷ ე. ქურდაძე, არმაზი, ჟურნალი 'დრო მშვიდობისა', №18, თბ., 2008, გვ. 22.

²⁸ ზურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ მიბრუნანი, შუმერი, თბ., 2002, გვ. 204

²⁹ ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 70, 71, 105, 106.

³⁰ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

³¹ იქვე, გვ. 168.

³² იქვე, 154, 155, 166, 167.

- ³³ იქვე, გვ. 251.
- ³⁴ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234, 235.
- ³⁵ ბერძნული მითების სამყარო, პრომეთე და ადამიანთა მოდგმა..., თბ., 2003, გვ. 8, 9.
- ³⁶ იქვე, გვ. 92.
- ³⁷ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 160, 165.
- ³⁸ ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი.. გვ. 19.
- ³⁹ იქვე.
- ⁴⁰ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 74.
- ⁴¹ ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 314.
- ⁴² ამ მხრივ, საგულისხმოა „ილიადას“ ის ადგილი, სადაც მომაკვდავი ჰექტორი ემუდარება აქილევსს, ოღონდ ნუ დამტოვებ მირმიდონელ ქოფაკთა საჯიჯგნად და ჩემი გვაში შინ დააბრუნე, რომ ტროელმა მამაკაცებმა და ქალებმა უკანასკნელი პატივი დამდონ, სამაგიეროდ რამდენიც გსურს იმდენ სპილენძსა (ე.ი. ბრინჯაოს) და ოქროს გამოგიგზავნიან ჩემი მშობლებით“. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.
- ⁴³ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.
- ⁴⁴ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.
- ⁴⁵ ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, თბ., 2006, გვ. 36.
- ⁴⁶ „ქაოსს უფრო ხშირად დრაკონი განასახიერებდა. გველი, რომელიც ქვესკნელს ეკუთვნოდა, მზიურადაც მიიჩნეოდა. ქართველთა რწმენით, მზე გველზე შემჯდარი, ზესკნელისა და ქვესკნელის წყალთა შორის თავისი მოძრაობის აუცილებელ ციკლს ასრულებდა. ღამე ქვესკნელში მზის ჩაძირვის შედეგი იყო, სადაც მას ამ წყლების გამგებელი დრაკონი შთანთქავდა, მაგრამ მზე თავს დაადწვედა და ყოველ დილით ზეცაზე ამობრწყინდებოდა“. მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ. 131.
- ⁴⁷ ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბ., 1955, გვ. 89
- ⁴⁸ ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 271.
- ⁴⁹ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 106.
- ⁵⁰ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 307.
- ⁵¹ ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი... გვ. 24.
- ⁵² ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი... გვ. 23-26.
- ⁵³ ბერძნული მითების სამყარო, შვიდკარიბჭიანი თებე, ოიდიპოსი, თბ., 2002, გვ. 9, 34.
- ⁵⁴ ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი... გვ. 87.
- ⁵⁵ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200.
- ⁵⁶ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.
- ⁵⁷ Н. Абакелия, Миф и ритуал в западной Грузии, Тб., 1991, გვ. 21.
- ⁵⁸ В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тбилиси, 1957, ст. 41.
- ⁵⁹ ქართული ხალხური პოეზია, ტომი I, თბ., 1972, გვ. 116.
- ⁶⁰ ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 54
- ⁶¹ თ. უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 86.
- ⁶² დ. ჯანელიძე, სახიობა, თბ., 1980, გვ. 24.
- ⁶³ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.
- ⁶⁴ Alchemy and Mysticism, 2001, Alexander Roob, Taschen, p. 191.
- ⁶⁵ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.
- ⁶⁶ რამაზ პატარიძის მინიშნებით, ქართულ ასომთავრულ ანბანში არსებობს შვიდი იდეოგრამა-აკროფონი, რომელთა შორის, პირველს, ან-ს მთვარის (ცის ღმერთი) ღმერთის ფუნქცია უჭირავს. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 131
- ⁶⁷ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150, 151.
- ⁶⁸ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 200-203.
- ⁶⁹ იქვე, გვ. 204-205.
- ⁷⁰ „თუ გავითვალისწინებთ, რომ საბას განმარტებით 'ღუარი ეწოდება წყალსა წვიმისასა', მაშინ გამოთქმაში „ცრემლის ღვარი“, ცრემლი წვიმასთან არის გაიგივებული. გამოდის, რომ „ცრემლის ღვარი“ იგივე ცრემლის წვიმაა, რომელიც ასევე მიღებული გამოთქმაა ქართულში. ამ გამოთქმათა მიხედვით, თვალს ენიჭება წვიმის წყლის სათავსის, მისი პირველგამომწვევის მნიშვნელობა, ხოლო „საცრის ტოლა“ თვალის საავდროდ გამოხადებულ სახეზე, ამინდის ღვთაების მრისხანების, გაავდრების სურათის მეტაფორული გადმოცემაა, რომელიც მითოსისა და მისი შესაბამისი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით არის აგებული. ამიტომ, გასაგები ხდება, თუ რატომ არის ამირანის თვალები მაინცდამაინც საცრის ტოლი და არა სხვა რამ მრგვალი საგნისა. საქართველოში, წყალთან და სისველესთან ბევრი ადგილობრივი ღვთაება იყო დაკავშირებული... შემოთავაზებული გააზრება სრულ თანხმობაშია ქართველთა წარმოდგენებთან ღვთაებათა შესახებ, სადაც ხაზგასმულია მათი კავშირი ცეცხლთან, სამჭედლო საქმესთან, იარაღებთან, საცერთან, საწყაოსთან, საქონელთან, საგანგებოდ აღინიშნება მათი პირქუშობა, პირღრუბლიანობა“. ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი... გვ. 251.
- ⁷¹ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი... გვ. 314.

- ⁷² ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი... გვ. 242.
- ⁷³ ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 73.
- ⁷⁴ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია... გვ. 94.
- ⁷⁵ ც. ინწკირველი, იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება, თბ., 2000, გვ. 214.
- ⁷⁶ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VII, თბ., 1962, გვ. 380
- ⁷⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 210.
- ⁷⁸ ქართული ხალხური პოეზია, ტომი VI, თბ., 1978, გვ. 55.
- ⁷⁹ თ. შარაბიძე, სულის, ცხენის და მზის სიმფონია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგანი, V, თბ., 2003, გვ. 172-175.
- ⁸⁰ იქვე, გვ. 175.
- ⁸¹ თ. შარაბიძე, სულის, ცხენის და მზის სიმფონია... გვ. 156.
- ⁸² მ. მიქელაძე, ტოტემი და ძველი სამყარო, თბ., 2001, გვ. 97, 98.
- ⁸³ იქვე.
- ⁸⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი... გვ. 402.
- ⁸⁵ გ. შორდანი, მესურელნი, თბ., 1956, გვ. 20, 72.
- ⁸⁶ ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 74.
- ⁸⁷ ქართველები არმენებს ეძახიან სო-მესს, ანუ სვან-მესებს, ან სვან-მესებს, ანუ იონ-ბერებს, სხვა ხალხები კი ეძახიან არ-მენებს, ანუ სალო-იონებს, ხოლო მათი ეროვნული სახელწოდებები (ისინი ორია) მხოლოდ ერთ სატომო სახელამდე დაიყვანება; მათი ძველი ეროვნული სახელი hayk, ეს იგივე bask-ია ანდა mesq-ი, ანუ ის აღადგენს მხოლოდ მეორე ნაწილს ქართული ტერმინისა: so-meq !svan-mes+q, ხოლო შუა საუკუნეებიდან ცნობილი, მათივე ცოცხალი ეროვნული სახელი – hay – ეს იმავე ქართული დასახელების – so-meq-ის თუ son-mesq-ის პირველი შემადგენელი ნაწილის გადმონაშთია და საყოველთაოდ ცნობილი ar-men-ის მეორე შემადგენელი ნაწილის – men// man !svan-ის ნაირსახეობაა“. Н. Март, Избранные работы, т. V, Приволжские и соседящие с ними народности, 1935, გვ. 300.
- ⁸⁸ ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

ლიტერატურული ნოზათი



ნინო უარალაშვილი

ს.თ-ს

ს.თ-ს

არ არის ნამდვილად მხატვრის სიზარმაცე, ჯერ თებერვალია და ცა ახალშობილია და ცის ვარსკვლავები „ბადრი“ და „იალმაცე“ თავის დაძმებსა და მეგობრებს მოეღიან. ჩემო პეპელა და ჩემო ფრთაფრთაფა, გულის კუდრაჭა და კაშკაშა ვარსკვლავო, ცაში იფარფატე გულის გასახარად, რომ წმინდა ვარსკვლავები მიწიდან დავთვალო.

2012 წ.

ს.თ-ს

არც ისე არ ძალუძს მაისის თორმეტში ამ მზეს, რომ ალაგმოს ქარების ირაო. ნუთუ მიგვატოვა დედოფლის ბრწყინვალეობამ, რომ ქარს დავემონოთ, გავუშვათ, იაროს? მამა გაბრიელ, სთხოვე მაცხოვარს და მისი კურთხევით დე იყოს, რომ ჩემს მეგობარს, ჩემს სულიერ დას უნდა რომ თვითონაც მზე იყოს... ეს მარტო ბავშვური ოცნება არაა, შენც იცი, მამაო, სიყვარულს ასხივებს, უნდა რომ გაათბოს ქვეყანა იქამდე, სანამ ეს გრიგალი სულებით გვაცივებს. საქმის დასაწყებად, მამაო, აჩვენე, (ოჰ, მისი ერთი დღით გაშვებაც კი მიჭირს) წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მგალობელ ღვთისმშობლის ფრესკასთან

იმ მერცხლის ჭიკჭიკი.
2012 წ.

ერთხელ ერთი გლახაკი ჩიტს პურის წვერს უმტვრევდა, მაღლა ცაში წვიმა კი, მზეს ჭრილობებს უხვევდა. რომ დაპურდა ბელურა, მთხოვარ უხმოდ გაშორდა, ცისარტყელას მხრებიდან უფლის ტახტზე ჩამოჯდა. გადმოხედა იმ მთხოვარს ღმერთმა ასწილ წყალობით იმის მერე, ჩიტისგან რაც ისმინა გალობით, და მეც, ჩემო ძვირფასო, ვდმვარ, მიჭირს გალობა, რომ შემთხვევით არ ასცდე უფლის მაღლს და წყალობას.

2012 წ.

ნ. მ-ს

არც ღამე არ იყო, ეს იყო ზღაპარი... უბრალოდ მე იმ ორ მთვარეზე ვიამბობ, რომ არ ჩამქრალიყო ის ერთი ლამპარიც, ათასილამპარიდან, წარღვნამ რომ მიაგნო. არ სჯერა არც ერთს და არც იმ მეორეს, რომ კიდევ არსებობს, პარპალებს ლამპარი... და რომ საკუთარი ლამპარი ქრებოდეს, არ არის ნამდვილად პატარა ამბავი... და აი, მოვიდა, შენთან არს, იწამე! ყველაზე სანდოა უხორცო ლამპარი. და ადამიანო, ზღაპარი იწამლე, ყველაზე სანდო და ღვთიური ამბავი.

2012 წ.

ნ. მ-ს

ჯერ ისევ ფერადი ფოთლებია, ჯერ ისევ თბილია, მზის ქვეშ ბელურები იცინიან, რაფაზე ცვივიან... და ისევ მგონია, ჩემთვის სუქლებიან, ჩემთვის ზანტობენ,

რომ მე შემყვარდნენ, გამიხარდნენ, რომ გულით მართობდნენ. ფრთებით მოსვრას ფანჯრის მინების, ბელურულ შედახილს, არ წყვეტენ, რათა გამახსენდეს, შენ ბელს რომ მედახი.

2012 წ

მღვდელი ილია წიკვაძე

* * *

მხოლოდ წესები?!

გულის ძვრებით,

მზის გაჟღერებით

ზეცის წიაღში...

ჩამოვლინდება

სულის ნათელი

და დაემხობა

მუნ პიტიახში...

საქართველოსთვის,

საქართველოსთვის

გულმხურვალეებით

ილოცებს მახშივ

და მტკივნეული

ქართლის ქრონიკა

გამოისახა

ამ ტაძრის თაღში...

ო, ეს ტაძარი ვინ აღაშენა?

ვინ მისცა ძალა ამ ქვა-კლდე-ლოდებს?!

ჩვენი წარსული ისევ აღსდგება,

მეც მოთმინებით უნდა ველოდე...

ნუთუ ასეთი მძლეა ზამთარი

და ასე შორი საქართველომდე?!

ერთგულება და ზნე-გამტანობა –

ეს მხოლოდ ქართველთ სამეფოშია...

იქ, ზღვის გადაღმა, ხონთქარის კარზე

მიცუნცულობდა მეფის გოშია...

დღე დაბნელდა და მთვარე დაეცა –

ეს ხომ იუდას ვერცხლის გროშია?!

აღარ გალობდა ბაღში ბუღბუღი

და აღარ ხმობდა სულში შოშია...

2015 წელი, ნოემბერი.

ოთარ ნადირაშვილის ოჯახში

* * *

წამომაცენეთ, კვლავ მინდა ვბრძანოთ
სადიდებელი ღვინის და პურის,
მიმღერეთ ჩქარა მეგრული „ნანა“
დასიყვარულის სიმღერა ძმური,
მე აღმიტაცებს თქვენი ზნეობა,
თქვენი ყმა ვარ და მომჭერით ყური...

* * *

*ქართლის უძლეველ თამადას,
დიდებულ ქართველს,
ოთარ ნადირაშვილს.*

ო, ამ ნადიმში

ჩვენ სიცოცხლე არ გვეძნელება,

ვენახ-ხარდანში

გასალტულა ჟამი წნელებად...

შენ სიყვარულში

აღვლენილი წმინდა სხივი ხარ,

და ნუ ჩამითვლი

განლაღებად და გახელებად

ამ მზე-სტრიქონებს...

ზეცასავით მზეში ჰღვივიხარ,

შენ მართლა ცათა

სივრცეების წმინდა სხივი ხარ...

ამ მთა-მწვერვალებს

არწივივით გადაჰკვივიხარ,

და ამიტომაც,

აქ, სიცოცხლეც არ გვეძნელება.

* * *

ქართლის ღვინოებს დავაშრობთ,

ავყვებით ზეცის კიბესა....

ისევ მივდივართ სალაშქროდ,

ლაშქარს წინ უძღვის ქიტესა

და გამარჯვების ბაირაღს

დავკიდებთ ქვეყნის კიდესა!...

2015 წელი, 25 ოქტომბერი.

მარადიული სიცოცხლის სული

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული“.

წმ. ილია მართალი.

ვინა ხარ?! – შენი ტანჯვა და კითხვა
ყოველწამიერ ზეცამდე ავა...
ივსება სული და ყოველ სისხამს
ინთება ცა და მშვიდდება ჰავა...

მე ვარ ცოტნე და მე ვარ გიორგი,
მე ვარ ზვიადი, მერაბიც მე ვარ,
მე მტრის ბორკილი ვერ დანაკებს,
ვერ შემაშინებს მეხი და მტვრევა.
მე თაობიდან მოვდეკ თაობებს
და ილარიონ ქართველიც მე ვარ.

მზე დასავლეთის მთებს გადავიდა...
ვინ გააბრწყინოს მზე უმზეოსი?!
მე ვარ საბა და მე ვარ დავითი,
მე ვარ შიო და ვარ თადეოზი,

ველარც მითებს და ველარც არაკებს
ველარ მოისხამს ამ მთის ნაყოფი.
ვარ აბრაამი, ვარ ისააკი,
ვარ ისაია და იაკობი.

მე ვარ ანტონი და მე ვარ ისე,
ეს მადლი გულზე ცეცხლად მომიდეს.
გაბრწყინებული აღსავლის მზისებრ
ვარ აბიბოსი და ნეოფიტე.

მე ვარ ამ ზეცის ხვაი – მზე უხვი...
მზე სივრცეებში დაუტევენელი.
მე ამ სივრცეში სიცოცხლე ვპოვე...
მე ვარ ილია, მე ვარ ენუქი.
ღვთისმეტყველი და ნათლისმცემელი
მე ვარ აბელი და მე ვარ ნოე.
მე ვარ მარადის ცა მეწამული,
მე ვარ მთა-მდელი, ბალახი ღვია,
მე ვარ გოლგოთა ვარ წიწამური
და წიწამურის ჭრილობა ღია...

და ჩანჩქერივით ვედები კბოდეს –
მეომრის სახე თბილიც და ქუშიც –
და თაობიდან თაობებს მოვდეკ,
სისხლიდან სისხლში, სულიდან სულში...

მე ვარ ილია, მე ვარ იობი
და ფრთებდაუხრელ მზე-არწივს ვგავარ.
მე შეუცნობელ გზით მოვდიოდი
და მთა-მწვერვალზე მუხლმოყრით ვდგავარ.

მე ვარ დიდგორის ჟღრიალი ხმლების,
ცეცხლი და თვალეებრიალა მეფე,
გამოთენდება მზიური დილა
და ცრემლებიდან ნისლები ყფენ...

ლოცვებით ისევ ვაჩერებთ ომებს,
ომებს და ბრძოლებს გარეთ და შიგნით.
ათასწლეულის იწონის ტომებს
ერთი მართალი იობის წიგნი.

მე ნიკოლოზიც ვიყავი ერთ დროს,
მე იოსებიც მერქვა სახელად...
და ჩემი დარდი და ჩემი სევდა
ამ მთამ სულ ნისლად ამოახველა.

მე ვარ ბრძენი და სულელიც, გიჟიც,
მე ვარ რეგენი და იდიოტი,
მე მოვდიოდი სისხლიდან სისხლში
და სულად სულში გადავდიოდი...
მე ოდითგანვე მტკიოდა ყველა
და ამ ტკივილებს ტანჯვით ვყოლი...

მე ამ ტკივილებს ტანჯვით ვყოლი,
მადლით, წყალობით და ზეცის მტვერით...
მე ვარ გიორგი, მამა გიორგი,
მე ვარ მოსე და გაბრიელ ბერი.
მე ვარ ის წიგნი გაუფურცლელი,
მარად უხვი და სრულიად სრული,
მე ვარ უკვდავი, მე ვარ უცვლელი,
მარადიული სიცოცხლის სული...
და შენი მადლის ცეცხლით ვზეობდი,
თან მომყვებოდნენ ძმები და ყრმები.
მე ვარ ლეონტი, მამა ლეონტი
მოვიმტვერეოდი, მოვიმსხვრეოდი
და საქართველო მომქონდა მხრებით.

იროდიონ რაინაული* (1900–1942)

ბოდება შოთა რუსთაველისა და
„ვეფხისტყაოსნის“ პირთმევა
თამარ მეფისადმი**

შველა მოგვეც და შეწვენა, ღმერთო ვინც შენ კერპირებსა,
შენცა გვეწყალობდე, გვხედვიდე, გვიზღვევდე დანაპირებსა,
არ დაგეკარგვის მუქაფა, ნუ მიგვცემ ლომთა პირებსა,
მიკვირს, რაღად შობს საწუთრო თუ ხელს ჰკრავს, განაპირებსა.

ჰეი, ბელო, პირად შავო, რად ჰზი ჩემთა სისხლთა ხვერპად,
სამიჯნუროდ მოგეც გული, არ საჭრელად, გასახვერეტად;
დაგემოყვრე, ძირს დამამხე, მით დავდივარ ასრე რეტად,
ზოგჯერ მტრობამ წინ წასწიოს, სიყვარულზე უფრო მეტად.

დღე დამიბნელდა, არ ნათობს ვარსკვლავი, მთვარე – მზიანად,
ხელი მკრეს, დაბლა დამამხეს ვარდმა, ზამბახმა – იანად;
ისარმაც გული გამიპო, არც იმან დაიგვიანა,
დაჭრილი სიკვდილს ვნატრულობ, სიცოცხლე მიჩანს ზიანად.

დაჯდა და ბევრი იტირა, ცრემლით დასეტყვა ბალები,
ვით მეფემ დამარხებულმან, დახარა ბაირალები;
არწივმა ფრთები დაკეცა, სისხლით აღარ აქვს ნალები,
ჯიხვი კლდიდან რად ვარდება, არ ჰყოფნის იალალები?

ტირილით სული მოითქვა, დაიმორჩილა სხეული,
ფიქრებმა გზები გაუხსნეს ხან სწორი, ხანაც – ხვეული...
სთქვა: „სჯობს არ იყოს, თუ არის გულდასერილი, ეული,
ომში ხმალგადატეხილი და პერანგჩამოხეული...“

კვლავ სთქვა: „მო, თავსა მოვიკვავ და მითი დავთმობ ჭირებსა“,
თვალზე ცრემლჩამომდინარი ყელზე თოკს მოიჭირებსა,
მაგრამ ჩაფიქრდა: „ქედმოხრა ბედთან სჩვევიათ ვირებსა,
სატრფოს ვინ ჩივის, ლაჩრობით ყვავიც არ დამიჭირებსა.“

იქნებ ვიპოვო წამალი, თავს რატომ ვიკვავ ნებითა?
კაცი ხან უფრო მოიგებს მოცდითა, დაყოვნებითა...
მეც მოცდა მიჯობს, სიჩქარე დამტვირთველია ვნებითა,
ვინც მწვადსა შეწვას არ აცლის, ვით შესჭამს გემოვნებითა?!

ვინ დამიხსნის შეჭირვებულს, ცრემლთა გუბებს აღარ ვღვრიდე,
სად გავიქცე, თავს რა ვუყო, თუ ჩამიტეხს წყალზე ხიდებს
რა ძნელია, ვინც გიყვარდეს, მასზე ვითხრან: ეძმე, იდე,
გეაჯები არსთა მხედო, – ხორცისაგან სულს გამყრიდე!..

იგი მეფეა უძლევი, ცათა და ხმელთა მპყრობელი,
 აღმოსავლით და დასავლით მტერთა მსვრელი და მსპობელი,
 ერთგულთა დიდი მოწყალე, ორგულთა ძილის მკრთომელი,
 აწ მისი მსგავსი ვინა თქვას, მზე ქვეყნის მანათობელი.

ღმერთად მიჩნს იგი და მეცა შვექმნილვარ ძუძუს მწოველად,
 იგ დამისახავს სიკვდიმდე ჩემთა პატიჟთა ყოველად.
 რაზომ განრისხდა საწუთრო, მეკვეთა ლხინთა მძოველად,
 გლახ მომეახლა ზამთარი, უზომო ფიფქთა მთოველად,

თუ ვერ მივწვდები, რას მარგებს ამაოდ ხელთა შევრანი,
 ცუდად ჩამივლის წვალება, ბულბულის მსგავსად მღერანი;
 იქნება ხმალმაც ვერ გასჭრას, გზაში წამექცეს მერანი,
 ბრიყვს უცებ მახეს დაუგებს წუთისოფელი ვერანი.

მაგრამ სთქვა: „სიბრძნე რას მარგებს, ვით ოქრო უქმად დებული?
 თუ დროზე წყალს არ დაასხამ, დაიწვის ცეცხლმოდებული;
 ჭირსა აროდეს შეუდრეკს ვაჟკაცი სახელდებული,
 ბედის მონა და მორჩილი, ნუმც არის დაბადებული.

თავს ვუთხარ – წიგნი დავწერო, სასმენლად დამატკობელი,
 მიჯნურთა ცეცხლის მომდები, დამწველი, დამადნობელი.
 იქნებ იგ ექნეს სახმილად, უღვინოდ დამათრობელი,
 თვით ტირის, სხვასაც ატირებს, ჭირთა ლამაზად მთხრობელი.

ვინ დაუნთო გულში ცეცხლი, ვის უნდოდა მისი ურვა,
 მარგალიტებს ყორედ აგებს, არად უღირს უფლში წურვა,
 ტანჯვას ცოტად უმსუბუქებს ცრემლის დენით აოფლის მღურვა,
 უნავოდ და უხომალდოდ რა ძნელია ზღვაში ცურვა;

მისთვის ყორნის ხმად გადიქცა ნობ-წინწილი დასაკლრავი,
 სად გაიქცეს, ფეხს წინ ვერ დგამს, მგელს შეეპყრას თითქოს კრავი,
 ტრფობას პირში ვინ შეუდგეს და გამოთქვას ან სიტყვა ვინ?
 ნესტანს უკვე წერილს სწერს და ჩაუცვია ვეფხვის ტყავი.

ზოგჯერ ჭირს ლხინიც მოჰყვება, მიწყვი ასრეა სოფელი...
 დაწერა წიგნი – მსმენელთა გულს ლახვრად დამასობელი.
 იტყვი: მის მეტი თუ არის ქვეყნად სიკეთის მშობელი,
 აწ მზემან ვარდად შესცვალოს ცრემლები შეუშრობელი.

სურვილისგან ანთებულმა სამი კარი შევლო შიგნით,
 აღარ ჰყოფნის სხეულს ძალა, მის გულს თითქოს ყვავი სძიბენის...
 უსიტყვოდ და დიდი კრძალვით გაიარა ქალთა რიგნი,
 ბოლოს შედგა და მუხლმოყრით გაუწოდა ტრფობის წიგნი:

– „ჰა, მეფეო, საჩუქარი მომიძღვნია, წაიკითხე...
ნახო დამწვარ-დადაგული და ნადენი თვალთა სითხე,
იქნებ შენაც შეგებრალოს, უდაბნოში მორწყო მით ხე,
მე შვლის ნუკრად გამიზრდია, შენ კი თუნდაც მხოლოდ ითხე“.

პირს სიხარული დაეტყო, მადლობა უძღვნა, დალოცა,
იტყოდა: ნეტავ აქამდე უმზეოდ იყო რატომ ცა?“
უთხრა: „ თუ ყოვლი სწორედ ა, იქნება საარაკოცა!..
მერე ჩახედა თვალებში და მორცხვად შუბლზე აკოცა...“

* ავტორი წინამდებარე ლექსისა თუშეთში ცნობილი მოლექსე იყო. მის ბევრ ლექსს დღესაც მღერიან თუშეთში.

მწვემსი მოლექსის (პოეტის) იროდიონ რაინაულის სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომმა შეწყვეტა, მაგრამ საბუდამოდ დარჩა მისი ბრწყინვალე პოეტური სტრიქონები, მათ შორისაა ლექსი „შირაქის გზაზე“, რომელიც ხალხურად მიაჩნიათ.

შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.

** ლექსი „გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა თამარ მეფისადმი“ გამოქვეყნდა გაზეთ „ალაზნის განთიადში“, 1996 წ. № 5-6.



„უპანასკნელი აკორდი“

საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან დაკავშირებით საქართველოში გამოდიოდა საფოსტო ღია ბარათები. ერთ-ერთი ასეთი ბარათის ე.წ. „სატიტულო გვერდზე“ ილიას ფოტოსურათია დაბეჭდილი თანდართული ტექსტით – ერთ ბარათზე ფოტოს ახლავს ილიასავე ლექსი – „მწუნარება“. მეორე ბარათზეა რუსული ლექსი – „პოსლენი აკკორდ“ – ნა სმერტ ი. გ. ჩავჩავაძზე“, რომელსაც ხელს აწერს ვინმე ევ. კანჩერი. გთავაზობთ ამ ლექსის ქართულ თარგმანს:

უპანასკნელი აკორდი

(ი. გ. ჭავჭავაძის გარდაცვალებაზედ)

რისთვის გაგწირეს დიდებული მგოსანი ერის,
სახელოვანი, სპეტაკი და მოუსყიდველი!?
ვისმა ბოროტმა ნებამ სასხლეტს გამოჰკრა ხელი,
სპეტაკ სიცოცხლეს ვინ შეეხო, ვინ იყო მკვლელი?
ან ვინ გაბედა – ქვებუდანთა ვინ დაჰყვა ნებას,
და არწივული ვინ წარსტაცა შენს თვალებს მზერა,
შეღებილია ავისმქმნელი მარჯვენა ვისი
მდულარე სისხლით, უცოდველით – მეწამულ ფერად?!
როდესაც მოსკდა ავი ტალღა ბობოქარ ზღვისა,
როცა სიმართლეს ჩამოექცა ბჭე სიმტკიცისა –
კანდელი ჩაქრა საკურთხევის და სიწმინდისა,
გაწყდა სიმი და შეწყდა ბოლო აკორდი მისი

თარგმნა სიმონ ჯაფარიძემ

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ღამის მგზავრული*

რა სიჩუმეა...
არ ჭიკჭიკებს ტყეში ფრინველი,
სიო არ იძვრის –
გახეებულა ხეზე ფოთოლი,
დადუმებულა ირგვლივ ყოველი...
ნუ დაღონდები,
შენც დაისვენებ,
ოდეს მოგიხმობს ზესთასოფელი.

გერმანულიდან თარგმნა გოჩა სოზიაშვილმა

* გოეთეს 8 სტრიქონიანი ლექსი – „Wanderers Nachtlid“ – მსოფლიო ლირიკის შედეგს წარმოადგენს და არაერთ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, საქართველოს, დარწმუნებული ვართ, ტოლს ვერავინ დაუდებს: გოეთეს ეს ლექსი არა ერთჯერ, ორჯერ ან ათჯერ, არამედ 75-ჯერ ითარგმნა ქართულად 45 მთარგმნელის მიერ. ამჯერად გთავაზობთ პირველად და ბოლოს შესრულებულ თარგმანებს.

**ფილია ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“**

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

**მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნორა თიგიშვილი
გონა სოზიაშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კველიშვილების ქ. №10
რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

უეფდებ ნომერში:

**უედარეპითი ღვთისმეტყველების საკითხისათვის
მართლმადიდებლობა და პროტესტანტიზმი**

თანამედროვეობის დიდი მამები

მეცნიერება

მერაბ მიქელაძე

ქართული მარანი – სამოთხის მიწიერი ხატება

ლიტერატურული ნობათი

პროზა,

პოეზია,

ახალი თარგმანები